ვიწყებთ 16 გვერდიანი ყოველი ოჯახისათვის საჭირო გაზეთის გამოცემას

არ გირჩევთ წაიკითხოთ მეხუთე-მეექვსე გვერდები

როსტომ ჩხეიძე ქვას ქვაზე არ ტოვებს...

მომდევნო ნომრიდან განახლდება რუბრიკა „ვინ იყო ვინ?“


ეროვნული თავისუფლების გზით — პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით — ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. №109 (1619) 17-23 ნოემბერი, 1997 წელი ფასი 50 თეთრი


ურცხვებმა ხალხის ნერვები
როდემდე უნდა ფლითონ,
სამას მეათე სირცხვილი
სანიკიძეა თვითონ.

5

## შემოლაწუნება ოპოზიციასაც სჭირდება

3

ამ აზრს რედაქცია, რა თქმა უნდა, არ ეთანხმება





## ბინაური მიმოხილვა

1. პარლამენტმა პრესას მიუკიბ-მოუკიბავად უთხრა: დედა უნდა გიტიროო.
2. გადასარევია, შენ ნუ მომიკვდები - პრეზიდენტი ღარიბაშვილი...
3. თუ კვირაიას ჩაუთვალეთ უკანონო მოსმენები დანაშაულად, ნეტავ რატომ არ ითვლება დანაშაულად იგივე აქტი, ჩატარებული ვილაც კერძო ფირმისა თუ კერძო პირების მიერ?
4. ვიდრე ყოფილი მოქკავშირელი ჯგუშია და დღესაც მტკიცე მოქკავშირელი გუნავა სამშობლოს მტრების ნაცვლად ერთმანეთს უბრაგუნებენ...
5. სადაური წესია, ალიაშვილის ხუთი ათასმა დოლარმა რომ რვა მილიონ დოლარად იბარტყა?
6. რატომ ხდება, პარლამენტარები რომ მუდმივად ფულიან ხალხს იცავენ?

2



**გრიგოლ რობაქიძე:**

„როცა მე ამ სოფლად უკვე აღარ ვიქნები, მიდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, მწითობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს აანთებდეს ამ პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს“.

აკაკი ბაქრაძე წერს უნიკალურ წიგნს უნიკალურ გრიგოლ რობაქიძეზე. „საქართველომ“ ავტორისაგან მიიღო ექსკლუზიური უფლება - გამოაქვეყნოს ეს შესანიშნავი მასალა გაგრძელებებით. დაიწყეთ კითხვა ამ ნომრიდან.

12


შემოლაწუნება ოპოზიციასაც სჭირდება


აეხდება კი ფარდა ამ საიდუმლოებით მოცულ საქმეს?





# „სადაური წესია და აქაური წესია, ჩემო ბატონო!"



ეს კვირა საკმაოდ გასართობი იყო როგორც ჩვენი მკითხველისათვის, ასევე ჩვენთვის (ზოგიერთს სატირალი არ ეგონოს). პირველი და ძირითადი იყო კანონი, უფრო სწორად, შესწორებები კანონისათვის, და უფრო კიდევ ზუსტად, უკანონობისათვის „პრესის შესახებ". ამ თემაზე პოლემიკას არ გავაჩაღებთ და არც მკითხველის გადაღლას შევეცდებით ჩვენი უსაშველო დასკვნათა ჯაჭვით. უბრალოდ, ერთ რამეს ვიტყვით, ხელისუფლებამ იმ ძალის მოთვინიერება მოინდომა, რომლისაც, ალბათ, ყველაზე ძალიან ეშინია. პარლამენტმა პრესას მიუკიბმოუკიბავად უთხრა, დედა უნდა გიტიროთო. პრესაც ერთი კვირაა ტირის, არიქათ, გვიშველეთო და რაც ყველაზე საინტერესოა, საშველად ისევ პარლამენტს მიადგა და არა კონსტიტუციურ სასამართლოს, თანაც პარლამენტისადმი მიმართულ საჩივარს რამდენიმე ატირებულმა გაზეთმა მოაწერა ხელი, სხვა გაზეთები „მოტეხეს", აქაოდა, ჩვენს „წმინდა" ცრემლთან სხვას ვერ შემოვიზიარებთო. ასე, საკუთარი თავის რეკლამას გადაყოლილი ნარცისული გაზეთები, გაჭირვების დროშიც რომ არ იციან გაერთიანება, შორს ვერ წავლენ...

რაც შეეხება პარლამენტარებს, შესწორებები პრესის კანონში თქვენი მოღვაწეობის კიდევ ერთ სამარცხვინო ფურცლად დარჩება, ძვირფასო ბატონებო, თქვენი დიდი უმრავლესობა ხომ უბრალოდ თამამად აცხადებს – ჩვენ ის ხალხი ვართ, რომელთაც არაფრისა გვრცხვენია და არაფრისა გვეშინიაო.

ისე, კაცმა რომ თქვას, მართლაც მაგრები არიან, პარლამენტის მწარედ გაუნათლებელი უმრავლესობა. სანამ კანონს გაეცნობიან (აბა, მაგისი დრო სადა გაქვთ, მაგ... დაკავებულებს), მანამდე წყვეტენ, ხმას აძლევენ თუ ეწინააღმდეგებიან მას...

* * *

ისევ გაგვაოცა ჩვენმა ყველაზე დამოუკიდებელმა ვექილმა, ქართლოსმა. ამჯერად, იმის გარდა, რომ იგი მართლაც დამოუკიდებელია, იმის ჩვენებაც მოინდომა, რომ ისიც შეიძლება დაიჭირონ, და, ალბათ, იმის ჩვენების მიზნით, რომ მისი „ძმანი" მაინც გამოიყვანენ გარეთ, „აღკვეთის ღონისძიების" შეცვლის არგუმენტით (როგორც მას სჩვევია), და არც იმის რეკლამირება დაავიწყდა, რომ საკნიდანვე იწყებს პრეზიდენტის სკამისთვის ბრძოლას. გადასარევია, შენ ნუ მომიკვდები, პრეზიდენტი – ღარიბაშვილი (იხ. მხ.ფილმი „სინემა"). ალბათ მკითხველს, ახსოვს, არცთუ დიდი ხნის წინათ ბატონმა ქართლოსმა გაზეთ „საქართველოს" რედაქციაში რომ დარეკა და ჩვენი რედაქტორის, ბატონ ნოდარ გრიგალაშვილის მისამართით დაიმუქრა, თუ თავს არ დამანებებს, მე–5 იზოლატორში ამოვაყოფინებ თავსო. ალბათ, ამ სიტყვებზე რედაქტორის რეაქციაც გეხსომებათ – მე–5 იზოლატორში გასაგზავნი ღარიბაშვილია, მაგრამ ეს რომ ქნა, კანონი დაირღვევა, ქართლოსის ადგილი ასათიანზეა და არა ციხეშიო. ადგა ეს ჩვენი ჭკვიანი მეორე და მესამე ხელისუფლება და ღარიბაშვილი მართლა დაიჭირა. რა თქმა უნდა, ეს კანონის დარღვევაა... ხუმრობა იქეთ იყოს და ჩვენ მართლა გულბოროტი როდი ვართ. ღარიბაშვილის ინტერესებს ჩვენი გაზეთიც დაიცავს და ვეცდებით, ციხეში არ აღმოჩნდეს. ამით მასაც გადავარჩენთ და საქართველოსაც. აბა, როგორი საქმეა, კაცი იმუქრება, თუ დამიჭერთ, საპრეზიდენტო კამპანიას ციხიდან გავაჩაღებო. მე თქვენ გეტყვით, ვერ შეასრულებს. ჩვენში დიდი კაცი რომ გახდე, აუცილებლად ნაციხარი უნდა იყო. ჰოდა, ნუ გავხდით ქართლოსს ნაციხარს, თორემ მერმე გვიან იქნება თითზე კბენანი...



* * *

მაგრამ ეს არ არის „სარეკლამო კამპანიის" უკანასკნელი შემთხვევა ამ კვირაში. აგერ უკვე რამდენი ხანია ერთმანეთს „სამკვდრო–სასიცოცხლოდ ეომებიან" (არ ვიცი, პირველი რომელი დავასახელო,

## შინაური მიმოხილვა

*1. პარლამენტმა პრესას მიუკიბმოუკიბავად უთხრა: დედა უნდა ვიტიროთ.*

*2. გადასარევია, შენ ნუ მომიკვდები — პრეზიდენტი ღარიბაშვილი...*

*3. თუ კვირაიას ჩავუთვალეთ უკანონო მოსმენები დანაშაულად, ნეტავ რატომ არ ითვლება დანაშაულად იგივე აქტი, ჩატარებული ვიღაც კერძო ფირმისა თუ კერძო პირების მიერ?*

*4. ვიდრე ყოფილი მოქკავშირელი ჯგუშია და დღესაც მტკიცე მოქკავშირელი გუნავა სამშობლოს მტრების ნაცვლად ერთმანეთს უბრაგუნებენ...*

*5. სადაური წესია, ალიაშვილის ხუთი ათასმა დოლარმა რომ რვა მილიონ დოლარად იბარტყა?*

*6. რატომ ხდება, პარლამენტარები რომ მუდმივად ფულიან ხალხს იცავენ?*



სხვათა შორის, ისიც შევიტყვეთ, რომ ბ–ნ ღარიბაშვილის მიერ დაარსებულ ადვოკატთა კორპორაციას რუსთავში აქცია გაუმართავს – ლოზუნგებით იხვეწებოდნენ, თავდებში მაინც გამოუშვით ჩვენი პრეზიდენტიო. როგორ ვერ მოიფიქრეს ღარიბაშვილის ადვოკატებმა, რომ მაგალითი თავიანთი პრეზიდენტისაგან გადაეღოთ, როგორ უნდა თავდებში გამოშვება. რატომ იწუხებენ თავს ქუჩაში დგომით, გააშანშალონ ერთი ცნობა, სადაც ექიმები დაადასტურებენ, რომ ბ–ნ ღარიბაშვილს სჭირს ასთმა, ეპილეფსია, ბუასილი, გრიპი და სხვა სნეულებანი, მიართვან მოსამართლე ი.ხურციძეს და ღარიბაშვილს თავდებში გამოშვებას არ დაამადლის.



ქალბატონი თუ მინისტრი. მგონი, ქალბატონი – ჯობია) ი.სარიშვილი–ჭანტურია და შს მინისტრი კ.თარგამაძე. აქამდე ვფიქრობდი: თქვენ დალოცვილებო, თუ რამე გაქვთ მართლა მნიშვნელოვანი, წარმოადგინეთ, თუ არა და, გაჩუმდით მაინც–მეთქი. ბოლოს და ბოლოს, წარმოადგინეს ერთმაც და მეორემაც. (რა? ამას ჩვენ, ძვირფასო მკითხველო, ვერასდროს გავიგებთ, რასაც გულწრფელად მოგისამძიმრებთ). მაგრამ აღმოჩნდა, რომ საგულისხმო იქაც არაფერი ყოფილა და საერთოდ, თუ კვირაიას ჩავუთვალეთ უკანონო მოსმენები დანაშაულად, ნეტავ რატომ არ ითვლება დანაშაულად იგივე აქტი, ჩატარებული ვიღაც კერძო ფირმისა თუ კერძო პირების მიერ?

* * *

„მოქალაქეთა კავშირს" რომ დიდი დღე არ უწერია, ეს აღარ არის საიდუმლო. საიდუმლოა მხოლოდ ის, თუ რომელი ვირთაგვა რომელ მხარეს გაცურავს ჩაძირული ხომალდიდან. მე მათი მესმის, იმიტომ, რომ ეს „კავშირი" სულაც არ იყო კავშირი. როგორც ყოველთვის, ეს იყო „იმის" (თქვენც კარგად იცით, ვისი და რომელი...) დანამატი. ის „ერთგულები" დღესაც ეფექტურად აჭერენ ხელს ღილაკს. მომიტევონ იმათ, ვინც მართლა სინდისის კარნახით აკეთებენ თავის საქმეს (მე მგონია, გვარების დასახელება არც არის საჭირო, რადგანაც ყველამ იცის, მათ შორის ვინ არის მართლაც პატიოსანი).

პრეზიდენტს ეს ყველაფერი ნაკლებად აინტერესებს და არც არის შემცდარი. მომავალი არჩევნებისათვის ის სხვა გუნდს რომ აირჩევს, უკვე ოცი წელია ვიცით. საქმე ის არის, მხოლოდ ვის? ყოველ შემთხვევაში, გაჭირვებულ „საქართველოს" მაინც არა! ვიდრე ყოფილი მოქკავშირელი ჯგუშია და დღესაც მტკიცე მოქკავშირელი გუნავა სამშობლოს მტრების ნაცვლად ერთმანეთს უბრაგუნებენ, ვიდრე ყოფილი ედეპელი (გვარს ვერ ვიხსენებ) და ახლაც ედეპელი ჯულელი ერთმანეთს ულაწუნებენ, ამასობაში ჩვენი ეკონომისტები გაცხარებულები ქაღალდებს ამოწმებენ და მოსამართლეები ფულს



ითვლიან. პირიქით კი უნდა იყოს. შედეგი? კალიაშვილის 1992 წელს შეტანილი 5000$ რომელმაც დღეს 8000000$–ად იბარტყა. ე.ი. ასე იყო საჭირო. მოვიშველიებთ ერთი „წვერებიანი" ანეკდოტის სიუჟეტს: „სადაური წესია და აქაური წესია, ჩემო ბატონო!" „კოკა–კოლაზე" ჩვენ ზედმეტ სიტყვას აღარ ვიტყვით. დალიეთ ლიმონათი „კოწახური" და იგრძენით განსხვავება, მაგრამ პარლამენტთან რომ მაგარი ძმობა აკავშირებთ, ეს თქვენც დაინახეთ. დაუცხიათ თურმე სახალხო პარტიას და ედპ–ს მისი გულისთვის. ნეტავ რატომ ხდება, ვიღაცეები მუდმივად რომ ფულიან ხალხს იცავენ?

*სანამ თქვენ ამ წერილს კითხულობდით, ძვირფასო მკითხველო, მანამდე რომარიოს ფეხი არ გაანძრევინეს. ახალკაცი წევს, ჩივაძე ზის, სამპრასი ფრინავს და რუსებმა, სამწუხაროდ, იტალიელებს მოუგეს. (ეს ჩვენ მხოლოდ ვიხუმრეთ).*

**პაატა მანჯულაშვილი**

ბიბლიოთეკა

# შემოლაწუნება ოპოზიციასაც სჭირდება

ამ ცხოვრების წესი ჩვენმა ოპოზიციამ ვერაფრით შეიგნო – მცირედს დათმობ და დიდსაც დაგათმობინებენ. ამით კი, სხვა თუ არაფერი, პატივისცემას კარგავ როგორც ხალხში, ასევე შენს მოწინააღმდეგეებში. ასეც მოხდა 11 ნოემბერს ფილარმონიასთან, როდესაც ლტოლვილთა ყრილობა ფილარმონიაში არ შეუშვეს, ბორის კაკუბავამ ჯერ პროტესტი და მუქარა დაიწყო, მაგრამ ბოლოს დაჰყვა პოლიციის შეფის ალავიძისა და მიტინგების დამრბევი მღებრიშვილის არგუმენტებს. საკმაოდ შეთხელებულმა ლტოლვილთა ჯგუფმა ჟურნალისტებითურთ ოფიცერთა სახლისკენ ქნეს პირი. იქ კი კაკუბავამ სხარტად შეაფასა სიტუაცია და დელეგატთა სიმცირის გამო ყრილობის მაგივრად შეკრება გამოაცხადა. შემდეგ ყველაფერი ისევ ძველებურად წარიმართა. რაც არაერთხელ მოგვისმენია, ჩვენ თვითონ გვეთქვამს და დაგვიწერია. მართალი გითხრათ, საცოდაობა იყო. ვიცი, გამინაწყენდებიან, მაგრამ საცოდავებში, ოდნავ განსხვავებული ნიშნით, საქართველოს დანარჩენ მოსახლეობასაც ვათვლი. მართლაც, სანამდე შეიძლება აცხადო „ძირს შევარდნაძეო", სანამდე შეიძლება აცხადო, რუსის ჯარი გაედინესო, სანამდე შეიძლება იკითხო ადრე მიღებული, ხელისუფლებისაგან შეუსრულებელი და ყურს მიღმა გაშვებული რეზოლუციები? სანამდე შეიძლება უყურო შენი თანამოძმეების გაუბედურებულ და გაპათხოვრებულ, უქონელ ყოფას? ამდენ უსახლკარო, უსამსახურო, უუფლებო, უქონებო და მაინც ხელისუფლების მორჩილ-მომლოდინე ადამიანებს?

მოდით, კაცურად ვილაპარაკოთ, 5 წლის განმავლობაში ლტოლვილების ერთი აქცია თუ ყოფილა, რომელთა ორგანიზატორებს სხვა, ვიწრო ინტერესების დაკმაყოფილება არ ჰქონოდათ მიზნად? ან თუ გახსოვთ ისეთი აქცია, რომელიც ხელმძღვანელობასთან არ ყოფილიყო შეთანხმებული და მართვადი? ამ 5 წლის განმავლობაში პარლამენტის სხდომაზე თუ დამდგარა აფხაზეთის პრობლემის გადასაწყვეტად ისეთი კონსტრუქციული საკითხი, რომელსაც შესრულება და ბოლომდე მიყვანა ეწერა? რასაც ვუყურებდით, ორთქლის გამოშვებას ჰგავდა და კამპანიურ ხასიათს ატარებდა. რეზულტატი, რაღა თქმა უნდა, ფართო საზოგადოებისთვის დაფარული იყო, მაგრამ ჩვენ ვიცოდით – ლტოლვილებისთვის კანონით მინიჭებული დახმარების გაცემის დროც, რომელიც მანამდე თვეობით იგვიანებდა და მოთავეების სხვადასხვა ქვეყნებში მცირე ვოიაჟები. მოკლედ, ორთქლის გამოშვებასთან ერთად მინიმალური სარგებელი. ამ შემთხვევაში კი რა პატივისცემაზე და ყურადღებაზეა ლაპარაკი. ორმაგი სტანდარტები და სირაქლემას პოზა თვით ზევიდან ჩამოშვებულ ლოზუნგებში ჩანდა, ცოტა ხნის წინ ამბობდნენ: „ჩვენ დამარცხებულები არა ვართ, ჩვენ ბრძოლას ვაგრძელებთ". თვალის დაბრმავება და ორიენტირის გაუკუღმართებაც ამას ჰქვია, თუ დამარცხებული არა ხარ, გამარჯვებაზეც სერიოზულად არ იფიქრებ. და თუ ჩვენ ის ბრძოლა გავაგრძელეთ, რაც ავადსახსენებელ 27 სექტემბერს გვქონდა, ვაი ჩვენს პატრონს. ამჟამად ახალი ლოზუნგია: „ჩვენ სუყველა ლტოლვილები ვართ!", რასაც ლტოლვილთა მოფერება ჰქონდა მიზნად, მაგრამ არასწორი გამოდგა, რადგან ჩვენსა და მათ გალიზიანებას იწვევს. მაგრამ იქნებ სწორედ ეს გალიზიანებაა ბოროტულად გათვლილი?

მე და ჩემი თანამოქალაქეები, ან საქართველოს სხვა კუთხეში მცხოვრები ადამიანები შეიძლება სხვა პარამეტრებით ვგრძნობდეთ ლტოლვილობას, რაც ხელისუფლების სხვადასხვა ნაბიჯებით გამოწვეული გაუცხოებაა, მაგრამ თავის გაიგივება ლტოლვილებთან ფარისევლობის მეტი არაფერია. დამატებით ამ საერთო გაუცხოებასთან ერთად ლტოლვილს ხომ დღის მოუსაფრობაც უჭირს, ხვალინდელი დღის გაურკვევლობაც და ზღვის მშვიდობიანი ცხოვრების ფიქრიც სტანჯავს თავის მამულში დაბრუნების შემდეგ, და, განა ასე ძნელი მისახვედრია. შენი წინაპრის ეზო-ბაკეს რომ ვერ გადააბიჯებ და მათ საფლავებზე აღდგომა დღეს ჭიქას ვერ ასწევ? თბილისის ომის დროს სახლდამწვარი ხალხი გაიხსენეთ, რომლებიც შეჩვეულ ავეჯს, წიგნებს და წინაპრების განადგურებულ სურათებს მისტიროდნენ. მათი ტკივილი ხომ აფხაზეთიდან დევნილი ხალხის ტკივილის 1 პროცენტიც არაა.



ვფიქრობ, რომ ლტოლვილთა მხრიდან ნდობის ფაქტორი ყველა მიმართულებით ამოწურულია. ორთქლის გამოშვება დამთავრდა. იქნებ, ვისაც ეს ხელეწიფება, ბოლოს და ბოლოს, ერთხელ მაინც სერიოზულად დაფიქრდეს ლტოლვილთა პრობლემებზე.

**მანანა იაშვილი**

# როგორი ალიანსია ნოდარ ნათაძესა და მანანა არჩვაძე-გამსახურდიას შორის?

*საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე, პროგრამაში „პროფილი" გენერალური პროკურორის მოადგილე ანზორ ბალუაშვილთან საუბრისას ჟურნალისტმა განაცხადა, თითქოს მანანა არჩვაძე თამარ ჩხეიძესთან, ნოდარ ნათაძესთან და ირაკლი წერეთელთან ალიანსში იმყოფება.*

*ამ ფაქტთან დაკავშირებით კომენტარი ვთხოვეთ ბატონ ნოდარ ნათაძეს.*

– ოსკარ უაილდს აქვს ერთი მშვენიერი ჰუმანისტური მოთხრობა – „კენტერბერის მოჩვენება". ძველ ციხე-დარბაზში ცხოვრობს მოჩვენება და ცდილობს დააფრთხოს ამერიკელი ოჯახი, რომელმაც ციხე-დარბაზი იყიდა. ჯერ სისხლის ლაქებს ახვედრებს კედლებსა და იატაკზე, შემდეგ, რესურსები რომ გამოელევა, ამ ლაქებს მეწამული საღებავით ხატავს. ბოლოს, ეს საღებავიც რომ გამოელევა, იძულებულია სუროგატებზე გადავიდეს და ლაქებისთვის ხან ყვითელი, ხან ყავისფერი, ხან მწვანე საღებავი იხმაროს. ოჯახის ბავშვები საუცხოოდ ერთობიან და მრისხანე მოჩვენებას ათასნაირ ოინებს უწყობენ.

დღევანდელი ხელისუფლების საპროპაგანდო არსენალი დაახლოებით იმ მოჩვენების ილეთთა მდგომარეობაშია.

თავს რომ ვერაფრით იმართლებენ და მოწინააღმდეგეს რომ საბუთით ვერ უგებენ, იძულებულნი არიან მიმართონ ჭორებს თავიანთ ოპონენტთა პირად ურთიერთობაზე ან სხვა ისეთ ილეთებს, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებს რომ შეეფერებათ. წმინდად რიტორიკული კითხვაა: განა არ უნდა უხაროდეს კაცს, მავანნი და მავანნი, გუშინ რომ ერთმანეთს მტრობდნენ, დღეს საერთო ენას რომ პოულობენ? რასაკვირველია, უნდა უხაროდეს. მაგრამ რაიკომის მდივნებისა და ცეკას მდივნების ანაქრონისტულ ხელისუფლებას ჭკუაც და ემოციებიც ცოტა სხვანაირად აქვს მოწყობილი.

ეს, რა თქმა უნდა, სხვათა შორის. ახლა რაც საქმეს შეეხება. ქალბატონი მანანა არჩვაძე მე რამდენიმე წელიწადია თვალით არ მინახავს და არც ის ვიცი, ქალბატონ თამარ ჩხეიძეს ან ბატონ ირაკლი წერეთელს უნახავთ თუ არა. თუ გაინტერესებთ ჩემი აზრი ოპოზიციური პარტიებისა და ჯგუფების ურთიერთობის შესახებ, მოგახსენებთ, მე არ მიმაჩნია შესაძლებლად ურთიერთობა *ყველა* ოპოზიციონერთან, მაგრამ საჭიროდ მიმაჩნია კავშირი ყველასთან, ვისაც *ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილად* ვთვლი. მიმაჩნია, რომ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ძალების ერთობა ჩვენი ქვეყნის გადასარჩენად უნდა ხორციელდებოდეს არა რაღაც აბსტრაქტულ სივრცეში, არამედ სავსებით კონკრეტული პრინციპების ბაზაზე, რომლებიც საქართველოსთვის სასიცოცხლო ძირითად საკითხებს ეხება. ეს პრინციპები შემდეგია:

პირველი: მიუღებელია აფხაზეთის და დანარჩენი საქართველოს დაკავშირება *კონფედერაციული* ან კონფედერაციასთან მიმსგავსებული რაღაც წესით. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო არ აწერს ხელს რუსეთის მიერ შემოთავაზებულ „პროტოკოლს" ან მის მსგავს დოკუმენტს. აფხაზეთი ქართველი ხალხის ერთ-ერთი ისტორიული ეთნიკური ტერიტორიაა, და არა მხოლოდ აფსუა ხალხისა, და სავსებით შესაძლებელია ამ ტერიტორიაზე ყველას უფლებათა ჯეროვანი რეალიზაცია საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში.

მეორე: საქართველომ არ უნდა დაუშვას, არამედ სრული კატეგორიულობით უნდა სამუდამოდ აღკვეთოს საქართველოში „ოსეთად" წოდებული ტერიტორიული პოლიტიკური ერთეულის შექმნის მცდელობა, რადგან ეს ისტორიულად და იურიდიულად უსამართლო ნაბიჯი უდრის საქართველოს ტერიტორიის დაკარგვას ახლო მომავალში, ერთის მხრივ, და საქართველოს დანარჩენი ნაწილის დაშლას ახალ ეროვნულ ავტონომიებად, მეორეს მხრივ.

მესამე: საქართველომ უნდა გააუქმოს თავისი წევრობა СНГ-ში, ანუ აღიდგინოს თავისი სრული დამოუკიდებლობა, რომელიც შეუთავსებელია ამ წევრობასთან.

მეოთხე: საქართველომ უნდა დაუყოვნებლივ გაიყვანოს რუსეთის ჯარი თავისი ტერიტორიიდან, რათა მოიცილოს ომის მუდმივი საშიშროება გარეთ და რუსეთის სპეცსამსახურთა მიერ ორგანიზებული სისხლიანი დესტაბილიზაციის მუდმივი საფრთხე შიგნით.

მეხუთე: საქართველომ ოფიციალურ დონეზე უნდა ცნოს, რომ 1991-92 წლების გადატრიალება იყო დანაშაული სახელმწიფოს წინაშე, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში ფიქტიური იქნება საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა.

სხვა ყველა კონკრეტული პრობლემები, მათი სიმწვავისა და ფუნდამენტალობის ხარისხის განურჩევლად, მათ შორის – საქართველოში დემოკრატიის მიღწევის ოპტიმალური გზათა ძებნის უმწვავესი პრობლემები – შესაძლებელია სხვადასხვანაირად განიხილებოდნენ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შემადგენელ სხვადასხვა პირთა და ჯგუფთა მიერ.

**ნ. ნათაძე**

# „ხაზზე მოეწყვეთ, თქვე „ბლიადებო" — გვიყვიროდნენ ოფიცრები"

19 წლის თბილისელი ბიჭი ლევან ბერიძე, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მამამ თავად მიიყვანა ჯარში, იფიქრა, შვილი დამივაჟკაცდებაო. ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის მარნეულის სამხედრო ნაწილში ყოფნისას ლევანმა საკმაოდ იგემა ყველა ის „სიამენი", რაც დღევანდელ ქართულ ჯარში სუფევს. ამჟამად იგი რესპუბლიკის მთავარ სამხედრო ჰოსპიტალში წევს და არცთუ სასიამოვნო თავგადასავალს იხსენებს.

„20 დღის გაწვეული ვიყავი, მარნეულის სამხედრო ნაწილში რომ მიმიყვანეს. სრული განუკითხაობა და „დომხალი" დამხვდა, ოფიცრები ახალწვეულებს საშინელი ცინიზმით ექცეოდნენ. თუ კაცს თავმოყვარეობის ნატამალი შერჩენია, ვერ მოითმენს. ჩვენ მონის მდგომარეობაში ვიყავით. ყველანაირად ვცდილობდი, ღირსება არ დამეკარგა. როგორც ვიცი, ჯარში მეომრად ამზადებენ, მაგრამ იქ სადაც გამცირებენ, სულში გაფურთხებენ და მონად გხდიან, რა მეომარი გაიზრდება, ან მე რა მინდა ასეთ ჯარში? თავი დამლაგებელი მეგონა: მოხვეტე! დაგავე! გაწმინდე! გააპრიალე! მათგან სხვა არაფერი მესმოდა. თუ ამის გაკეთება აუცილებელია, მაშინ ყველასთვის უნდა იყოს სავალდებულო და არა გამორჩევით. არადა, იქ როცა ერთხელ რაიმეს გააკეთებ, ისეთი წესია, 2 წელი სულ ეს უნდა აკეთო, ამას ოფიცრები მეუბნებოდნენ. საერთოდ მათი ოფიცრებად მოხსენიება ძალზე მეუხერხულება, იმდენად შორს დგანან იმისგან, რასაც ოფიცერი ჰქვია. საუბარი მაგათ არ იციან და მიმართვა, ყოველდღე გვესმოდა მათი ღრიალი: „ხაზზე მოეწყვეთ, თქვე „ბლიადებო". ამ ხალხს ქუჩიდან მოსულსაც ვერ დავარქმევ. ერთი მათგანი მეღორე ყოფილა და შემდეგ ზემდეგი გახდა.

ნაწილში როცა ჩავედი, საკუთარი სამხედრო ჩექმები მეცვა. ოფიცერმა კაცი გამომიგზავნა, კარანტინის დამთავრებამდე ჩექმებს თუ მათხოვებ, პრობლემები არ გექნებაო. ვიცოდი, რომ მეთხოვებინა, უკან დამბრუნებელი არ იყო. იმასაც მივხვდი, თუ არ დავთანხმდებოდი, პრობლემებს შემიქმნიდნენ. მეორე დღესვე, ახალმოსული „ნარიადში" გამიშვეს. გამომიცხადეს, რომ მოსახვეტია ტერიტორია, გასათლელია კარტოფილი, გადასაყრელია ნაგავი, დასარეცხია ჭურჭელი, გადასაწმენდია მაგიდები და მიუხედავად იმისა, რომ „ნარიადში" სამნი ვიყავით, პირდაპირ მითხრეს, ყველაფერ ამას მარტო შენ გააკეთებო. მე უარი ვუთხარი. გააკეთებო, მითხრეს. ერთმა უწმაწური სიტყვა მოაყოლა და შემაგინა. მივხვდი, საჩხუბრად მიწვევდა, მოვითმინე და სიმწრისაგან ბოძს ხელი ვგლიჯე. შემდეგ ნაწილის მეთაურთან, მაიორ გოგებაშვილთან ამიყვანეს. მაინც რა გინდაო, მკითხა მან. მე ვითარება აეუხსენი და ვთხოვე რაიმე სხვა საქმე გამოეძებნათ, ან შტაბში გავეგზავნე. შენ ერთი-ორჯერ კარგად გაილახები და ჭკუაზე მოხვალო (?!). მეთაური რომ ამას გეტყვის, რა უნდა ჰქნა? რადგან ასეა, რაც გნებოთ, ის გამიკეთეთ-მეთქი. მერე „დისციპლინარულ ბატალიონში" გაგზავნით დამემუქრა, ჰაუპტვახტი მიხსენა, ტუალეტსაც გაგაწმენდინებო... ხან შვილობით მომმართავდა. ერთ-ერთმა ოფიცერმა მკითხა, შენ სიკვდილი ხომ არ მოგინდაო?

ამის მერე სასადილოში წავედით. იქ ისეთი სუნი და საკვები იყო, ბოლომდე ვერ გავძელი, ჩემი ცარიელი თეფშები მივიტანე და გამოვედი. ოფიცრები ამიხირდნენ, თეფშები არ აგილაგებიაო. ვერ დავაჯერე: თუმცა ყველაფერი კარგად დაინახეს, მაგრამ მიზანში ვყავდი ამოღებული და საბაბს ეძებდნენ. სხვების თეფშების ალაგებაც მიბრძანეს. უარი რომ ვუთხარი, შემაგინეს, უკვე ვეღარ მოვითმინე და ვთხლიშე. ამის შემდეგ ოფიცრები დამესივნენ და აღარაფერი მახსოვს. სახე დამისივდა, ერთი დღის შემდეგ ღებინება დამეწყო, ექიმს ვითხოვდი. ნაწილის მეთაურმა რომ შეიტყო, რაც მოხდა, ნაცემ კაცს აქეთ დამემუქრა. ფეხზე ძლივს ვიდექი, წერილი დამაწერინა, რომ სამუშაოს შესრულებაზე უარს ვაცხადებდი. მუქარა არც სამხედრო ნაწილის უფროს პოლკოვნიკ სოკოლოვისაგან დამკლებია. მოკლედ, ამ მცირე ხნის მანძილზე იმდენი „კოშმარი" გამოვიარე, არათუ იმ ნაწილში, ჯარში საერთოდ არ დავბრუნდები.

ექიმების თქმით, ჰოსპიტალში 1 დეკემბრამდე უნდა ვიწვე.

ლევან ბერიძის დედა: „ეს ამბავი შუადღეზე მომხდარა, მეორე დღის საღამომდე არავინ ინახულა ჩემი შვილი. არც ნაწილის ექიმს, არც ექთანს არ მიუკითხავს, ისევ ჯარისკაცებმა ივაჟკაცეს, ლობეზე გადააძვრინეს და თბილისში ტაქსით გამოამგზავრეს. ნოემბრის დასაწყისიდან წევს, ტვინის შერყევა დაუდგინდა, ცხვირის ძვალი გატეხილი აქვს. ჰოსპიტალში კი ეუბნებოდნენ, არაფერი გჭირსო. ექიმმა გოგი ვაშაძემ ასე „დაამშვიდა": არა უშავს, ყველა ვაჟკაც კაცს ცხვირი მოგრეხილი აქვსო (?!). მხოლოდ მე-5 დღეს გახდნენ იძულებულები, ცხვირის მოტეხილობა სამედიცინო დასკვნაში ჩაეწერათ, ცალ თვალში ვერ იხედებოდა, სულ დაუწითლდა.

პირველად სართიჭალის ნაწილში იმყოფებოდა. იქიდან რომ წამოვიდა, ტანზე მკბენარები ესეოდა, ის ტანსაცმლები გადავჰყარა. თურმე ხელის დასაბანი წყალიც კი არ ჰქონიათ ჯარისკაცებს, რომელი ერთი გითხრათ, არ ვიცი...

მე კატეგორიულ უარს ვაცხადებ შვილის ჯარში დაბრუნებაზე, რადგან არანაირი გარანტია არ მაქვს რომ ცოცხალი დამიბრუნდება".

თითქმის 2 კვირა სრულდება, რაც ლევანი ჰოსპიტალში წევს და მასთან გამომძიებელს ერთხელაც არ მიუკითხავს. როგორც ქალაქის სამხედრო პროკურატურაში მაცნობეს, მათთვის ამგვარი ფაქტი არავის უცნობებია, იგივე მიპასუხეს რესპუბლიკის სამხედრო პროკურატურაშიც. არადა, ჰოსპიტლის ხელმძღვანელობამ ასეთ შემთხვევაში აუცილებლად უნდა ჩააყენოს საქმის კურსში პროკურატურა. არ ვიცი, რამდენად აქვს ადგილი დანაშაულის მიჩუმათების მცდელობას, მაგრამ ყველაფერი აქეთკენ მიდის. ეჭვებს ის ხმებიც აძლიერებს, თითქოს ნაცემი ჯარისკაცები სხვებიც არიანო ჰოსპიტალში, მაგრამ...

ერთ-ერთი მშობლის მტკიცებით, ზოგი ნაცემი ჯარისკაცი ვერ ამხელს თავის „შელამაზების" ამბავს, რათა სამხედრო ნაწილში დაბრუნებულს უარესი არ დამართონ.

არ ვიცი, ღირსება თუ არა ოდესმე თავისუფლება ხელისუფლების მეხოტბე ტელევიზიის I არხს, მაგრამ დღეს ალბათ ყველაზე მეტად არის საჭირო ასეთ პირობებში მყოფი ჯარისკაცების საჯაროდ გამოყვანა, რათა ყველამ გაიგოს, როგორ აშენებს „ვარდიკო მიხაილოვიჩი" დერჟიმორდული რუსული არმიის ფილიალს საქართველოში. იმ რუსული არმიისა, სადაც ჯარისკაცი უბრალო მონა და ტუალეტის მწმენდავი იყო და დილა-საღამოს „ბლიად-ბლიად" და „იობ ტვაიუ მატის" მეტი არაფერი ესმოდა. როგორ ითრგუნება ქართულ ჯარში ყოველგვარი ღირსება და თავმოყვარეობა ფერმიდან გამოსული ზოგიერთი ვითომ ოფიცრის „წყალობით". დამოუკიდებელ პრესას ხშირად საყვედურობენ, რაღა მაინცდამაინც ცუდზე ამახვილებთო ყურადღებას. იმას კი ნაკლებად ხედებიან, რომ ცუდზე მინიშნებით ჩვენ ამ ნაკლის გამოსწორებას ვცდილობთ, თუმცა ვაი, რომ უშედეგოდ, ხოლო თუ უფრო გულახდილნი ვიქნებით, დღევანდელ ქართულ სამხედრო ნაწილებში ქაოსი და განუკითხაობა უფრო სჭარბობს, ვიდრე სამხედრო წესრიგი და დისციპლინა, რაც საბოლოო ჯამში კარგს არაფერს უქადის ქართულ ჯარს.

**ბორის ბოხუა**

საქართველო

# აეხდება კი ფარდა ამ საიდუმლოებით მოცულ საქმეს?



ადგილი, სადაც ეს საბედისწერო შემთხვევა მოხდა

მე ვერ ვიკისრებ მოსამართლის ფუნქციას, ხელაღებით ვერ დავადანაშაულებ იმ პირებს, რომლებზეც წერილში დაზარალებული წერს, მაგრამ მათი განცხადების გამოქვეყნებაც საჭიროდ მიმაჩნია. საქმე შემდეგში გახლავთ: რედაქციაში მოვიდნენ შვილმკვდარი მშობლები (მცხოვრებნი ბორჯომში). ისინი აცხადებენ შემდეგს: შვილი მტკვარში დაეხრჩოთ. თავდაპირველად უბედურ შემთხვევაში ეჭვი არ შეუტანიათ. მათთან მივიდა ბორჯომის რ-ნის დეპუტატი ვლადიმერ ქარსელაძე, 200 დოლარი აჩუქა და უთხრა: მკვდარს ნულარ გაჭრით, ბავშვი სამი დღე წყალში იყო და ნუ აწვალებთო. არც გაჭრეს, ექსპერტიზა არ ჩაუტარდა გვამს. მოგვიანებით მამამ გაარკვია, რომ მისი შვილი კი არ დაიხრჩო, დენმა მოკლა. მტკვარზე, იქვე ახლოს, დენით თევზაობდნენ, რათა თევზი მიერთმიათ ამა სოფლის ძლიერთათვის სუფრაზე. მამის ეჭვით დეპუტატმა სწორედ ამიტომ არ გააკვეთინა გვამი. ყველანაირად ეცადნენო, საქმე არ გახმაურებულიყო, რადგან იმჟამად ლიკანში პრეზიდენტი ისვენებდა და არ უნდოდათო მის ყურს მისწვდომოდა, რაც მოხდა სინამდვილეშიო.

მხოლოდ ერთი რამ გვანუგეშებს: ბორჯომის პროკურორი წესიერი კაცია და, ვფიქრობთ, ამ ბნელით მოცულ საქმეს ნათელს მოჰფენს.

მე არ შემიძლია ქაღალდზე გადმოვცე ის განცდა, რაც ამ დარდისაგან შეჭმულ ადამიანებს სიცოცხლეს უწამლავს. ამდენი არც ნიჭი მეყო და არც გამოცდილება. ამიტომ მათსავე დაწერილ სტრიქონებს გაეცანით. უფრო კარგად დაინახავთ მათ ტკივილს.

**პაატა მანჟულაშვილი**

მცხ.ქ.ბორჯომი, ნინოშვილის ქ.1ა
დალი ტუღუშის ასულ სუპატაშვილის

## განცხადება

მოგახსენებთ, რომ ქ.ბორჯომში, 1996 წლის 4 აგვისტოს დაიღუპა ჩემი შვილი – გიორგი გიორგის ძე სუპატაშვილი. ამ ფაქტთან დაკავშირებით ბორჯომის რაიონის პროკურატურაში 1996 წლის 30 სექტემბერს მიიღეს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ. მასში ნათქვამია: სუპატაშვილმა ცურვა არ იცოდა და შეგნებულად თხოვა მაისურაძეს აღნიშნულ ადგილას ბანაობა, რათა მორიდებოდნენ ხალხს. მითითებულ ადგილას მისვლისას ორივემ გაიხადეს ტანსაცმელი და შევიდნენ მდინარეში, სუპატაშვილი ჩამოჯდა მდინარის პირას არსებულ ლოდზე და დაიწყო ხელებით ტანზე წყლის შესხმა, ხოლო მაისურაძემ გაცურა მეორე ნაპირამდე. როცა ბრუნდებოდა იგი, დაინახა გულმკერდამდის წყალში შესული სუპატაშვილი, რომელსაც დაუძახა გასულიყო წყლიდან, რაზედაც მიიღო პასუხი, რომ გავიდოდა. მდინარეში ფეხებზე მდგარ მაისურაძეს მოესმა მისგან დაახლოებით 1,5 მეტრით მოშორებული სუპატაშვილის ძახილი, მოდი, მიშველეო და დაინახა, როგორ დაფარა წყალმა მისი სხეული. ამ ფაქტს, რაც გამოძიებამ დადგენილად ჩათვალა, არ აქვს ანალიზი გაკეთებული, რადგან, თუ მაისურაძე და სუპატაშვილი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ ფეხზე წყალში, როგორ მოხდა, რომ სუპატაშვილი დაფარა წყალმა, ხოლო მაისურაძე კი არა, ან როგორ შემოესმა ხმა, როდესაც ფეხზე მდგომნი ერთმანეთისაგან 1,5 მეტრზე დგანან, თანაც მაისურაძემ დაუყოვნებლივ ჩაყვინთა წყალში. შემდგომში ამის შესახებ მთელ საქმეში ერთი კითხვაც კი არ არის დასმული. ამავე დადგენილებაში მითითებულია, რომ სუპატაშვილის მამამ წინააღმდეგობა გასწია გვამის გაკვეთისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარებაზე. გვამის გარეგნული დათვალიერებით დადგენილი იქნა, რომ სუპატაშვილს სხეულზე დაზიანების რაიმე ობიექტური ნიშნები არ აღენიშნებოდა. ასეთი მითითებაც არასწორია, რადგან ჩემი მეუღლე ესწრებოდა გვამის წყლიდან ამოღებას და მის დანახვაზე ცუდად გახდა, გამომძიებელს კი ხელს არავინ უშლიდა, გადაეტანა გვამი პროზექტურაში, ან რომელი კანონი ითვალისწინებს ასეთ შემთხვევაში ახლობლების თანხმობას ექსპერტიზის ჩასატარებლად. ეს მხოლოდ მიზეზია. ამ დადგენილებას ხელს აწერს ბორჯომის პროკურატურის გამომძიებელი გ.მაღრაძე. აღნიშნული დადგენილება გაუქმდა 1997 წლის 18 მარტს და საქმე წარმოებით შეწყდა 1997 წლის 15 ივნისს.

15 ივნისს დადგენილი იქნა 1997 წლის 15 აპრილს აღძრულ სისხლის სამართლის საქმეზე, საქმე აღძრული იყო სსკ 109-ე მუხლით!



1997 წლის 23 ივნისს ეს დადგენილება გაუქმდა, მაგრამ ამავე წლის 23 ივლისს კვლავ მიიღეს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ. საქმეზე დაზარალებულად ცნობილი ვარ. გავეცანი საქმეს სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პროკურატურაში, რომელსაც აწარმოებდა სტაჟიორ-გამომძიებელი ჭუმბურიძე, მივედი იმ დასკვნამდე, რომ სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პროკურატურის დადგენილება საქმის მასალებიდან, არ არის ჩატარებული მთელი რიგი საგამოძიებო მოქმედებები, ანალიზი არ აქვს გაკეთებული საქმეში არსებულ მოწმეთა დაკითხვებს, რის გამოც დადგენილება უნდა გაუქმდეს და საქმეზე განახლდეს გამოძიება შემდეგ გარემოებათა გამო:

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პროკურატურაში დაიკითხა ბორჯომის რაიონის პროკურატურის გამომძიებელი გ.მაღრაძე. ს.ფ. 157, რომელმაც განაცხადა: „შემთხვევის ადგილის ფოტოგრაფირება მოვახდინეთ, მაგრამ სიბნელის გამო ფოტოგრაფირებით ლენტი გაფუჭდა და სურათები აღარ გამოვიდა".

ამავე საკითხზე დაიკითხა პოლიციის თანამშრომელი ნ.მღებრიშვილი ს.ფ. 235: „გადაღებული კადრები მე მივუტანე იმავე დღეს ფოტოგრაფს, თან ვუთხარი, რომ შემთხვევის ადგილზე გადაღებული იყო კადრები".

ფოტოგრაფმა იაგორ ხუციშვილმა კი განაცხადა: „როდესაც მე გავხსენი ფოტოაპარატი, შიგ ლენტი არ იდო".

გამომძიებელმა ჭუმბურიძემ ამ სამეულის სხვადასხვაგვარ ჩვენებაზე არ იმსჯელა, არ მოახდინა მათი დაპირისპირება, არ მიიღო ზომები, გაერკვია, რომელი მათგანი ცრუობს, ან რომელი ამბობს მართალს, რატომ დასჭირდა გამომძიებელ მაღრაძეს განეცხადებია, რომ ლენტი გაფუჭდა, რატომ არ მიიღო ზომები მანვე, თუკი იცოდა ლენტის დაზიანების შესახებ, მოეხდინა ხელახალი ფოტოგრაფირება ან რატომ დასჭირდათ ეთხოვათ ფოტოაპარატი, ან შემთხვევის ადგილას რატომ არ მიიყვანეს ფოტოგრაფი-სპეციალისტი? რა იმალება ამ ფაქტის უკან? ასევე უნდა ემსჯელა მოწმეთა პასუხისგებაში მისაცემად ცრუ ჩვენებისათვის, რადგან სახეზე ჰქონდა სამი ერთმანეთისაგან განსხვავებული ჩვენება და, ცხადია, რომელიღაც ორი მათგანი ცრუობს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვამის გარეგნული დათვალიერება მოხდა 1996 წლის 6 აგვისტოს. გვამს გარეგნულად რაიმე დაზიანება არ აღენიშნება. ოქმს ხელს აწერს ექსპერტი ე.რაზმაძე. ამ საკითხთან დაკავშირებით დაიკითხა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის ლაბორანტი ზანგურიძე რაგული სერგოს ძე ს.ფ. 162, რომელმაც განაცხადა, რომ გვამს გარეგნულად სახეზე, შუბლზე, ლოყებზე, ცხვირზე აღენიშნებოდა მრავალი წვრილ-წვრილი ნაჭდევები მორუხო ფერის, გვამს წელს ზემოთ აღენიშნებოდა მოლურჯო ფერის მრავლობითი ლაქები, რომელიც უნდა ყოფილიყო ლპობის შედეგად განვითარებული. გამოძიებამ ამ შემთხვევაშიც არ მისცა შეფასება ამ ჩვენებებს შორის წარმოქმნილ წინააღმდეგობას, არ დააპირისპირა ერთმანეთთან რაზმაძე და ზანგურიძე. არ გაარკვია ექსპერტის საშუალებით, რის შედეგად შეიძლებოდა გვამის სახეზე გაჩენილიყო ნაჭდევები, ხომ არ იყო ეს ნაჭდევები მექანიკური, ხელოვნური, ან სხვაგვარი ზემოქმედების ნიშანი, ხომ არ იყო ასეთი დაზიანება გამოწვეული ელდენის საშუალებით, ან საერთოდ რას შეეძლო ასეთი ნაჭდევების გაჩენა. გამოძიების მიერ საქმეზე დაკითხულია მურცხვალიძე დავით ამირანის ძე, რომელიც აღიარებს, რომ 1996 წლის 4 აგვისტოს თავის ძმასთან და ცოლის ძმასთან ერთად დენით თევზაობდა. ბოლოს მან ეს ჩვენება შეცვალა და განმარტა, რომ იგი წინასწარ ნახა და შეაშინა გოგიტას მამამ. გამოძიებამ გაიზიარა მისი ჩვენებები, მაგრამ ისე, რომ არ დაუპირისპირა იგი ვასილ მაისურაძეს, რომელმაც ერთ-ერთ ჩვენებაში ს.ფ. განაცხადა, რომ „იმ ადგილას, სადაც გიორგი დაიღრჩო, დავინახე დავით მურცხვალიძე, მისი ძმა ზურაბი და დათოს ცოლისძმა დიმიტრი მჭედლიშვილი, სამივენი ბუჩქებში იყვნენ ჩამჯდრები. დიმიტრის ხელში ეკავა სათევზაო დენის ხელსაწყო ე.წ. „პეპელა", ზურაბი იღებდა თევზს ბადიდან. აქვე ბუჩქებთან იდო სამხედრო საველე კავშირის „კატუშკა". რა ფერის მავთული ჰქონდა შემოხვეული, ვერ დავინახე".

ე.ი. გამოძიებაში კვლავ შეიქმნა კიდევ ერთი წინააღმდეგობა. კერძოდ, სხვა ახსნა-განმარტებებში ვ.მაისურაძე ასეთს უარყოფს, ამ დროს მურცხვალიძე აღიარებს, რომ თევზაობდა დენით, შემდეგ მურცხვალიძე უარყოფს, ხოლო მაისურაძე ამხელს. ასეთ შემთხვევაში გამოძიებას უნდა მოეხდინა მათი დაპირისპირება, ჩაეტარებინა ჩხრეკა „კატუშკის" ამოღების მიზნით მოეხდინა მურცხველიძის აღიარებითი ჩვენებების მიხედვით. ვასილ მაისურაძე დამატებითი მოწმის სახით დაიკითხა 1997 წლის მაისში. ს.ფ. 182. იგი აცხადებს, რომ „ათ წლამდე ასაკის პერიოდში ვიყავი დაავადებული ეპილეფსიით. ხშირად მემართებოდა ხოლმე ბნედები და კრუნჩხვები. შენობიდან, უფრო სწორად სახლიდან ხშირად მავიწყდებოდა, რაზე მგზავნიდნენ. მახასიათებდა გონების დაბინდვა და გამოთიშულობა. ბოლო პერიოდში გ.სუპატაშვილის გარდაცვალებამდე ეპილეფსიის ნიშნები ჩემს თავზე აღარ შემიმჩნევია". გამოძიებამ ეს საკითხი უყურადღებოდ დატოვა. საინტერესოა, ან რატომ დაისვა ეს კითხვა, ან რატომ არ დააზუსტა გამომძიებელმა სინამდვილე. უნდა დაეძებნა ავადმყოფობის ისტორია, დაეკითხა მშობლები და ახლობლები, ჩაეტარებინა თავის დადგენილებით სასამართლო სამედიცინო გამოკვლევა.

გამოძიების მიერ არაერთგზის იქნა დაკითხული და ჩამოერთვა ახსნა-განმარტებები დავით მურცხვალიძეს. მათში საინტერესოა განმარტება ვ.მაისურაძის შესახებ. ს.ფ. 133: „ვასილი იჯდა უკანა სავარძელზე, აკეთებდა უკონტროლო მოძრაობებს. აგრეთვე ხმაურობდა ხმამაღლა. ს.ფ. 69: „ავტობუსში მაისურაძეს ჰქონდა არანორმალური გიჟური სახე, მე კიდევ შევეკითხე, რა დაგემართა-მეთქი, მას ხმა არ გაუცია". ს.ფ. 16: „ვ.მაისურაძე მშვიდად იყო, მშვიდად იქცეოდა". ე.ი. აქაც სახეზე გვაქვს სამი სხვადასხვა განმარტება, გამოძიება კი არც შეეცადა, გაერკვია, რატომ განმარტავს ასე მურცხველიძე. ზემოთ აღნიშნულს უნდა დაემატოს ისიც, რომ საქმეზე დაკითხული არიან სხვა პირებიც, წარდგენილი გვაქვს განცხადებები, მაგრამ მათზე არავითარი რეაგირება არ მომხდარა. გამომძიებელმა მოიხადა სამსახურეობრივი ვალი, ჩამოართვა ახსნა-განმარტებები და დაჰკითხა მოწმეები, მაგრამ არ გააანალიზა მათი ჩვენებები და არ მისცა შეფასება. საერთოდ გამოძიება საქმეს მოეკიდა ზერელედ, გამოავლინა დაბალი პროფესიონალიზმი. მთლიანად სამცხე-ჯავახეთის სამხარეო პროკურატურაში, როგორც ჩანს, დაბალ დონეზეა საგამოძიებო საქმე, სამხარეო პროკურორი არ მოქმედებს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 211-ე მუხლის შესაბამისად.

გთხოვთ, აღმოგვიჩინოთ დახმარება.

მიმაჩნია, რომ მოცემულ საქმეზე არ არის შესრულებული საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის მოთხოვნა, რის გამოც გთხოვთ გააუქმოთ დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე უარის თქმის შესახებ და საქმე გამოსაძიებლად გადასცეთ საქართველოს პროკურატურას.

შემდეგ ჩასხდნენ მანქანაში არჩილი, ჩემი მეუღლე, და ვასილი. მისი, არჩილის, მითითებით წავიდნენ იმ ადგილისაკენ, სადაც არჩილს დანახული ჰყავდა წინა დღით. დაახლოებით 10-15 წუთის შემდეგ მანქანიდან შემომესმა ჩემი მეუღლის ბღავილი, მაშინ მივხვდი, რომ ჩემს შვილს რამე ხომ არ შეემთხვა-მეთქი. მანქანა რომ გაჩერდა, ჩემი მეუღლე გადმოვარდა გულწასული და დაეცა მიწაზე. როგორც გავიგე, შემდეგ ვასილს უთქვამს მანქანაში, რომ გოგა დაიხრჩოო. მოვიდნენ ექიმები, დაცვის ხალხი, მოსულებს ბოლოს დაპირდნენ, თუ პროკურატურამ არ მიიღო ზომები, ჩვენ მოგვაკითხეო. სად არიან ახლა?

ჩამოვიყვანეთ მყვინთავები ბორჯომის რაიონის დეპუტატის ვლადიმერ ქარსელაძის დახმარებით, რომლებმაც მოითხოვეს 500 დოლარი, ქარსელაძემ გადაიხადა 200 დოლარი, დანარჩენი 300 დოლარი ჩემმა მეუღლემ. ჩემმა მეუღლემ მოითხოვა გვამის ექსგუმაცია, მაგრამ ქარსელაძემ უთხრა, ბავშვი სამი დღე წყალში იყო და ნულარ აწვალებო. როდესაც გვამი ამოიღეს, ჩემს შვილს ხელში ეჭირა 50 სმ ჯოხი, ეცვა ტრუსი და ჭიპის ზემოთ ემჩნეოდა სილურჯე. პოლიციელმა მღებრიშვილმა ფოტოსურათები გადაიღო, რაც შემდგომში არ წარუდგინა პროკურატურას და არც პროკურატურა დაინტერესდა, ვინაიდან არ უნდოდათ, ეს ამბავი გახმაურებულიყო, რადგან იმ პერიოდში ბორჯომში ისვენებდა საქართველოს პრეზიდენტი და ეს დანაშაულიც მისი იქ ყოფნის დროს მოხდა.

ვასილ მაისურაძის მთელი ოჯახი 6 აგვისტოდან, იმ დღიდან, როდესაც ჩემი შვილის გვამი ამოვიღეთ, გაიქცა ბორჯომიდან, თუ არაფერი დანაშაული არ აქვს ჩადენილი ვასილს, რატომ იმალება წელიწადზე მეტი?

**მთხოვნელი: დ.სუპატაშვილი**

*ამჟამად გამოძიებას აწარმოებს შიდა ქართლის რეგიონალური პროკურატურა, გამომძიებელი კორკოტაძე, მაგრამ ეს გამოძიებაც ტენდენციურად მიდის – აცხადებს დაზარალებული.*



აქ ინახებოდა სათევზაო ბადე

# სამარის ლოდი ან სააკაძიანას ეპილოგი

როსტომ ჩხეიძე

I

## ურცხვებმა ხალხის ნერვები როდემდე უნდა ფლითონ, სამას მეათე სირცხვილი სანიკიძეა თვითონ.




ამ ეპიგრამას („ქართული ქრონიკა“, 1993, 8 სექტემბერი) რომ წაიკითხავს გულმოწყალე, ოღონდ საქმეში ჩაუხედავი მკითხველი, იქნებ ცოტა გადამეტებული მოეჩვენოს რუსლან მიქაბერიძის სტრიქონთა სიმწვავე და გაიფიქროს: შესაძლოა ბევრი სამარცხვინო საქციელიც ჩაუდენია ეპიგრამის პერსონაჟს, მაგრამ სამას მეათე სირცხვილად მისი გამოცხადება ნამეტანი იყოსო.

ნეტავი მართლა!.. არადა, ეპიგრამისტის აღშფოთებაც გასაგებია: როცა კონიუნქტურული მოსაზრებით ერის ღირსებას ლაფში ამოსვრიან, შეუძლებელი ხდება თავი შეიკავო და ის ოდიოზური წიგნი – „309 სირცხვილი“ – პირუთვნელად არ შეაფასო.

სამას მეათე სირცხვილი თვითონ არისო...

ჩვენც ჯერ ნურც დავეთანხმებით ასეთ შეფასებას და ნურც უარვყოფთ.

ნურც იმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, ეპიგრამის პერსონაჟი კონსტანტინე გამსახურდიას უნიჭო ეპიგონად რომ წარმოგვიდგება და თავისი ბუტაფორიული წიგნები, პლაგიატობისა და სიყალბის ნაზავი, ამ გამაღიზიანებელი, უგემოვნო მანერით აქვს შესრულებული (ასე ძალიან რომ მოსწონს ეს მწერალი, რა იქნებოდა მის იმ სიტყვებსაც ჩაკვირვებოდა, კონსტანტინე გამსახურდია გიორგი სააკაძეს ეროვნულ გმირად რომ არ აღიარებდა).

მხოლოდ ის გავიხსენოთ, სხვათა შორის, რომ ლევან სანიკიძე, როგორც საბჭოური ეპოქის წარმონაქმნი, სახიერად გამოხატა თამაზ ნატროშვილმა წერილში „გვახსოვდეს მერვე მცნება“ („ლიტერატურული საქართველო“, 1983, 9 დეკემბერი). ეს იყო საზოგადოებრივი მნიშვნელობის პუბლიკაცია, რადგანაც მიმართული გახლდათ არა იმდენად ერთი პიროვნების მორალური სახის გასაშიშვლებლად, რამდენადაც მედროვეობის, ცრუმეცნიერების წინააღმდეგ. სანიკიძის კერძო მაგალითზე დამაჯერებლად არის წარმოჩენილი, თუ როგორ იწერენ და ითვისებენ ასეთი ისტორიკოსები სხვათა მიგნებებსა და მთელს თხზულებებს (კორექტურული შეცდომებიც კი ერთგულად გადააქვთ „საკუთარი“ წიგნის ფურცლებზე), მაგრამ ამასაც არ ჯერდებიან და შიგადაშიგ საგრძნობლად აყალბებენ კიდეც.

მაგრამ მაშინ არსებობდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, მფარველი და წამქეზებელი ისტორიის გაყალბებისაც და ცრუმეცნიერთა ყოველგვარი საქმიანობისაც. ურთიერთმხარდაჭერას რომ გრძნობდნენ, ამიტომაც შეთხზეს ყალბი გმირებიც და სამარის ლოდივით გადააფარეს ნამდვილ გმირებსა და წმინდანებს. ეს არის გიორგი სააკაძის კულტის გამომწვევი მიზეზიც. ამ პიროვნების ნამდვილ ბიოგრაფიას ამიტომაც შეენაცვლა გადაკეთებულ-შელამაზებული ბიოგრაფია და გაორებული პიროვნება ეროვნულ გმირად მოახვიეს ხალხს თავზე.

არიან ისტორიული პერსონაჟები, ვის ირგვლივაც დაუსრულებლად გრძელდება დავა-კამათი და ურთიერთგამომრიცხავი შეფასებანი: ზოგი ძალიან აფასებს რობესპიერს, ზოგი – არა, ზოგს უყვარს კრომველი, ზოგსაც – არა... ორჯონიკიძე ზოგის თვალში საქართველოს განმათავისუფლებელია მენშევიკური დიქტატურისაგან, ზოგისთვის კი – ერის გამყიდველი... ყოველივეს ამა თუ იმ ისტორიკოსის ან მწერლის მსოფლმხედველობა განსაზღვრავს.

იქნებ გიორგი სააკაძის მოღვაწეობის შეფასების დროსაც ასევე შევთანხმდეთ: ზოგს გვიყვარდეს და ზოგსაც – არა, ჩვენ-ჩვენი რაკურსიდან გავიაზროთ მისი პიროვნება და ბედი.

მაშ იქნებ ჩემგან აღარც ღირდეს კიდევ ერთი გამოხმაურება. ამ კულტის მიმართ ხომ რამდენჯერმე (მართალია, იძულებით) გამოვხატე ჩემი შეხედულება... და თუ მაინც მოვინდომე ზოგიერთი შენიშვნა დამერთო ლევან სანიკიძის სტატიასა („საქართველოს რესპუბლიკა“, 1996, 8 ოქტომბერი) და სვიმონ გამსახურდიას მცირე განაცხადზე („ლიტერატურული საქართველო“, 1996. 8 ნოემბერი), მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მაგალითზე მკაფიოდ მოჩანს ჩვენი ისტორიოგრაფიის საყრდენების მოშლა. როცა ასეთი უტიფარი გაყალბება წარსულისა კვლავაც გრძელდება ისტორიკოსთა თვალწინ, ვერავინ გაგვამტყუნებს დავეჭვდეთ, გვყავს თუ არა ისტორიკოსები, აღელვებს თუ არა ვინმეს, რომ საქართველოს ისტორია გამოჩნდეს ისეთი, როგორიც სინამდვილეშია.

ცხადია, ასეთ სიმკაცრეს მოვერიდებოდი, სააკაძის ეს უნიათო დამცველები ამ ისტორიული პერსონაჟის მიმართ რომ გამოხატავდნენ სიყვარულს (ეს ყველას პირადი უფლებაა) და არა მისი შეთხზულ-შეკეთებული მოღვაწეობისადმი.

გარკვეული რაკურსიდან გიორგი სააკაძე მართლაც შეიძლება იწვევდეს აღტაცებასაც კი: ვისაც ხიბლავს ძლიერი პიროვნება, ბუნებრივია, რომ სააკაძითაც მოიხიბლოს, თვით მეფეებსაც რომ არ ეპუებოდა და პირველობისაკენ ლტოლვისას ლამის ყველა და ყველაფერი წალეკა. არამცთუ ქართლ-კახეთის მეფეებს არ ემორჩილებოდა, თვით შაჰ-აბასს, მთელს აღმოსავლეთს რომ აზანზარებდა და ევროპის ქვეყნები მასთან მორიგებას ცდილობდნენ, არ შეეპუა და თავბედი აწყვლიანა.

ამ რაკურსიდან თუ შევხედავთ, თემურლენგი კიდევ უფრო დიდ აღტაცებას იწვევს და ევროპულსა და ამერიკულ მწერლობაში მისი სახელი დიდების შარავანდით ამიტომაც შემოსილა. პიროვნების მეტი სიძლიერე რაღა უნდა იყოს: უგვარტომო კაცმა ამხელა იმპერია შექმნა და მისმა ნებამ და დაუოკებელმა ჟინმა სტიქიასავით გადათქერა სამყარო. გრიგოლ რობაქიძე ამ თვალთახედვით გაიაზრებდა თემურ-ლენგის პიროვნებას, მისი ლიტერატურული კულტის შექმნაც სცადა ჩვენს მწერლობაში და ახალგაზრდებიც აიყოლია (ტიციან ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი).

ამ რაკურსიდან სერგო ორჯონიკიძეც ღირსეულად გამოიყურება, ამხელა პოლიტიკური მოვლენების შუაგულში რომ ტრიალებდა, იმ რევოლუციისა, სახე რომ უცვალა დასავლეთ-აღმოსავლეთის რუკას და ამხელა იმპერიას ჩაუყარა საფუძველი. მის პიროვნულ სიძლიერეზე მეტყველებს ისიც, რომ ამ იმპერიის მძიმე მრეწველობას უძღვებოდა და თვით სტალინსაც არ ეპუებოდა. მასთან ჭიდილს რომ არ ემსხვერპლა, კიდევ დიდხანს იბოგინებდა.

საამისო ნიმუში კიდევ ბევრი მოგვაგონდება და ვერავის წავართმევთ უფლებას, ამ საზომით გაზომოს მათი ცხოვრება, ოღონდ ბიოგრაფიის შელამაზება-დამახინჯება კი ნურას უკაცრავად.

თემურ-ლენგს გრიგალთან, ბრმა ბედისწერულ ძალასთან რომ აიგივებს, გრიგოლ რობაქიძე იმის მტკიცებას არ მოჰყოლია, რომ მის მიერ დატრიალებული სისხლის მდინარეები საქართველოს ასცდა, ანდა თემურის სარდლებმა ააოხრეს ასე ულმობლად ჩვენი ქვეყანა, თვითონ მბრძანებელმა კი ეს არ უწყოდა.

არც ორჯონიკიძის ბიოგრაფიაში მოხერხდება 25 თებერვლის ამოშლა თუ 24-ის აგვისტო-სექტემბრის სისხლისღვრის მიჩქმალვა, ვითომ არც ყოფილა, ანდა ვითომ დაუკვირვებელი და განუჭვრეტელი ნაბიჯები იყო.

რა რაკურსიდანაც გნებავთ, იქიდან უმზირე თუნდ „რკინის სერგოს“, მაგრამ დითირამბების შესხმისას, კეთილი ინებე და აღიარე ისეთი, როგორიც სინამდვილეში იყო.

გიორგი სააკაძეც რა რაკურსიდანაც გნებავს, იქიდან განსაჯე, მაგრამ ბიოგრაფიის შეცვლას, დანაშაულებრივი ქმედებების მიჩქმალვას ნულა შეეცდები. თუ ზნეობა არ გყოფნის საამისოდ, რომ გაყალბებას მოერიდო, იმას მაინც მიხვდი, რომ საბჭოური ეპოქა დასრულდა, ყოველგვარი დიქტატი მოშლილია და სიცრუეს სიმართლედ ვერაფრისდიდებით ვეღარ გაასაღებ. მეცნიერული საბუთიანობის საპირისპიროდ ცრუპუბლიცისტური ხერხები, დემაგოგია, ლანძღვა და ცილისწამება ვერაფერს გიშველის.

თუ არადა, აგერ კიდევ ერთხელ გამოჩნდება.

ლევან სანიკიძის ცრუპუბლიცისტურ, მეტიც შეიძლება ითქვას, პათოლოგიურ სტატიას სწორედ ისეთი დასაწყისი შეეფერებოდა, როგორც იწყება კიდეც:

„არ იქნა და არ დაცხრა უკვე აშკარა შადიმანობა როსტომ ჩხეიძისა... ახლა უკვე ხაზგასმით ვაცხადებ სინამდვილეს – სინამდვილეს, თუნდაც უბრალო, მარტივ-მსჯელობითი ლოგიკით:

უკეთუ რადიკალურად ანტისააკაძელი ხარ, მაშასადამე, რადიკალურადვე შადიმანელი ყოფილხარ! მორჩა და გათავდა, – აბა, რა შეიძლება ამ ფორმულირების საპირისპიროდ ამტკიცო?!“

სტატიის ავტორს „შადიმანელიც“ ეცოტავა და იქვე და შემდგომაც თვითონ „შადიმანად“ მიხსენიებს.

და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სააკაძის საძრახის მოქმედებათა დამალვა ვუსაყვედურე საბჭოურ ისტორიოგრაფიას.

საბჭოური მორალისათვის არის ეს რადიკალური ანტისააკაძელობა, თორემ ადამიანურ ენაზე პირუთვნელობა ჰქვია საისტორიო წყაროების მიუკერძოებელ განსჯას.

ესეც არაფერი.

მართლა „რადიკალურ ანტისააკაძელადაც“ რომ მოვეჩვენო ვინმეს, რატომ ვარ შადიმან ბარათაშვილი და არა, ვთქვათ, თეიმურაზ პირველი? შადიმანმა ისეთი რა დააკლო სააკაძეს, რაც მეფე თეიმურაზმა, ვინც შეძლო საბოლოოდ აღეკვეთა გაბუდაყებული ფეოდალის მანიაკალური სწრაფვა საქართველოს ერთპიროვნული მართვისაკენ?

ამიტომ სტატიის დასაწყისის ბუნებრივი ვარიაცია ასეთიც შეიძლება იყოს:

„არ იქნა და არ დაცხრა უკვე აშკარა თეიმურაზ პირველობა როსტომ ჩხეიძისა... აბა, რა შეიძლებოდა ამ ფორმულირების საპირისპიროდ ამტკიცო?!“

ბარემ არ მინდა ამ „ფორმულირების“ საპირისპირო მტკიცება, მაგრამ ჩვენი ავტორის „მარტივ-მსჯელობითი ლოგიკა“ ისეთი აბსურდულია, მარტო მასზე კი არა, შესაძლოა საერთოდ ადამიანის გონებრივ უნარზე გაგიტყდეს გული.

თურმე ორი ურთიერთდაჯახებული პიროვნებიდან ერთით თუ აღფრთოვანებული არა ხარ, „მაშასადამე“ ის მეორე გიყვარს, უფრო მეტიც, სულაც ის მეორე ხარ.

თუ სტალინი არ არის შენი სალოცავი, „მაშასადამე“ ჰიტლერი ყოფილა.

თუ ორჯონიკიძე არა გხიბლავს, „მაშასადამე“ ბერიას მეხოტბე ხარ.

ნუთუ გვეკრძალება, რომ ორი დაპირისპირებული პიროვნებიდან არც ერთი არ გვიყვარდეს?

ანდა ორი დაპირისპირებული პიროვნებიდან ორივე გვიყვარდეს?

„მარტივ-მსჯელობითი ლოგიკით“ ესეც შეუძლებელია და თუკი ივანე მაჩაბელს ქებით მოიხსენიებ, არ უნდა გაიოცო, თუ ილია ჭავჭავაძის უგულებელყოფას დაგწამებენ.

ეს რა ჩიტირეკია ყოფილაო, – შესაძლოა წამოიძახოს მკითხველმა ამ „მარტივ-მსჯელობითი ლოგიკის“ პატრონზე, მაგრამ მთლად ასეც არ უნდა იყოს, უბრალოდ, სიყალბე-სიცრუეებში მხილებული ხავსივით ებღაუჭება საძრახის ლიტერატურულ ხერხებს, უხამს გამოთქმებსაც კი არ ერიდება.

„აი, მომდგარა ეს ჩვენი ახლადმოვლენილი შადიმანი და ისევ მოუქუჩებია ყველა აქამდე ცნობილი, შიბაქის დონეზე „გააზრებული“, სააკაძის მაძაგებელი – მხოლოდ მაძაგებელი (!) წყარო, და ვითომ მათი ხელახალი ჩიჩქნა-განქექით, მკითხველს ისლა დარჩენია დაასკვნას: ჰაი დედასა, სააკაძე რომ მის ცოდვილ დედას არ დაჰბადებოდა, საქართველო ხომ უეჭველად გადარჩებოდა! შაჰ-აბასიც ხომ საქართველოს აღარც დალაშქრავდა, ბუზსაც აღარ აუფრენდა, აღარც კახეთს გაასახლებდა, აღარც ლუარსაბ მეფეს მოჰკლავდა, აღარც ქართველ უფლისწულებს დააახოჯავებდა და დახოცავდა, აღარც ქეთევან დედოფალს აწამებდა, და ა.შ. და ა.შ...“ – ამ საბჭოურ-უზრდელურ პასაჟს რომ გაეცნობა მკითხველი, ვინც საქართველოს ისტორიაში გათვითცნობიერებულია, ოღონდ ჩემი ის წერილი („ლიტერატურული საქართველო“, 1996, 16 აგვისტო) ხელთ არ ჩავარდნია, იქნებ მართლაც შეწუხდეს და გაუკვირდეს ჩემგანაც, რაღა მხოლოდ სააკაძის მაძაგებელ წყაროებს მოუყარა თავი. ან განა რომელი ისტორიული ცნობები იუწყება სააკაძის ბრალეულობას ქეთევან დედოფლის წამებასა და უფლისწულების დახოცვაში, ან შაჰ-აბასი სააკაძის გარეშე ნუთუ მართლა აღარ დალაშქრავდა საქართველოს და აღარც ლუარსაბ მეფეს მოჰკლავდაო?.. ხოლო ვისაც ჩემი ის წერილი („ვინც დედის საფლავს ხნავდა სახვნელით“) წაუკითხავს, შეუძლებელია არ შეზაროს ერთმანეთზე ულმერთოდ დახვავებულმა ტყუილებმა.

ცხადია, ჩემს მსჯელობებში მინიშნებითაც არსად გაკრთება სააკაძის ბრალეულობა ქეთევან დედოფლის წამებასა თუ ლევან და ალექსანდრე ბატონიშვილების დახოცვაში, რადგან ასეთი რამ არც ერთ საისტორიო წყაროში არ იხსენიება. იმამ-ყული-ხანი უნდილაძე და გიორგი სააკაძე არასოდეს არავის არევია ერთმანეთში და ამგვარი „ცილისწამება“ მარტოდენ ლევან სანიკიძის ფანტაზიის ნაყოფია.

ცხადია, არც ის მიწერია არსად, თითქოს შაჰ-აბასი სააკაძის დაუხმარებლად ვერც საქართველოს დალაშქრავდა და არც ლუარსაბ მეფეს მოკლავდა. მოურავის დანაშაული ის არის, რომ ამ ორივე მოვლენის თავგამოდებული მონაწილე სწორედ იგია და არა სხვა. თუ სააკაძე არ დაიბადებოდა, შაჰი, რასაკვირველია, სხვა რენეგატს ანუ სხვა სააკაძეს გამოძებნიდა, რათა გაადვილებოდა კახეთის აოხრებაც და მოსახლეობის გადასახლებაც ფერეიდანში.

განა საბჭოთა რუსეთი სერგო ორჯონიკიძის გარეშე ვერ მოახდენდა საქართველოს ოკუპაციას და ბუზსაც არ აუფრენდა? ორჯონიკიძე იყო ლენინის ერთადერთი იმედი და ის რომ არ დაბადებულიყო, საქართველოც გადარჩებოდა?

არ ვიცი, „მარტივ-მსჯელობითი ლოგიკით“ რა დასკვნას შემოგვთავაზებს ეს ჩვენი ავტორი (ვის თვალშიც, სხვათა შორის, ორჯონიკიძე პატიოსნების განსახიერებაა), მაგრამ თუკი სააკაძეს მოეხსნება ბრალეულობა 1614 წლის კახეთის აოხრებაში, მაშინ ორჯონიკიძეც უცოდველად მოგვევლინება.

შაჰ-აბასს ისევე ჰქონდა გადაწყვეტილი საქართველოს დაპყრობა, როგორც ლენინს, მაგრამ შესაფერის ჟამს ეძიებდნენ. ქართველმა რენეგატებმა კი (1614 წელს სააკაძემ და 1921

გაგრძელება მე-6 გვ.

# სამარის ლოდი ან სააკაძიანას ეპილოგი

## როსტომ ჩხეიძე

მეექვსე გვერდიდან

წელს ორჯონიკიძემ) დააჩქარეს მოვლენები და გააადვილეს ურდოების შემოჭრა.

შემთხვევითი არ არის, ორივეს რომ სული მისდის, როდის შემოუძღვება მტრის ლაშქარს, რადგანაც ამ ლაშქრობაში თავის გამოჩენაზე ჰკიდია მათი აღზევება უცხო სახელმწიფოებში.

შაჰ-აბასის წაქეზება კი ლუარსაბ მეფის მოსაკლავად ორმაგად სახეირო იყო მოურავისათვის და ასე იმიტომაც ცდილობდა: პირად ანგარიშსაც გაასწორებდა და შაჰს ერთგულებას კიდევ უფრო დაუმტკიცებდა. მოვლენები ამჯერად იმით დააჩქარა, რომ ირანის მბრძანებელს დაბეჯითებით არწმუნებდა: ვიდრე ლუარსაბი ცოცხალია, საქართველოს დამორჩილება ვერ მოგვიხერხდებაო; და შემდეგ კი დასმენასაც არ მორიდებია: ქართველები აპირებენ მალულად გაიტაცონ ლუარსაბი და მერე უკვე ველარაფერს გავაწყობთო.

შაჰს მტკიცედაც რომ ჰქონოდა გადაწყვეტილი ლუარსაბის მოშთობა, განა ეს აბათილებს გიორგი სააკაძის ბრალეულობას? მართალია, მოურავი რომ არ დაბადებულიყო, შაჰი სხვა დამსმენს იშოვნიდა, მაგრამ ისტორიამ ისე განსაზღვრა, რომ სწორედ სააკაძე აღმოჩნდა ლუარსაბის უშუალო დამღუპველი, წმინდანად შერაცხული მეფის სისხლში გარეული.

როცა ერთ სტატიაში რიტორიკული შეკითხვა დავსვი: თუ მომხდარა სადმე ან ოდესმე, რომ წმინდანის მკვლელობაში გარეული კაცი ეროვნულ გმირად შეერაცხოთ-მეთქი, ლევან სანიკიძემ ასეთი შემთხვევა რომ ვერ გაიხსენა (ან კი როგორ შეიძლება გაიხსენო ის, რაც წარმოუდგენელია მოხდეს), ცილი დამწამა, თითქოს ეს ბრალდება მე შემეთხზას და საისტორიო წყაროები კი ასეთს არაფერს გვაუწყებდნენ: „...ასეთი ულირსი „ბეზღობის“... დასაბრალებლად არავითარი, ოდნავ სანდო წყაროც საერთოდ ბუნებაშიც არ არსებობს“.

მივაქციოთ ყურადღება, რომ თვითონ „მარტივ-მსჯელობითი ლოგიკის“ პატრონის თვალშიც ასეთი საქციელი „ულირსი ბეზღობაა“, ამიტომ მთელს იმედს იმაზე ამყარებდა, რომ ამგვარი ცნობა საერთოდ არც არსებობს ბუნებაში.

არადა, როგორ არ არსებობს, თანაც ერთი საისტორიო წყარო კი არ გვაუწყებს (ჯერ იმ ერთსაც იოლად ვერავინ გამოაცხადებდა გამქრალად), არამედ: ფარსადან გორგიჯანიძე, იოსებ ტფილელი (სააკაძე), ანტონ კათალიკოსი და პიეტრო დელა ვალე. ამ წყაროების სანდოობა ჩვენს დროში დაადასტურა თამაზ ნატროშვილმა, გაბათილებით კი არავის გაუბათილებია და არც არის მოსალოდნელი. სააკაძის მეხოტბეებს რადგანაც ხელს არ აძლევთ ამ წყაროების ირგვლივ მსჯელობა და არც წმინდანის მკვლელის ეროვნული გმირობაა აგრე იოლად დასამტკიცებელი, ცხადია, ურჩევნიათ საისტორიო წყაროები მიაყრუონ ან სულაც არარსებულად გამოაცხადონ. რაკილა მიყრუება ველარ ხერხდება, დემაგოგიურ ილეთთა არსენალი ხომ ხელთა აქვთ. ამიტომაც ცდილობს ლევან სანიკიძე მკითხველი გააცუროს, თითქოს ის აზრი გამომეთქვას: სააკაძე რომ არა, შაჰი ლუარსაბს არ მოკლავდაო... არც საქართველოს დალაშქრავდაო... ქეთევანისა და უფლისწულების წამებაშიც სააკაძის ბრალეულობის გამოგონებაც ამიტომ დაჭირდა, რომ თავის მიერ შეთხზული აბსურდების დახვავებით მიეჩქმალა ჩემი, უფრო სწორად, საისტორიო წყაროების სიმართლე.

პასუხი რომ გაიჩნდეს, ეს დემაგოგია არ დაჭირდებოდა, ისევე, როგორც იმის შეთხზვა, თითქოს მხოლოდ სააკაძის მაძაგებელი წყაროები მომექუჩებინოს.

თუ ერთხელ კიდევ გადავავლებთ თვალს ჩვენს მიერ დამოწმებულ უხვ ცნობებს კახეთის 1614 წლის აოხრების თაობაზე, დავრწმუნდებით, რომ ესაა პირუთვნელი საისტორიო თხრობა, მოკლებული ყოველგვარ მსჯავრს, მითუმეტეს ძაგებას: ბერი ეგნატაშვილიც, ვახუშტი ბატონიშვილიც, არაქელ დავრიჟეცი, არქანჯელო ლამბერტიც, ბართოლომეო ფეროც, ნასროლა ფალსაფიც ეპიური სტილით ყვებიან ისტორიულ ამბავს და საქართველოს წარსულის ეს ტრაგიკული ეპიზოდი სიმართლით რომ არის აღწერილი, ისიც აშკარად მოწმობს, რომ ქართველი, სომეხი, იტალიელი და სპარსელი ავტორები ერთსულოვანნი არიან, თუ როგორ აქეზებს შაჰს სააკაძე და ურჩევს ყველაზე მარჯვე დროს სალაშქროდ. ეს ის აოხრებაა, სომეხ მემატიანეს ისიც რომ ათქმევინა: „ვერც პირი იტყვის და ვერც ენა აღწერსო“.

მემატიანენი გადმოგვცემენ იმას, რასაც ისტორიული ლოგიკა ადასტურებს.

თუ არა სამშობლოს ამგვარი გამეტება, სააკაძე სხვაგვარად ასე ვერ დაწინაურდებოდა შაჰის კარზე.

ეს წყაროები დავიმოწმე ისტორიული სიმართლის გასარკვევად, საბჭოური ისტორიოგრაფიის მიერ წაშლილი სტრიქონების აღსადგენად და კიდევ ჩვენი „მარტივ-მსჯელობითი ლოგიკის“ პატრონის იმ მყიფე მტკიცების სამხილებლად, თითქოს სააკაძე აქილევსივით განაწყენდა და საომარ ასპარეზს გაერიდა, ეს იყო და ეს.

თურმე კახეთის ულმერთო აოხრება და მოსახლეობის აყრა-გადასახლება შუაგულ ირანში (რომლის გეგმაც, მიხეილ თამარაშვილის მიერ მიკვლეული მასალების თანახმად, უშუალოდ სააკაძის მიერ ყოფილა დამუშავებული) ბრძოლის ველიდან გარიდება ყოფილა.

სხვა რა გზა აქვს: ასეთი შეუსაბამო „პარალელები“ თუ არ მოიშველია, აშკარა მძიმე დანაშაულებრივ ქმედებას რა შეღავათი მოეძებნება?

ეს რომ ყოვლად შეუძლებელია, თვითონ ეს ჩვენი ავტორიც გრძნობს და, მიუხედავად თავგადაკლული ცდისა, შეალამაზოს და გადაასხვაფეროს სინამდვილე, იძულებულია აღიაროს, რომ: „...გარკვეულ ჟამს, გიორგი სააკაძის დაუკვირვებელ და განუჭვრეტელ ცდომილებათა მიზეზით, საქართველოს ბევრი სისხლი დაექცა“.

ამჯერად ნუღა გამოვედევნებით იმას, რომ არა მხოლოდ „გარკვეულ ჟამს“, არამედ – გაუთავებლად, რაც სახელმწიფო გადატრიალების (საბედნიეროდ, მარცხიანი) მცდელობით დააგვირგვინა.

განა შეიძლება ეროვნულმა გმირმა თავის სამშობლოს ბევრი სისხლი დაუქციოს?..

რაკილა უკვე ველარ ხერხდება უარყოფა, რომ სააკაძის მიზეზით საქართველოს ბევრი სისხლი დაექცა, და ისიც ნათელია, ბევრი სისხლის დამქცევი ვინც შეიძლება იყოს, ჩვენი წითელი ისტორიკოსი საბჭოური ილეთით ცდილობს დანაშაულის შერბილებას: დაუკვირვებელი და განუჭვრეტელი ცდომილებაო.

როგორ არა: სერგო ორჯონიკიძეც ასევე დაუკვირვებლად და განუჭვრეტლად მოქმედებდა!..

ვითომ დიდი დაკვირვება და განჭვრეტა სჭირდება იმას, დამპყრობლის ლაშქარს რომ შემოუძღვებით ყველაზე მარჯვე ჟამს (ზამთარში სჯობსო, შაჰ-აბასს რომ ურჩევდა) და მხოლოდ შენი შემწეობით გაარღვევენ ყიზილბაშები ქართველთაგან საიმედოდ დაცულ ხეობას, რა საზარლობა შეიძლება დატრიალდეს.

ხოლო თუ ამდენიც ვერ გაჭვრიტა და ვერაფრისდიდებით ვერ წარმოიდგინა, დამპყრობელი რას ჩაიდენდა, მაშ ჭკუანაკლული ყოფილა და თუ მომხდარა სადმე ან ოდესმე, რომ ჭკუანაკლული ეროვნული გმირად შეერაცხოთ!

საბჭოური მორალით ყველაფერი შეიძლება: თუნდ მოღალატე აქციონ გმირად და თუნდ ჭკუანაკლულიც, მაგრამ ადამიანური საზომით ასეთი შეკითხვაც კი სასაცილოზე მეტია.

ერთ სტატიაში ამ ჩვენმა ავტორმა აკი ისიც აღიარა, რომ მოურავი იყო: „...ძალიან პატივმოყვარე (ახლა რომ „ეგოისტსა“ და „კარიერისტს“ ვუწოდებთ) ...და უაღრესად შურისმგებელი, არაშემწყნარებელი და არამიმტევებელი“.

არც მეტი, არც ნაკლები, თვითონ ბოროტ არსებად გვისახავს სააკაძეს, მე კი ისეთს რას ვაშავებ, ძვირფასო მკითხველო, ამ „მარტივ-მსჯელობითი ლოგიკის“ შემყურეს ასეთი შეკითხვა რომ დამებადოს:

ნუთუ ეს ეროვნული გმირის თვისებებია?

ნუთუ ზნეობრივ ორიენტირად ამგვარი ბუნების კაცი შეიძლება გავიხადოთ?

პასუხად ქოშის უკულმა ყრა კი არ გამოდგება, არამედ უნდა დასახელდეს ასეთივე პიროვნული თვისებების მქონე სხვა ეროვნული გმირები, გნებავთ ჩვენი წარსულიდან, გნებავთ სხვა ქვეყნების ისტორიიდან.

„მარტივ-მსჯელობითი ლოგიკისათვის“ ასეთი პასაჟების ჩართვაც საერთო პათოსის განუყრელი ნაწილია:

„ალბათ, როგორ სძულთ ამ „პროგრესულ შადიმანისტებს“ სწორედ „კომუნისტურ ჯოჯოხეთში“ შობილი ფილმი – „გიორგი სააკაძე“, დიდებული ძეგლი დიდი ქართული კინოხელოვნებისა და როგორ სწყევლიან, თუ დასცინიან იქ მონაწილე დიდ ხელოვანთ – ვერიკო ანჯაფარიძეს, აკაკი ხორავას, აკაკის ვასაძეს და ყველას...“.

ჯერ ის რა არის, რაც უეჭველი ჰგონია, და მისი ვარაუდები ხომ რაღა იქნება.

ამ ძეგლის დიდებულებაზე განსხვავებული შეხედულება მაქვს, მაგრამ ის კი აუხსნელია, რატომ უნდა მძულდეს ეს ფილმი ან იქ მონაწილე მართლაც დიდ ხელოვანთ რატომ უნდა ვწყევლიდე ან დავცინოდე?! არამცთუ ისინი, თვით ეს ჩვენი ავტორიც კი არა მძულს, მიუხედავად უშურველი ლანძღვა-ცილისწამებებისა ჩემს მიმართ. მებრალება მხოლოდ. მაგრამ გაცილებით უფრო მებრალებიან ჩვენი დიდებული მსახიობები, რომელთაც საბჭოურმა რეჟიმმა არ დააცალა სრულყოფილად გამოემჟღავნებინათ თავიანთი ტალანტი და, ნაცვლად ყალბი ფილმისა, ნამდვილ ფილმებში ეთამაშათ. დიდი ხელოვნება, აი, მაშინ გვენახა.

არადა, ყალბ ფილმს დიდი მისია დაკისრებოდა: ხალხის გონებაში მტკიცედ ჩაებეჭდათ გიორგი სააკაძის კულტი, ნამდვილი ეროვნული გმირების ნაცვლად თავზე მოეხვიათ ყალბი გმირი.

ჩვენი ავტორი კი სულ სხვა შეხედულებისაა და გადაჭრით უარყოფს სააკაძის კულტის შექმნის ამ მიზეზს: „და მაინც – ნუთუ მართლა, ოდნავადაც ნორმალურად მოფიქრალ კაცს მოეფიქრება, რომ – სააკაძის, როგორც ეროვნული ფენომენის წინა პლანზე წამოწევა „საბჭოურ-კომუნისტური რეჟიმის“ ინიციატივი და აკვიატება ყოფილა?!“

ოდნავადაც ნორმალურად მოფიქრალსო...

ასეთ გამოთქმას მაინცდამაინც ნუ იხამუშებთ, ძვირფასო მკითხველო, რადგანაც ის ამოვარდნილი არ არის „მარტივ-მსჯელობითი ლოგიკის“ პატრონის მორალური ჩარჩოებიდან. ჩვენ მხოლოდ ერთად გადავავლოთ თვალი რეალურ ვითარებას და საბოლოოდ გავარკვიოთ ჩვენს საისტორიო მეცნიერებაში გიორგი სააკაძისათვის ახალი, შელამაზებულ-გადაკეთებული ბიოგრაფიის შექმნის გარემოებანი.

## II

მიხეილ ჭიაურელის ორსერიანი ფილმი „გიორგი სააკაძე“ გადაღებულია (1942-43 წლებში) პირადად სტალინის დაკვეთითა და მითითებებით.

სტალინი ისე ძალიან იყო დაინტერესებული არამარტო ამ ფილმის შექმნით, არამედ ისტორიული სინამდვილისა და სააკაძის სახის გარკვეული რაკურსით წარმოსაჩენად, რომ მოითხოვა წინასწარვე გაეცნოთ მისთვის ფილმის სცენარები: შესარჩევად და დასახვეწად.

მეორე მსოფლიო ომი უკვე დაწყებულია, გერმანული არმიები ქვეყანას ქვეყანაზე იმორჩილებენ და თუმცა საბჭოთა კავშირის საზღვარი ჯერ არ გადმოულახავთ, ესეც დღედღეზეა მოსალოდნელი. და ასეთ დროს რუსეთის იმპერატორი იცლის იმისათვის, რომ გულდასმით დაამუშავოს გიორგი ლეონიძისა და ანა ანტონოვსკაიას მიერ დაწერილი სცენარები და თავისი მოსაზრებანი გაუზიაროს კინომრეწველობის მინისტრს ბოლშაკოვს (სტალინის ამ წერილს მკითხველი სრულად გაეცნობა აკაკი ბაქრაძის წიგნში: „კინო. თეატრი“, 1989 წ., გვ. 90-91).

როდის იყო უმაღლესი ხელისუფალნი კინოსცენარებს კითხულობდნენ, თანაც, ასეთ კრიზისულ ყოფაში?!

ეტყობა, ეს მაშინ, ხდება, როცა ამა თუ იმ მოვლენას სახელმწიფოებრივი (ჩვენს შემთხვევაში, პარტიული) მნიშვნელობა ენიჭება.

რაკილა სცენარის ავტორებმა წინასწარვე უწყიან, რომ სააკაძე გმირად უნდა გამოიძერწოს და ფილმი ჰეროიკულ-სახოტბო ხერხებით ამეტყველდეს და ეს იმ კაცის ნება-სურვილია, ადვილი მისახვედრია, რომ თავს არ დაზოგავდნენ. თითქოს მოსალოდნელი იყო, რომ გიორგი ლეონიძის სცენარი ბევრად დაჯაბნიდა ანა ანტონოვსკაიასას (მათი ნიჭის შედარებაც ხომ უხერხულია), მაგრამ სტალინმა სხვაგვარად განსაჯა:

ხელაღებით დაიწუნა ლეონიძის თხზულება, მიიჩნია, 'რომ გადაკეთებაც ვერ უშველიდა („ჩვენი აზრით, ლეონიძის სცენარი წარუმატებელია. მხატვრულად ღარიბია. რამდენადმე პრიმიტიულია ისტორიული მასალის არჩევისა და გამოყენების თვალსაზრისით“), სამაგიეროდ მოიწონა ანტონოვსკაიას სცენარი, ოღონდ დაურთო არსებითი შენიშვნა, რომლის გათვალისწინების შემდგომაც შესაძლებელი იქნებოდა ფილმის გადაღება, რადგანაც მაშინ უკვე ეს თხზულება შეფასდებოდა, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილება საბჭოური კინემატოგრაფიისა.

სტალინის წერილში მრავალმხრივ დამაფიქრებელია ერთი პასაჟი, რომლის მიხედვითაც მივაკვლევთ ლეონიძის სცენარის დაწუნების ნამდვილ მიზეზსაც და, რაც მთავარია, სააკაძის კულტის დამკვიდრების ყველაზე პირადულ და მნიშვნელოვან მოტივსაც:

„...როგორც ისტორია მოგვითხრობს, სააკაძის პოლიტიკა თუმცა პროგრესული იყო საქართველოს მომავალი პერსპექტივის თვალსაზრისით, მარცხი განიცადა, თვითონ სააკაძე კი დაიღუპა, რადგანაც საქართველო სააკაძის დროს არ იყო მომწიფებული ასეთი პოლიტიკისათვის, ანუ გაერთიანებისათვის ერთ სახელმწიფოდ მეფის აბსოლუტიზმის დაფუძნებითა და თავადთა ხელისუფლების განადგურების გზით. მიზეზი ნათელია: თავადობა და ფეოდალიზმი აღმოჩნდნენ უფრო ძლიერნი, ხოლო მეფე და სამეფო კარი უფრო სუსტი, ვიდრე სააკაძე ვარაუდობდა.

სააკაძე გრძნობდა საქართველოს ამ შინაგან სისუსტეს და აპირებდა ამის აღმოფხვრას საქმეში გარეშე, უცხო ძალების ჩარევით. მაგრამ გარეშე ფაქტორის ძალას არ შეეძლო ანაზღაურება ქვეყნის შინაგანი სისუსტისა. ასეც მოხდა, როგორც ცნობილია. ამ გადაუჭრელ წინააღმდეგობათა გამო სააკაძის პოლიტიკას უნდა განეცადა – და კიდეც განიცადა – მარცხი“.

„როგორც ისტორია მოგვითხრობსო“, – სტალინი რომ ამბობს, მართლა ისტორიის მონათხრობს კი არ ეყრდნობა, არამედ ანტონ ფურცელაძის წიგნს „გიორგი სააკაძე და მისი დრო“, რომელშიც პირველად მიეწერა მოურავს ოცნება და ბრძოლა საქართველოს გაერთიანებისთვის, მაშინ, როცა საისტორიო ქრონიკებში ამის ოდნავი მინიშნებაც არ არსებობს და ისტორიული რეალობაც ამასვე ადასტურებს. ფურცელაძემ გააყალბა სააკაძის სოციალური წარმოშობაც, ვითომდა იგი გლეხი იყო და არა დიდგვაროვანი. ამ გარემოებამ კი კიდევ ერთი სხივი შესძინა მოურავს ხალხოსანთა და სოციალ-დემოკრატების თვალში. სტალინიც სიჭაბუკეში ანტონ ფურცელაძის სააკაძით იქნებოდა მოხიბლული და საკუთარ თავს გულში იქნებ მასთანაც აიგივებდა (გლეხის ბიჭი ებრძვის მეფის ხელისუფლებას!).

დადგება ჟამი და მათი ბიოგრაფიების საკვანძო ეპიზოდი მართლაც დაემგვანება ერთმანეთს: სტალინმა (ორჯონიკიძესთან ერთად) დაგეგმა წითელი არმიის შემოჭრა საქართველოში და აქეზებდა ლენინს, რათა ეს განზრახვა არ გადადებულიყო. ორჯონიკიძე შემდგომ უშუალოდ მონაწილეობდა საბრძოლო მოქმედებებში და 1921 წლის 25 თებერვალს ტრაგედია მის სახელს ამიტომ უფრო გადაეჯაჭვა, თორემ სტალინიც ძალიან გაისარჯა ამ საბედისწერო თარიღის დადგომისათვის.

დააკვირდით მის სიტყვებს: .

– სააკაძე გრძნობდა საქართველოს ამ შინაგან სისუსტეს და აპირებდა ამის აღმოფხვრას საქმეში გარეშე, უცხო ძალების ჩარევით.

სრულიად აშკარაა, სტალინი ამართლებს სააკაძის საქციელს – ყიზილბაშების ლაშქარს რომ შემოუძღვა, უცხო ძალების ჩარევა ხომ ქვეყნის სისუსტის აღმოსაფხვრელად, ანუ საქართველოს გაერთიანებისათვის სჭირდებოდაო. მისი მარცხის მიზეზად კი იმას მიიჩნევს, რომ გარეშე ძალამაც ვერ აანაზღაურა საქართველოს მეტისმეტი სისუსტე და მოუმწიფებლობა სააკაძის პოლიტიკის ხორცშესასხმელად.

კიდევ და კიდევ დააკვირდით ამ სიტყვებს, ამ მსჯელობას, ამ შეხედულებებს:

გიორგი სააკაძის პოლიტიკა – უცხო ჯარის შემოყვანა თავის სამშობლოში – მხოლოდ იმიტომ დასრულებულა მარცხით, რომ საქართველო იმაზე უფრო დასუსტებული აღმოჩნდა შინაგანად, ვიდრე მოურავს წარმოედგინა, თორემ შესაფერისი პირობები რომ ყოფილიყო, უცხო ჯარი მოახერხებდა ქვეყნის სისუსტის აღმოფხვრას და სააკაძის თავკაცობით თავად-აზნაურობას რომ გაანადგურებდა, საქართველოს განმათავისუფლებლად მოევლინებოდა.

ასე რომ, თუ ქვეყანა დასუსტებულია, იქ უცხო ჯარის შესვლა არამცთუ სასურველი, აუცილებელიც კი ყოფილა.

რასაც იმ „დასუსტებული“ ქვეყნის შვილები დაპყრობას უწოდებენ, თურმე ეს ყოფილა გათავისუფლება.

სააკაძის პოლიტიკაზე მსჯელობისას მკაფიოდ იკვეთება სტალინის მიერ ნაგულისხმევი ქვეტექსტი: გაამართლოს საქართველოს 1921 წლის ოკუპაცია და თავადაზნაურთა ლიკვიდაცია, რაც თურმე ჩვენი ქვეყნის სისუსტის აღმოფხვრად და გადარჩენად უნდა მივიჩნიოთ.

სააკაძეს თუ არ შეეწყო შესაფერისი პირობები, სტალინს (და ორჯონიკიძეს) სწორედ შესაფერის ჟამს მოუხდა გარეშე ძალების ჩარევა საქართველოს შინაურ საქმეებში და რაც სააკაძეს მარცხით დაუმთავრდა, ახლა უკვე ხორცი შეესხა.

ასეთ მსჯელობასა და შეხედულებებს ნუ გავიკვირვებთ.

ასეთია საბჭოური მორალი და მსოფლმხედველობა: ყველა და ყველაფერი უკუღმართად წარმოისახოს, დამპყრობელს განმათავისუფლებელი დაერქვას, საოკუპაციო ჯარს – სამშვიდობო მისიით მოსული, პატრიოტს – ყაჩაღი, რენეგატსა და ერის გამყიდველს – გმირი... ამ კონცეფციით გადაისინჯოს ერის წარსულიც და ნამდვილ ისტორიას შეენაცვლოს ყალბი ისტორია, რათა საბოლოოდ დაეცეს ზნეობა.

რაკილა გამართლებულად და აუცილებლად დაისახა 1921 წლის წითელარმიული ლაშქრობა, 1614 წლის ყიზილბაშური შემოსევაც ასევე, ამ თვალთახედვით შეფასდა.

ორივე ლაშქრობის წამქეზებელნიც შარავანდით შეიმოსნენ.

საბჭოურ-კომუნისტური შარავანდით.

გიორგი ლეონიძის სცენარის დაწუნების მიზეზიც აქ უნდა ვეძიოთ.

გაგრძელება იქნება

პრეს კურიერი

გაზეთი გაზეთში

# რუსები ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვღალატობენ და მაინც მათ „ვეხუტებით“

საქართველოს ხელისუფლებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარება რუსეთის გარეშე ვერ წარმოუდგენია. არადა, სამწუხაროდ, რუსეთი ჩვენი კეთილგანწყობით მშვენივრად სარგებლობს. ჯერ იყო და არძინბა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს შეუთანხმდა, რკინიგზის და კომუნიკაციების დასაცავად ქართული ფორმირებების ავტონომიურ რესპუბლიკაში შეყვანაზე დათანხმდა და რუსების მიერ წაქეზებულმა ომი გამოგვიცხადა. ომი ვერაა კარგი საქმე და ქართველ-აფხაზები უნდა შევარიგოთო – ვენები „გადაიხსნა“ ბორის ელცინმა და 1992 წლის 3 სექტემბერს მოსკოვში დიდი ზარ-ზეიმით შეთანხმებაზე ხელი მოგვაწერინა. ჯერ გაგრა-ბიჭვინთაში მოსახლეობის დაბრუნება და სწავლის დაწყება გვაცალეს და ორ ოქტომბერს რუსულ ტანკებზე ამხედრებულ აფხაზებს ამოახოცვინეს ქართველები. იმავე წლის 15-16 მარტს რუსებმა, აფხაზებთან ერთად უკვე აშკარად შეუტიეს სოხუმს, მაგრამ ქართველმა მოხალისეებმა კუდით ქვა ასროლინეს. მიხვდნენ რუსები, რომ შეიარაღებულ სოხუმს ვერ აიღებდნენ და ტაქტიკა შეცვალეს. ისევ „მოინდომეს“ ჩვენი და აფხაზების „შერიგება“. საქართველოს ხელისუფლებამ ისევ დაიჯერა და 27 ივლისს არა მარტო საომარი მოქმედებები შეწყვიტა, განიარაღდა კიდეც (თანაც ფული გადაიხადა). ბევრს არ ეპიტნავა 27 ივლისის ხელშეკრულება და სახელმწიფოს მეთაურიც განარისხეს. 14 სექტემბერს მან გადადგომაც დააპირა, მაგრამ ზოგიერთებმა დაუჩოქეს, ბოდიში მოუხადეს და ისიც დაბრუნდა. ამასობაში, ჩვენი საომარი ტექნიკა აფხაზეთიდან გამოვიტანეთ და 16 სექტემბერს რუს-აფხაზებმა სოხუმზე შეტევა დაიწყეს, 27 სექტემბერს სოხუმი აიღეს, ხოლო ოცდაათში მდინარე ენგურამდე ტერიტორია ქართველებისგან გაწმინდეს. დარჩენილ ქართველთა უმეტესობა მხეცურად ამოხოცეს. მთავარი დამრტყმელი ძალა, გუდაუთაში დისლოცირებული რუსეთის 345-ე სადესანტო მოიერიშე დივიზია სეპარატისტებთან ერთად ქართველებზე გამარჯვებას ზეიმობდა და მათ დროშას დააფრიალებდა. ჩვენმა ხელისუფლებამ მაინც ურუსეთოდ „ვერ გაძლო“ და ცხრა თვის შემდეგ 345-ე დივიზია „მიროტვორცებად“ ენგურზე ჩაგვიყენა. 1994 წლის 26 ივნისიდან „მიროტვორცები“ მოვალეობის „პატიოსნად შესრულებას“ შეუდგნენ და ენგურს გაღმა (თორმეტკილომეტრიან ზონაში) გააგრძელეს თავიანთი „საქმენი საგმირონი“.

იმავე წლის ოთხ ივლისს („მიროტვორცებად“ მონათვლის მერვე დღეს) ხობის რაიონის სოფელ თორსის მცხოვრები ვახტანგ ჩხაპელია მოკლეს.

23 ივლისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ანაკლიაში დისლოცირებული „მიროტვორცების“ ორმა ტანკმა ხობის რაიონის სოფელ ყულევის მიმართულებით ატეხა (ორი საათის განმავლობაში) სროლა. საბედნიეროდ, მას ადამიანის მსხვერპლი და ნგრევა არ მოჰყოლია. სამაგიეროდ, მთვრალმა „მიროტვორცებმა“ მდინარე ხობისწყალზე მეთევზეებს ნავი წაართვეს. თან ქართველი ხალხი და ხელისუფლება „თბილად“ მოიხსენიეს.

27 ივლისს უკვე ანაკლიელი „მიროტვორცების“ მეთაურმა პოლკოვნიკმა კარელინმა გამოიჩინა თავი. ზუგდიდელ ჩაჩავას (კომერციული ფირმის დირექტორი) აფეთქების მუქარით, ბარგით ჩაის გადატანის დროს 600 ათასი რუბლი წაართვა.

1995 წლის მარტში რუსმა მშვიდობისმყოფელებმა ზუგდიდის პოლიციის თანამშრომელს ხუფენიას ტაბელური ავტომატი წაართვეს და მხოლოდ 200 ათასი რუბლის გადახდის შემდეგ დაუბრუნეს.

14 აპრილს, დილის 4 საათზე ბატალიონის მეთაური პოდპოლკოვნიკი ვოლკოვი ზუგდიდის პოლიციის სამმართველოს ეწვია და ჩადენილი დანაშაულობებისათვის დაკავებული გეგეჭკორის (გეგეჭკორის დედა რუსი „მიროტვორცების“ ზუგდიდის შტაბში მუშაობს) განთავისუფლება მოითხოვა. უარი რომ მიიღო, ვოლკოვმა დილის შვიდ საათზე ბატალიონის პირადი შემადგენლობა განგაშის სიგნალზე წამოყარა და საბრძოლო ტექნიკის გამოყენებით პოლიციის სამმართველოს მორიგეები განაიარაღა. ოთხი ავტომატი და ოთხი პისტოლეტი „ხელს გააყოლა“.

25 ივლისს და 12 ივლისს სოფელ ზედა ეწერის პოსტზე (ზუგდიდის რაიონი) ლენინაკანელმა „მიროტვორცებმა“ ზუგდიდელებს – ემზარ ბულიას და თენგიზ ფიფიას შესაბამისად 250 ათასი და 50 ათასი რუბლი წაართვეს. თან ცინიკურად დააყოლეს, ქართველების ინტერესებს ვიცავთ და ამისთვის საფასური გვეკუთვნისო.

25 ივლისს მოქალაქე მებონიასთვის მოპარული ავტომანქანისა და პირადი ნივთების რაიონიდან გატანის მცდელობისას სომეხი ეროვნების „მიროტვორეცი“ ზუგდიდის პოლიციამ დააკავა.

14 აგვისტოს სოფელ დარჩელის (ზუგდიდის რაიონი) პოსტზე „მიროტვორცებმა“ პოლიციის გალის რაიგანყოფილების დევნილი თანამშრომელი ნუგზარ კვარაცხელია უმიზეზოდ დააკავეს. ჯერ ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ სამეურნეო მაცივარში ჩაკეტეს. თან დაემუქრნენ, პოლიციის თანამშრომელი ხარ და აფხაზებს გადაგცემთო. კვარაცხელია მხოლოდ ქართველ მეთვალყურეთა მეთაურის გენერალ დიულა აბაშიძის ჩარევის შემდეგ გაანთავისუფლეს.





19 აგვისტოს რუსები წალენჯიხის პოლიციის რაიგანყოფილებას დაესხნენ. მთვრალმა სამხედროებმა უწესრიგო სროლით შენობის მინები ჩაამსხვრიეს. შემდეგ „ბეტეერით“ სამსახურის ავტომანქანა „ჟიგული“ „მიჭეჭყეს“ და პოლიციელებიც მიბეგვეს.

იმავე დღეს დაბა ჯვარის (წალენჯიხის რაიონი) პოსტზე სამხედროებმა უშიშროების თანამშრომელ მუშკუდიანს სატაბელო პისტოლეტი „მაკაროვი“ წაართვეს.

1996 წლის სამ იანვარს ლენინაკანის ბატალიონის მთვრალმა მოსამსახურეებმა ხელყუმბარის აფეთქების მუქარით დაბა ჯვარში კომერციული ჯიხურები დააყაჩაღეს.

ექვს იანვარს იმავე პოსტზე ოთხ საათზე ჯვარი-თბილისის მარშრუტის ავტობუსი გააჩერეს და იარაღის გამოყენების მუქარით მძღოლს და მგზავრებს ფული წაართვეს.

21 მარტს ისევ ჯვარში, იმავე ლენინაკანის ბატალიონის სამხედროებმა სოხუმელ დევნილ თამაზ კოპალიანს საკუთარი ავტომანქანა „ვაზ-2106“ წაართვეს. ბატალიონის მეთაურმა, პოდპოლკოვნიკმა ციგანკოვმა კოპალიანს მანქანის გამოსასყიდად რვა მილიონი რუბლი მოსთხოვა. ავტომანქანა პატრონს მხოლოდ აფხაზეთის (დევნილი) უშიშროების სამინისტროს თანამშრომლების და ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების დაჯგუფების სამხედრო კონტრდაზვერვის სამმართველოს თანამშრომლის კაპიტან შავრაის ჩარევის შემდეგ დაუბრუნდა.

16 ივლისს სოფელ ანაკლიაში დისლოცირებულმა მთვრალმა სამხედროებმა გზაზე მიმავალ ავტომანქანას გაუხსნეს ცეცხლი. საბედნიეროდ, არავინ დაღუპულა.

17 ივლისს ჯვრის პოსტზე, მთვრალმა სამხედროებმა იარაღის ძებნის საბაბით აფხაზეთიდან დევნილ ნივი ბელქანიას მანქანიდან შეშის გადმოტვირთვა მოსთხოვეს. ფიზიკურად ვერ შევძლებო, რომ უთხრა ბელქანიამ, ჯარისკაცებმა ის სასტიკად სცემეს.

19 ივლისს მთვრალმა „მიროტვორცებმა“ „თ-72“ ტიპის ორი ტანკით ანაკლიის პლაჟზე ვოიაჟი მოაწყვეს და ქალებს და ბავშვებს დაერივნენ.

1997 წლის ორ იანვარს რუხის (ზუგდიდის რაიონი) პოსტზე გალეშილმა სამხედრო მოსამსახურეებმა – ბატალმა, სამბატოვმა და ზაქარიაძემ ადგილობრივ მოსახლე გიორგი ზურაბიანის ოჯახს მორალური და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. გვერდზე მყოფმა ზუგდიდის საგზაო პოლიციის თანამშრომლებმა შეძლეს მათი დაწყნარება და დისლოკაციის ადგილზე გაგზავნა. განაწყენებულმა სამხედროებმა რუხის პოსტის პირადი შემადგენლობა განგაშზე წამოყარეს და ზურაბიანის სახლი ავტომატური იარაღით დაცხრილეს. შემდეგ ზუგდიდის საგზაო პოლიციის პოსტზე იყარეს ჯავრი და ისიც დაცხრილეს. მხოლოდ ბედნიერი შემთხვევის გამო არავინ დაშავებულა. ამ ფაქტს ზუგდიდის პროკურატურაც იძიებდა.

21 იანვარს რუსების ორი ჯავშანტრანსპორტიორის თანხლებით სოფელ გაგიდაში (გალის რაიონი) აფხაზმა „ბოევიკებმა“ ექვსი ადგილობრივი მაცხოვრებელი მძევლად აიყვანეს, ხოლო დაზმირ გერგედავა მძიმედ დაჭრეს.

არაფერს ვიტყვით იმაზე, რომ მთვრალი „მიროტვორცები“ სოფელ სიდაში (გალის რაიონი) ერთმანეთს დაერივნენ და სერჟანტმა ათი სამხედრო მიახვრიტა, შემდეგ კი თავი მოიკლა.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ რუსებმა სამოქმედო ზონის გარეთ თვითნებურად არაერთხელ მოაწყვეს პოსტები და პოლიციის და სახელმწიფო ავტოინსპექტორის ფუნქციებს ასრულებდნენ. 1996 წლის 17 ივლისს სოფელ ცაიშში (ზუგდიდის რაიონი) სამხედროებმა ზუგდიდი-თბილისის სამგზავრო ავტობუსი გააჩერეს. მძღოლს იარაღის ძებნის საბაბით 50 ლარი წაართვეს.

ყურადღებას იპყრობს აგრეთვე ის, რომ „მიროტვორცების“ ცალკეული წარმომადგენლები ფერადი მეტალის, ჯართის და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის პირველ რიგში, თხილის რეალიზაციის მიზნით, როგორც აფხაზურ, ასევე ქართულ კრიმინალურ დაჯგუფებებს შეერწყნენ. აღნიშნული ტვირთები მაიორ ბულატოვს „ურალის“ ტიპის (სახელმწიფო ნომრები 0057 – და 8411) სატვირთო ავტომანქანით გადაჰქონდა.

„მიროტვორცებმა“ განსაკუთრებით ძვირფას ხე-ტყესაც დაადგეს თვალი. 1996 წლის 3-4 იანვარს სოფლებიდან ხაიში და ჭუბერი (მესტიის რაიონი) 50 კუბმეტრი დახერხილი ხე გაიტანეს, ხოლო იმავე წლის 15 იანვარს სამი „კამაზი“ ხე-ტყე აფხაზეთში გადაიტანეს.

რუსი „მიროტვორცების“ მიერ საქონლის გატაცების და დახოცვის ფაქტებს ხომ ვერ მოთვლი. ეს არაოკუპირებულ ტერიტორიაზე, თორემ ოკუპირებულზე რაც ხდება, ყველასათვის ცხადია. გენოციდი გრძელდება.

მიუხედავად ზემოთჩამოთვლილი ფაქტებისა (ეს მხოლოდ არასრული სიაა), საქართველოს ხელისუფლება რუს „მიროტვორცებს“ მაინც ვერ ღალატობს. პარლამენტში ხშირად კი აკრიტიკებენ მათ, მაგრამ ეს ვერაფერი შეღავათია. რუსებს რომ აფხაზეთის მიტაცება სერიოზულად აქვთ ჩაფიქრებული, ამას დუმის ზოგიერთი დეპუტატი უკვე აშკარად აცხადებს. მარტო დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის გიორგი ტიხონოვის გამონათქვამი – აფხაზეთი რუსეთის ნაწილიაო, – რად ღირს. ტიხონოვი კი იმას ამბობს, რასაც სხვები ფიქრობენ. ამიტომ, ხომ არ აჯობებდა, საქართველოს ხელისუფლება ელცინთან კუდის ქიცინს მოეშვას და მეგობრები (თანაც ნამდვილი) სხვაგან ეძებოს?

**ზურაბ გოგავა**
„თემა“, №1

# ნესტან კირთაძე თემურ შაშიაშვილს ქმრის გულისთვის წაეჩხუბა

არ არსებობენ ძლიერი ცოლები, არსებობენ სუსტი ქმრები! — პასუხობს შაშიაშვილი



ორი ქუთაისელის, დეპუტატ ნესტან კირთაძისა და პრეზიდენტის რწმუნებულ თემურ შაშიაშვილის დაპირისპირების ამბავი მთელ საქართველოს მოედო.

როგორც თემურ შაშიაშვილმა გაიხსენა, უკმაყოფილება მათ შორის პირველად მაშინ გამომჟღავნდა, როცა რწმუნებული პარლამენტში გამოვიდა და სამტრედიელი დეპუტატი ჩაჩუა კორუფციაში დაადანაშაულა.

კირთაძე თავის თანაფრაქციელს გაესარჩლა და შაშიაშვილს უთხრა: „თქვენ და მოქალაქეთა კავშირი შეკრული ხართ ჩვენი ფრაქციის წინააღმდეგო“. ამ საუბარს შალვა ნათელაშვილიც ესწრებოდა.

შაშიაშვილი იმ ფაქტს, რომ კირთაძის დარტყმების სამიზნედ იქცა, იმითაც ხსნის, რომ ეს ქალბატონი თავისი მეუღლისათვის, ბატონი რეხვიაშვილისათვის ამზადებს იმერეთში რწმუნებულის სავარძელს და ამიტომ იბრძვის ასე გაფთრებითო.

ბატონ თემურს კი ძალიან არ მოსწონს აქტიური ქალები და ეჭვით უყურებს მათ ქმრებს.

„არ არსებობენ ძლიერი ცოლები, არსებობენ სუსტი ქმრები! სირცხვილი კია, რომ ასეთმა პოლიტიკოსებმა აიღეს საქართველოში სიმაღლე – თქვა მან – ქუთაისელებმა მაინც იციან, ვინ ვინ არისო“ და ჟურნალისტებს ოპონენტის ქუთაისური წარსულის შესახებ რაღაც „უნამიოკა“.

როგორც აღმოჩნდა, თემურს სიმპატიები არც წინაპრების მიმართ ჰქონია და აღნიშნა: „რას იზამ, ზოგი თავისი მამის შვილიაო“.

**ირინე მაკარიძე**
„თბილისის ფოსტა“, №75

# ყოფილიყო პრესა თავისუფალი!

## მიკერძოებული აზრი არაკონფიდენციალური ინფორმაციის შესახებ

ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების ერთადერთ დემოკრატიულ მონაპოვრად პრესის შესახებ კანონს თვლიან. ცალკე საუბრის თემაა, რამდენად ხორციელდებოდა ეს კანონი. ფაქტი ის არის, რომ დღევანდელმა ხელისუფლებამ, ვგონებთ, ეს კანონი ზედმეტად დემოკრატიულადაც ჩათვალა და უკვე რამდენი ხანია დღის წესრიგში ახალი პრესის კანონის მიღება დადგა. ამის თაობაზე არა ერთი შეხვედრა, საუბარი თუ კონსულტაცია ჩატარდა, მაგრამ ერთი, შეჯერებული ვარიანტის შექმნას საშველი არ დაადგა. ამავე დროს, როგორც ჩანს „ზედმეტად თავისუფალი" პრესის „ზედმეტებში გადასვლა" დროზე რომ ალაგმონ, საჩქაროდ მომზადდა კანონში შესატანი შესწორებები.

28 ოქტომბერს საქართველოს პრეზიდენტმა მოაწერა კიდეც ხელი საქართველოს რესპუბლიკის კანონში ცვლილებების შეტანას. ოღონდაც, ეს უმნიშვნელოვანესი ცვლილება ჩვენთვის, ჟურნალისტებისთვის ცნობილი გახდა მხოლოდ გუშინწინ, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნების ანუ მისი ძალაში შესვლის შესახებ.

ახალმიღებული კანონის მეოთხე მუხლით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ეკრძალებათ: „... კონფიდენციალურად აღიარებული ინფორმაციის გამჟღავნება, სხვათა უფლებების, პატივისა და ღირსების ხელყოფა, სასამართლოების მიუკერძოებლობაზე ზემოქმედება, იმ ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ხელს უწყობს [illegible] ან საიდ- [illegible] აოის მიჩნეული სახელმწიფო უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით".

აქამდე მოქმედ კანონში ხაზგასმული „სახელმწიფო საიდუმლოს გათქმა" „კონფიდენციალურად აღიარებულმა ინფორმაციამ" შეცვალა. იმ სახელმწიფო საიდუმლოს კანონი განსაზღვრავს, შესწორებებში ყოვლად გაურკვეველია, ვის მიერ აღიარებულ კონფიდენციალობაზეა საუბარი და შემდგომში ვინ შეამოწმებს კონფიდენციალურად აღიარების მართებულობას. სამაგიეროდ, თუ აქამდე გაზეთის დახურვა განმეორებით კანონის დარღვევისთვის შეიძლებოდა, შესწორებებში სიტყვა „განმეორებით" აღარ ფიგურირებს. სამწუხაროდ, ახალ ვარიანტში დაუზუსტებელი და გაურკვეველი (რაც ყოველთვის ქმნის კანონის მრავალგვარად წაკითხვის საშუალებას) მარტო ეს არ გახლავთ. გასათვალისწინებელია კიდევ ერთი დეტალი: როგორც ცნობილია, დღედღეზე 29 აგვისტოს ტერაქტში ბრალდებულთა სასამართლო პროცესის დაწყებას ელიან. ჰოდა, თავისუფალ პრესასაც სწორედ ახლა „შეახსენეს", რომ სასამართლო პროცესის დაწყებას ელიან. ჰოდა, თავისუფალ პრესასაც სწორედ ახლა „შეახსენეს", რომ სასამართლოზე ზემოქმედების მოხდენის ცდა დაუშვებელია. ოღონდაც, აქამდე საქვეყნოდ აღიარებული პრინციპი (რომელიც, დავამატებთ, მარტო პრესას არ ეხება) შესწორებებში ასე ჩამოყალიბდა.

„სასამართლოების მიუკერძოებლობაზე ზემოქმედება", რა თქმა უნდა, მოსამართლის დამოუკიდებელ გადაწყვეტილებაზე ზემოქმედება ნებისმიერი ადამიანის მხრიდან, მიუხედავად თანამდებობრივი რანგისა, ყოვლად დაუშვებელია. ზემოთ 29 აგვისტოს ტერაქტის სასამართლო პროცესი ტყუილუბრალოდ არ ვახსენეთ. ეს ყოვლად გაუგებარი ცვლილება გვაფიქრებინებს, რომ იგი (იმ დროს, როდესაც მთელი საზოგადოება ამ მართლაცდა ისტორიული პროცესის მოლოდინშია) ცალსახად მიმართულია ჟურნალისტთა თავისუფალი მოქმედების შეზღუდვისაკენ. დაგვეთანხმებით, ეს აკრძალვა დაინტერესებულ პირებს (არადა, როგორც ირკვევა, ასეთნი მრავლად არიან) აძლევს იმის საშუალებას, რომ თავისუფალი ჟურნალისტის რეპორტაჟი ხსენებული (და არა მარტო ამ) სასამართლო პროცესიდან შეაფასონ, როგორც „სასამართლო მიუკერძოებლობაზე ზემოქმედება". ამ აბდაუბდაში კი ყველაზე საინტერესო ისაა, რომ კანონის ავტორებს რატომღაც დაავიწყდათ დაზუსტება – რა სახის ინფორმაცია შეიძლება მიიჩნიოს მავანმა ზემოქმედებად ან, ვინ გამოვა დიდი ცენზორის როლში? სხვათა შორის, ამ შესწორებების თაობაზე თავისი მოსაზრება გამოთქვეს ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის" ლიდერებმა გელა ნიკოლაიშვილმა და ნანა კაკაბაძემ. როგორც ცნობილია, ისინი „დიდი ტუსაღების" ჯაბა იოსელიანისა და ნიკა კვეზერელის საზოგადოებრივი დამცველები არიან. მათ განაცხადეს: „ჩვენი ორგანიზაცია უერთდება თავისუფალი პრესის სამართლიან პროტესტს ამ ანტიდემოკრატიული კანონის მიღების გამო და მოითხოვს პარლამენტისაგან, მიღებული იქნეს კონკრეტული ზომები ასეთი ბუნდოვანი ფორმულირების გასაუქმებლად".

ხსენებული კანონის გამო მათი და ჟურნალისტთა ერთობლივი, ასე ვთქვათ, „თავდასხმის" ობიექტი კი გუშინ „ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისათვის" ოფისში მოწვეული კანონის ავტორი რამაზ საყვარელიძე გახდა.

ბატონმა რამაზმა მეგობრულ დიალოგში საკმაოდ გულახდილად აღიარა, რომ კანონის მიღება მანამდე, სანამ ახალი კანონი პრესის შესახებ დამუშავდება, მართლაცდა ნაჩქარევად მოხდა, რადგან 25 ნოემბრამდე საკანონმდებლო ბაზა კონსტიტუციასთან შესაბამისობაში უნდა მოვიდეს. „სწორედ, ამიტომაც გახლავთ იგი ბუნდოვანი" – განაცხადა მან.

საკვირველია, მაგრამ კანონის ავტორი ჟურნალისტთა ყველა პრეტენზიას მორჩილად დაეთანხმა. მისი თქმით, კანონი მართლაც არასრულყოფილია და იგი სერიოზულ დახვეწას საჭიროებს. ამჯერად, დიალოგის დეტალებზე საუბრით თავს აღარ შევაწყენთ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ბატონმა რამაზმა „დემოკრატიულ მონაპოვარს" დემოკრატიული ჟესტით უპასუხა – „ორშაბათისათვის წარმოადგინეთ საბოლოოდ ჩამოყალიბებული თქვენი წინადადებები და ნებისმიერი თქვენი მოთხოვნა გათვალისწინებული იქნება". ანუ ბატონი რამაზის დაპირებით, ნაჩქარევად მიღებულ კანონში ნაგვიანევად, მაგრამ გაითვალისწინებენ ჟურნალისტთა მოთხოვნებს.

**ინგა ალავიძე**
„დრონი", №105

# „სახალხო" სკანდალი ნიკო ლეკიშვილის წინააღმდეგ

*ბოლო პერიოდის სკანდალადქცეულ ისტორიებს შორის „სახალხოთა" მიერ ნიკო ლეკიშვილის წინააღმდეგ წამოწყებული კამპანიაც ჩაიწერა. ნიკო ლეკიშვილს ერთხელაც და აქტიურადაც ვინმე რომ აუმხედრდებოდა, ამაზე ეჭვი სახელმწიფო მინისტრად მისი მოვლინების დღიდან, არავის ჰქონდა. „წილოსანად" მონათლულ ნომერ პირველ მინისტრს უკვე ორი წელია „გადმოსაგდებთა" რიცხვში იგულებენ, თუმცა ამით მას, რამდენადაც ჩვენ შევიტყვეთ, არც ფინანსურ, არც თანამდებობრივ და არც სხვა ფრონტზე არაფერი დაჰკლებია.*



ნიკო ლეკიშვილის მტერთა რიცხვი, ისევე როგორც ნაცნობ-მეგობართა, პატარა სიით არ შემოიფარგლება. სავარაუდო მოწინააღმდეგეთა ნუსხაში კი პირველ რიგში მისი გაელენის წყალობით აღმასრულებელ ხელისუფლებაში „ადგილებდაკარგულ" მმართველობის პრეტენზიის მქონე პარტიასაც მოიხსენიებენ და იგივე „სახალხოსაც", თუმცა...

ერთი შეხედვით, თითქოს მაინც მოულოდნელი გახლდათ, რომ ბრძოლა სახელმწიფო მინისტრის წინააღმდეგ უშუალოდ მამუკა გიორგაძისა და მის თანამებრძოლთა ხელწერითა და აქტიურობით წარიმართებოდა. ორიოდე სიტყვით მოგახსენებთ ამ გზაზე განხორციელებული ნაბიჯების შესახებ.

31 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტის სამთავრობო საათზე სახელმწიფო მინისტრისა და „აფხაზეთის ეკონომიკური გზით დაბრუნების" სხვა ინიციატორ-მონაწილეთა მოსმენა შედგა. „სახალხოთა" მთავარი ბრალდება მაშინ გახლდათ ამ პროცესში ნიკო ლეკიშვილის პირადი ფინანსური ინტერესის არსებობის ხაზგასმა, რასაც აფხაზეთში ვიზიტის დროს „კოკა-კოლას" პრეზიდენტის ყოფნით ამყარებდნენ. იქვე აღინიშნა „თურქეთის ვალის" „კოკა-კოლასეული" წილის დაუბრუნებლობის შესახებაც. შემდეგ კი გიორგაძე უკვე უფრო მკაცრად სვამს აქცენტებს:

„არ შეიძლება ქვეყანაში ფარული ბიზნესი უმაღლეს ხელისუფალთა ხელშეწყობით ხორციელდებოდეს". კვლავ აღინიშნა „კოკა-კოლას" მიერ „თურქული კრედიტიდან" კუთვნილი 5 მილიონი დოლარის დაუბრუნებლობის შესახებ. დაისვა კითხვა: რამდენს იდებს ნომერ პირველი ბიზნესმენი ჯიბეში მალულად, როცა ბიუჯეტისთვის 4 მილიონს იმეტებს? აქ ისიც გაცხადდა, რომ თემურ ჭყონია ამ შემთხვევაში არ წარმოადგენს „სახალხოთა" ინტერესის უშუალო საგანს. მათი ინტერესი უფრო ზემოთ – ნიკო ლეკიშვილამდე მიდის საბაბით – საჭიროა „კოკა-კოლას" საქმიანობის შესწავლა. ამთავითვე დაისვა სპეციალური საგამოძიებო კომისიის შექმნის აუცილებლობის საკითხი.

მომდევნო დღეებში გაიშიფრა ისიც, რომ „სახალხოები" გამოძიებას არ „ანდობენ" გიორგი ბარამიძისეულ კომისიას მოტივით – „კომისიის მუშაობის პრინციპი არამომგებიანია. ერთ საქმეზე ერთი ჯგუფი უნდა მუშაობდეს"-ო.

ფეხდაფეხ პროცესში ერთვება „აღორძინების" წევრი გურამ შარაძე, რომელმაც თითქმის იგივე პრეტენზიები წარუდგინა ნომერ პირველ მინისტრს.

„სახალხოთა" და „აღორძინების" ასეთი ალიანსი მოულოდნელი, წესით, საზოგადოებისთვის არ უნდა ყოფილიყო. ასეთი ალიანსის მოწმე უკვე გახლდათ თავის დროზე „თავისუფალ ეკონომიკურ ზონასთან" დაკავშირებული „ალიაქოთის" დროს. ალიანსის საფუძვლად მაშინაც და დღესაც „სახალხოთა" ეკონომიკურ ინტერესებს ასახელებენ. ეს ეკონომიკური ინტერესები კი ფქვილის ბიზნესამდე და, თქვენ წარმოიდგინეთ, თუ მოარულ ხმებს ვერწმუნებით, „პეპსი-კოლამდეც" კი მიდის – „პეპსი-კოლამდე", რომელიც თავისი ქარხნის აშენებას გეგმავს აჭარის ტერიტორიაზე უახლოეს პერიოდში (აჭარის ხელისუფლებასა და ერთგვარად „სახალხოს" შორის ფინანსურ ინტერესებზე).

ამასთან ერთად, კულუარებში ასლან აბაშიძესა და ნიკო ლეკიშვილს შორის გარბენილ „შავ კატაზეც" საუბრობენ. გარეგნულად ამან გამოხატულება ჰპოვა 30 ოქტომბერს ბათუმში, როცა ნიკო ლეკიშვილმა იქაურ საზოგადოებაში ლამის ნომერ პირველ მტრად შერაცხულ „მოქალაქეთა" მამის ზურაბ ჟვანიასთვის მართლაც კაცური თანადგომის გაწევა იკისრა. ამას კი, ალბათ, ბუნებრივად ასლან აბაშიძის მხურვალე დამცველთა ცხარე რეაქცია მოჰყვა.

ზოგიერთებს ამის საბუთად ის ფაქტიც მოჰყავთ, რომ ნიკო ლეკიშვილის წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია ხელისუფლების „ბათუმური ვოიაჟის" მეორე დღიდან იღებს სათავეს. თუმცა აქვე სამართლიანობისთვის აუცილებლად უნდა ითქვას, რომ „სახალხოთა" მოთხოვნა სახელმწიფო მინისტრის აფხაზური ვიზიტების შესახებ ინფორმაციის მოსმენის თაობაზე გაცილებით ადრე გახლდათ გაცხადებული და ოფიციალურად წარდგენილი პარლამენტში.

სხვათა შორის, მეორე, რადიკალური ვერსია აბსოლუტურად საწინააღმდეგო მოტივებზე გვამცნობს: კერძოდ იმაზე, რომ „სახალხოელები" ამჯერად სწორედ „მმართველი პარტიის" ინტერესებს ეხმიანებიან და როგორც თუნდაც ნოდარ ჯავახიშვილის შემთხვევაში, ახლაც მათი „ჩუმი თანხმობით" აქეთ მხარი გამყარებული. „ჩუმ თანხმობაზე" ვერაფერს მოგახსენებთ და, ხმამაღლა კი საპარლამენტო სხდომაზე, რომელზეც „კოკა-კოლა"-ს საქმიანობასთან დაკავშირებით საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხზე ისაუბრეს, პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ უსაფუძვლოდ მიიჩნია ამ ფირმის ირგვლივ ასეთი აჟიოტაჟის შექმნა. ნიკო ლეკიშვილის არა და – „კოკა-კოლასა" და თემურ ჭყონიას ბანაკის მომხრეთა შორის კი ედპ-ც ვიხილეთ, რომელმაც, ბესო ჯუღელის სახით, კომისიის გამოძიების „წარუმატებლობის" შემთხვევაში „სახალხოებისგან" ბოდიშის მოხდა მოითხოვა. გუშინ კი ირინა სარიშვილმა აღნიშნა, რომ პარლამენტს უფრო დიდი საქმე აქვს, ვიდრე კერძო ბიზნესმენთა საკითხის შესწავლა.

აქვე „სახალხომ", რომელიც ამ ეტაპზე აშკარა მხარდაჭერას მხოლოდ „აღორძინებისგან" უნდა მოელოდეს, დასვა საგამოძიებო კომისიის შექმნის თაობაზე კენჭისყრის საკითხი, რათა შედეგების მიხედვით ის მაინც დადგენილიყო, თუ ვინ არის პარლამენტში „კოკა-კოლა"-ს „ლობისტი". ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩანს, „სახალხოების" მიერ ნიკო ლეკიშვილის პერსონაზე აქცენტის გაკეთება დროული ვერ გამოდგა და უფრო „სახალხოთა" რეალურ ინტერესებზე ჭორებს მისცა საბაბი, ვიდრე პირიქით. არადა, „სახალხოელთა" ორიენტირი იქნებ სხვა იყოს: არავითარი ფინანსური ინტერესებიც რომ არ არსებობდეს, ბრძოლა „შავი ბიზნესის მფარველის", „ეკონომიკური მონსტრის" და ხალხში ბევრი სხვა ეპითეტებით შემკული სახელმწიფო მინისტრის წინააღმდეგ საკმაოდ „სერიოზული ქულების" მოგროვების წყარო შეიძლება გახდეს „სახალხოთა" პოლიტიკური იმიჯისათვის. მოკლედ მანამ, სანამ პარლამენტში „კოკა-კოლას" ლობის ვინაობას ადგენენ და ნიკო ლეკიშვილის წინააღმდეგ მომავალ საგამოძიებო კომისიაში წარსადგენ სამხილებს აგროვებენ, ნომერ პირველი მინისტრი დუმს. სამაგიეროდ არ დუმს ნომერ პირველი ბიზნესმენი, რომელმაც თითქოს „სხვათა შორის", თითქოს სრულიად „წინასწარგანუზრახველად", ორი-სამი თვის მოლაპარაკების შემდეგ (!) პრეს-კლუბის მიწვევა მიიღო და ჟურნალისტებთან პირისპირ შეხვედრა გამართა გუშინ.

„კოკა-კოლას" პრეზიდენტმა ისაუბრა „კოკა-კოლას" წარმოების როლზე ქართულ ეკონომიკაში, 3 წლის მანძილზე ბიუჯეტში შეტანილ 11 მილიონზე, რეკლამისთვის „მეოთხე ხელისუფლებაში" ჩაბანდებულ დიდ-დიდ თანხებზე, მათ შორის 1997 წელს მათთვის გადახდილ 700 ათას დოლარზე, იმაზე, რომ მხოლოდ ფინანსური მხარით თუ მივუდგებით, „კოკა-კოლასთვის" მომხმარებლად ლტოლვილთა 300000-იანი არმიის თბილისში ყოლა უფრო მომგებიანია, ვიდრე 10000 აფხაზისა აფხაზეთში და იმაზეც, რომ დღეს აფხაზეთში „ეკონომიკურ შესვლაზეც" ლაპარაკი ზედმეტია. თუმცა, როცა მას დავიბრუნებთ, ყველაფერი სხვების მიერ შესყიდულ-დაკავებული არ უნდა დაგვხვდეს. თემურ ჭყონიამ ისაუბრა აგრეთვე „თურქული კრედიტის" 4 მილიონით მიღებული სახელმწიფო თუ კერძო მოგებაზე და იმაზე, რომ კრედიტი იმისთვის არსებობს, აიღო და იხადო პროცენტი, იმაზეც, რომ „თურქული" 5 მილიონის პროცენტს ნამუსიანად იხდის „კოკა-კოლა". ეს სახელმწიფოს იმიტომ ვუხდით ფულს და იმიტომ ვართ მისი მოქალაქეები, რომ როცა გვჭირდება, დაგვიდგეს კიდეც გარანტად"-ო.

მოკლედ, „კოკა-კოლას" პრეზიდენტმა გუშინ საკმაოდ მომგებიანი ნაბიჯი გადადგა, დამსწრე ჟურნალისტთა გულიც ბოლომდე ვერა, თუმცა ზოგის, თუნდაც „მომავალი რეკლამის დამკვეთის" არდაკარგვის სურვილისდა გამო, მაინც მოიგო.

ისტორია, რა თქმა უნდა, არ მთავრდება. თემურ ჭყონიას განცხადება, რომ ნიკო ლეკიშვილის მფარველობა „კოკა-კოლას" არ სჭირდება – არცთუ დამაჯერებელია, შექმნიან თუ არა „კოკა-კოლას" საქმიანობის გამომკვლევ კომისიას – გადაუწყვეტელი გახლავთ. სამაგიეროდ ყველასთვის ნათელია და გამოცდილებაც ერთს მოწმობს – საგამოძიებო კომისიის შექმნას, როგორც წესი, ერთი თანამდებობის პირი მაინც ეწირება ხოლმე. ასე რომ, ახლა საინტერესო ის გახლავთ, საგამოძიებო საპარლამენტო კომისიის შექმნის შემთხვევაში ამჯერად გაგრძელდება თუ არა ეს ტრადიცია?!

„დრონი" №105

# რუსთაველზე პოლიციელები მათხოვრობენ

რუსთაველის გამზირზე, რესტორან „ნიკალაში“ ძირითადად მდიდარი ხალხი შედის, რადგან პრესტიჟულ ადგილას ქეიფი საკმაოდ ძვირი უჯდებათ ღიპიან ქართველებს.

რუსთაველზე „სანადიროდ“ გამოსული პოლიციელები, როგორც კი ჩაივლიან მის გვერდით, თვალს აყოლებენ, რომ იქნებ რამე საკბილოს გამოჰკრან ხელი და, სხვათა შორის, ხშირად უმართლებთ კიდეც.

გუშინ „თბილისის ფოსტის“ კორესპონდენტმა რესტორან „ნიკალას“ წინ საეჭვოს მდგარი ორი პოლიციელი შენიშნა.

რესტორნიდან სუფთად ჩაცმული, ბაფთიანი მიმტანი კაცი გამოვიდა, აქეთ-იქით მიიხედა, პოლიციელებს მიუახლოვდა და ჩუმად ფული ჩაუდო ჯიბეში.

გახარებული პოლიციელები რესტორანს ისე გასცდნენ, რომ უკან არც მოუხედავთ.

რამდენიმე წუთში იმავე ოფიციანტმა რესტორნიდან მოჩხუბარი კლიენტები გამოაცილა და მანქანაში ჩასვა.

რესტორნიდან ყვირილის ხმები ისმოდა.

„თბილისის ფოსტის“ კორესპონდენტი მოქრთამულ პოლიციელებს დაეწია და გაესაუბრა. შეშინებულმა პოლიციელებმა მომხდარი ფაქტი არ უარჰყვეს.

„რა ვქნა ძმაო, ხელფასი რამდენი გვაქვს, ალბათ, კარგად იცით, დილიდან გამოვდივართ, რომ იქნებ პურის ფული შევიტანოთ სახლში“.

რესტორან „ნიკალაში“ ჩხუბი კიდევ დიდხანს გაგრძელდა.

როგორც „თბილისის ფოსტის“ კორესპონდენტმა მოგვიანებით შეიტყო, რესტორანში ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა.

**ჯიმშერ შხვაცაბაია**
„თბილისის ფოსტა“, №68




# აზიზას იურისტობა გადაუწყვეტია

მომღერალი აზიზა სტუდენტია! იგი პირველ კურსზეა მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მართალია, საღამოს განყოფილებაზე, რაც მას კონცერტების ჩატარებაში შეუშლის ხელს, მაგრამ იგი კონცერტებს დროებით გადადებს, რათა სწავლის საქმე ააწყოს. აზიზა ამბობს, რომ ჩვენი არტისტების განათლების ნაკლოვანება იურიდიულ საკითხებში ძალიან ცუდ სამსახურს უწევს შოუ-ბიზნესს.



როგორც ჩანს, აღმოსავლეთის ლამაზმანი გონიერებით არის დაჯილდოებული.

ყოველ შემთხვევაში, იგი აპირებს არა მარტო შეცდომების თავიდან აცილებას, არამედ სტაბილური ცხოვრებისეული პროფესიის შეძენასაც.

**„აბდახნი“, №43**

## როცა პროსტიტუცია მხოლოდ მეძავებს ეკრძალებათ

# პროსტიტუტკის გასაჭირი სირაქლემის პოზაში მდგარ საზოგადოებაში



*დღეს თბილისში ოცამდე არაოფიციალური საროსკიპოა. თითოეულში მინიმუმ ათი მეძავია, რომელთა საშუალო ასაკი 20-22 წელია.*

*საროსკიპოები ქალაქის თითქმის ყველა უბანშია. მათ შესახებ მშვენივრად იციან წესიერი ყოფაქცევის კანონმორჩილმა მეზობლებმა, სახლმმართველებმა, უბნის რწმუნებულებმა, პოლიციამ, პროკურატურამ. ამის მიუხედავად, საროსკიპოების რიცხვი არათუ იკლებს, მატულობს. ამ ბოლო დროს, თბილისში არასრულწლოვანთა რამდენიმე „ბორდელიც“ გაიხსნა. და რაც ყველაზე მთავარია: ყოველი ათი მეძავიდან ოთხს, როგორც წესი, ათაშანგი აქვს.*

სისხლის სამართლის კოდექსით, კანონით ისჯება მხოლოდ მაჭანკლობა, გარყვნილების ბუდეების მოწყობა, ვენერიულ დაავადებათა შეგნებულად გავრცელება. აქედან გამომდინარე, პროსტიტუციისთვის კანონის წინაშე პასუხს მხოლოდ „მამაშები“ და დაავადებული პროსტიტუტკები (რომლებმაც ამის შესახებ იციან) აგებენ. რაც შეეხება უშუალოდ „შემსრულებლებს“ ანუ ჯანმრთელ მეძავებს, მათ შესახებ ჩვენი სისხლის სამართლის კოდექსი დუმს. მოკლედ, „კოლექტიური მეწარმეობა“, რომელიც კარგად ორგანიზებულ საქმიანობას ითვალისწინებს, დასჯადია, ინდივიდუალური – არა. ერთ მეძავს შეუძლია, კლიენტი სადაც უნდა, იქ წაიყვანოს და მომსახურეობის საფასური რამდენიც უნდა, იმდენი გამოართვას, მაგრამ, როგორც კი საქმეს ორგანიზებული ხასიათი მიენიჭება, კარგად შემუშავებული „საგადასახადო“ სისტემით და მფარველთა პოენით (რომლებიც, ხშირ შემთხვევაში, პოლიციელები არიან), მაშინ ნურას უკაცრავად – პროსტიტუცია მომენტალურად საციხო საქმე ხდება.

მთელი თავისი არსებობის მანძილზე კაცობრიობა პროსტიტუციას ამაოდ ებრძოდა. მერე საზოგადოებამ გააცნობიერა, რომ მეძავები მანამ იარსებებდნენ, სანამ მათზე მოთხოვნა იქნებოდა, ამიტომ საროსკიპოებს არსებობის ნება დართო და მზის ქვეშ გარკვეული, მკაცრად შემოფარგლული ადგილი მიუჩინა.

ჩვენი საზოგადოებაც, კარგა ხანია, მიეჩვია იმ ფაქტს, რომ ქვეყანაში პროსტიტუციამ საფუძვლიანად მოიკიდა ფეხი, იმასაც მიხვდა, რომ შეგონებებით და მორალის კითხვით მეძავებს წესიერი ცხოვრებისკენ ველარ შემოაბრუნებ და რომ მათ თავისი სიმართლე აქვთ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, მას პროსტიტუციისადმი თავისი დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა, რომელიც სირაქლემას ცნობილ პოზას წააგავს. ერთი სიტყვით, ჩვენ არაფერი ვიცით, არაფერს ვამჩნევთ, ეს ჩვენ – წესიერ მოქალაქეებს – არ გვეხება.

ქვეყანაში არ არსებობს ზუსტი მონაცემები, თუ რამდენი ქალი ირჩენს სხეულის გაყიდვით თავს, არ არსებობს შესაბამისი სამედიცინო სამსახური, რომელიც მათ ჯანმრთელობას მიხედავს, არ არსებობს შესაბამისი სამსახური, რომელიც ამ სოციალურ მოვლენას გააკონტროლებს.

გვინდა თუ არ გვინდა, მთლიანობაში ასეთი სურათი გვაქვს: კანონით აკრძალული, რეალურ ცხოვრებაში კი მშვენივრად არსებული საროსკიპოები თავისი კლიენტურით, მათი „კრიშები“, რომლებიც კანონთან საქმეს „აგვარებენ“ და ამაში ფულს იღებენ, და, რაც ყველაზე საგანგაშოა, ჩვენს გვერდზე მყოფი ათაშანგიანი და გონორეიანი მეძავები.

ერთი სიტყვით, პროსტიტუციის ლეგალიზაცია, რომლის შესახებაც მუდმივად საუბრობენ მეძავები და „მამაშები“, დღის წესრიგში დგება. საამისოდ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შესატანად პარლამენტის თანხმობაა საჭირო.

## პარლამენტარები, ჯერჯერობით, „იმნაირ“ ანეკდოტებს ყვებიან და ერთმანეთს პოლიტიკურ პროსტიტუციაში ადანაშაულებენ

„ერთი ანეგდოტი გამახსენდა: ქალი მივიდა გინეკოლოგთან, ეუბნება, ერთი კაცი არ მყოფნისო. ექიმი ეუბნება, მეორე გაიჩინეო. ქალი პასუხობს, ათი მყავს და მაინც არ მაკმაყოფილებსო. შენ ავადმყოფი ხარ და „ბეშენსტვა“ გჭირსო, – წუხდება ექიმი. მეც მაგის ცნობა მინდა, თორემ მეზობლები პროსტიტუტკას მეძახიანო“, – ეს შედევრი ოფიციალური ინტერვიუს დროს, რომელიც პროსტიტუციის პრობლემებს შეეხებოდა, საპარლამენტო ფრაქცია „მოქალაქეთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე ლევან თედიაშვილმა გვიამბო და კითხვაზე კითხვით გვიპასუხა: „რას ამბობენ პროსტიტუტკები, ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ ფულს ვშოულობთ თუ იმიტომ, რომ მოგვწონსო? ნინო ჭავჭავაძე გრიბოედოვს ზედ გადააკვდა. ხომ შეეძლო გათხოვება?.. უნდა გავიგოთ, ეს მხოლოდ სოციალურია, თუ გენეტიკური... არა, ფრაქციის სხდომებზე პროსტიტუციის პრობლემებზე არ გვილაპარაკია.. პრობლემა უნდა მომწიფდეს.. არა, უკვე მომწიფებულია და გადამწიფებულიც, მაგრამ ვერ ხვდებიან. ან იმიტომ არ იხილავენ, რომ რცხვენიათ... არც კი მომსვლია აზრად, რამხელა პრობლემის წინაშე ვდგავართ... საერთოდ, სექსი ხომ ინტიმია, ამიტომ კანონშიც ცვლილებები, ალბათ, რალაცნაირად „მოგუდული“ ვარიანტით უნდა შევიდეს... ეგ საქმე რომ დაჩქარდეს, ასეთი მოთხოვნა მაგ კატეგორიის ქალებიდან უნდა შემოვიდეს... უნდა გაიმართოს დისკუსიები, საზოგადოებრივი აზრი უნდა განვითარდეს, უნდა ჩაებან ფსიქოლოგები... ადამიანების მოდგმა სექსით იწყება, თავიდან გვატყუებენ, კომბოსტოში გიპოვეთ, ციგანკისაგან გიყიდეო, მერე ვიგებთ, რომ ასე არ ყოფილა... აი, აქედან უნდა დავიწყოთ განხილვა, ჟურნალისტებმა რუბრიკა უნდა გააკეთონ. ვინც მაგას აკეთებს, მასკის ქვეშ ილაპარაკოს ან მერე მოიხსნას და თქვას, მარტო იმიტომ ფულისთვის რომ არ აკეთებს, თქვას, რომ მას მოთხოვნილება აქვს... მე ვფიქრობ, რომ ასეთი სახლები უნდა იყოს, რომ სპიდი არ გავრცელდეს“. – როგორც იქნა, გამოთქვა თავისი აზრი მმართველი საპარლამენტო ფრაქციის ერთ-ერთმა წამყვანმა ფიგურამ.

პროსტიტუციის ლეგალიზებას მხარს უჭერენ სხვა საპარლამენტო ფრაქციებიც, მაგრამ მათ, ჯერჯერობით, საამისოდ არ სცალიათ.

ფრაქცია „იმედის“ თავმჯდომარე ზურაბ ახმეტელი: „ფრაქციას პროსტიტუციის ლეგალიზაციის საკითხი არ განუხილავს, მაგრამ ჩვენ ჩვენი მოსაზრება უკვე ჩამოგვიყალიბდა. სამწუხაროდ, ქვეყანაში ეს პრობლემა არსებობს და პროსტიტუცია საკმაოდ გავრცელებულია. ჩვენი პოზიცია ასეთია: მისი ლეგალიზაცია უნდა მოხდეს, მაგრამ სასტიკად უნდა აიკრძალოს პროსტიტუცია 18 წლამდე გოგონებში. თუ ეს სისტემა კარგად ჩამოყალიბდა და დაიხვეწა, შეიძლება, სახელმწიფოსთვის შემოსავლის წყაროც გახდეს. გარდა ამისა, მისი ლეგალიზაციით თავიდან ვიცილებთ დამნაშავეობის სტატისტიკის ზრდასაც, რადგან არალეგალური საქმიანობა ყოველთვის კრიმინალის საშიშროებას წარმოშობს. ექიმები გააკონტროლებენ მეძავებს, შემცირდება ვენერიულ დაავადებათა გავრცელების საშიშროებაც. ერთ რამესაც ვიტყოდი: პროსტიტუციის ლეგალიზაცია მეძავთა რიცხვსაც შეამცირებს, რადგან ზუსტად იქნება განსაზღვრული მოთხოვნილება. დღეს ასეთი სახლებიდან გასულ თანხებს ვილაც ნაძირალები იღებენ, ეს თანხა კი, შეიძლება, სახელმწიფომაც გამოიყენოს“.

შალვა ნათელაშვილიც, დაახლოებით, ამ პოზიციაზე დგას, ოღონდ პარლამენტის წინაშე საკითხის დაყენებას არ აპირებს. „გაიტანონ საკითხი „მოქალაქეებმა“, ყველა კანონს ხომ ისინი იღებენ... ისე, მათი მიღებული კანონები უფრო პროსტიტუციულია, ვიდრე თვითონ პროსტიტუცია“, – ამბობს იგი.

## დღეს პროსტიტუციის ლეგალიზაციისთვის, რეალურად, მხოლოდ შინაგან საქმეთა სამინისტრო და „მამაშები“ იბრძვიან

თვენახევრის წინ დაპატიმრებული ერთ-ერთი „მამაშას“ განცხადებით, ციხიდან გამოსვლის შემდეგ თავისი საქმიანობის დაკანონებისთვის იბრძოლებს. როგორც გაირკვა, ამის შესახებ ოფიციალურ განცხადებას მისგან პარლამენტშიც ელოდებიან.

ნარკომანიასა და ნარკობიზნესთან ბრძოლის ეროვნული ბიუროს თავმჯდომარე დავით კაჭკაჭიშვილი დარწმუნებულია, რომ პროსტიტუციასთან ბრძოლა და პრობლემის ლოკალიზება მხოლოდ მისი ლეგალიზაციის შემდეგ გახდება შესაძლებელი.

პარლამენტიც ხვდება ამის აუცილებლობას, მაგრამ მეძავებისთვის არ სცალია...

**თამარ ხარატიშვილი**
„კავკასიონი“ №197

# „ძია ლენინი მომკვდარა, არ მჯერა, არა, არაო“

## ავთანდილ მარგიანის პოეზია

*6 ნოემბერს ოქტომბრის დიადი სოციალისტური რევოლუციის დღისადმი მიძღვნილ ბოლშევიკთა, კომუნისტთა, ლენინელთა და სტალინელთა საზეიმო შეხვედრის შემდეგ გამართულ ბანკეტზე ბატონმა ავთანდილ მარგიანმა ახალი ლექსი მიუძღვნა ლენინს:*

„ცას ღრუბელი გადეფარა,
მთვარემ შეკრა კამარაო,
ძია ლენინი მომკვდარა,
არ მჯერა, არა, არაო.
რატომ წახვედი, ლენინო,
გამოგვეცალე ხელიდან,
დროზე რომ წასულიყავი,
დედას ვფიცავარ, ქე ღირდა!
მაგრამ,
უცხოეთის გაზეთებო,
რამდენიც არ წეროთ, შალოთ,
ლენინი ჯერ ცოცხალია,
არაფერი შეგეშალოთ!

მანვე დაპირებისამებრ, როგორც კახელების სიძემ, კახელებზე მოგვიყვა ანეკდოტი:

კახელი მიტუა ვაკეში ყოფილა დაბადების დღეზე. სუფრასთან ეკას უკითხავს მაკასთვის – მაკა, სიზმრების ახსნა იციო? მაკამ უპასუხა – გააჩნია, რა დაგესიზმრაო. დამესიზმრა, მთელი ღამე თითი მედო პირშიო. მიტუამ კიდევ – ეგაო, თითი არ იქნებოდაო. გოგონები აკივლდნენ – როგორ ბედავ! მიტუამ იფიქრა, გამოვასწორებ მდგომარეობასო და ახალი სისულელე წამოისროლა – მაშინა, პირი არ იქნებოდა.

**ნინო რაზიაშვილი**
„ახალი თაობა“, №316

# არ გადაშენებულან რაინდები ამერიკაში

მაიკლ დუგლასმა სკანდალი ატეხა ერთ-ერთი ტრილერის „თამაშის“ გადასაღებ მოედანზე. მსახიობი ჯუდი ფოსტერი თავიდან მისი გმირის შვილის როლზე აცხადებდა პრეტენზიას, ხოლო შემდეგ კი დის როლზე დაამტკიცეს. მაიკლი აღშფოთდა „ იგი ხომ 52 წლისაა, ჯუდი კი – 35, მამა-შვილობისთვის ცოტა შეუფერებელი სხვაობაა. როდის ჩაიხედა ჯუდიმ ბოლოს სარკეში, რომ ჩემი შვილის როლზე ჰქონდეს პრეტენზია? აღშფოთებული გაიძახოდა დუგლასი. რეჟისორმა აუხსნა, რომ მას არასწორი ინფორმაცია ჰქონდა, და ამით დააწყნარა იგი.



**„აბდახნი“, №43**

# შაყირჩვორდი



**მიყრდნობილად:** 1. ადამიანთა „საზოგადოდ“ გაერთიანება; 3. „ვატებით დატენილი გუნდური“ სახელმწიფო (რუს.კავშ.); 4. „იფის ციხეზე დადებული ტარიანი“ სახელშეკრულებო ფასი; 5. ჭკუა, რომელიც „კახელ ქალიშვილებს ცაში“ აქვთ (რუს.კავშ.); 7. ქვეყანა, რომელიც „აშოტასთვის მოჩვენებაა“; 8. ხეხილისთვის და ბავშვებისთვის შემოკავებული მიწის ნაკვეთი; 11. „ლვარად“ მოსული წვიმა; 14. „ურია“ პრეზიდენტის წარმოშობის ადგილი; 16. „შესადები“ სანიმუშო ნაწარმოები; 17. ყველაზე დაქლიავებული პერსონაჟი და თანაც „კალა“ გადასხმული, ტელესერიალიდან კასანდრა; 18. „რუბიკას რაჭაში“ წასაკითხი გაზეთი; 22. პატარა ქანდაკება, რომელიც „ასი თვითმფრინავის მარკის“ ზომისაა (რუს.კავშ.); 24. ქვეყანა, სადაც „პატარა ცხენები იებს რგავენ“; 26. „ბაზაში“ აღმოჩენილი ვულკანური წარმოშობის ქანი; 27. ყველაზე ბლატნოი გვარი იაპონია-ჩინეთში; 28. უგმაყოფილო, რომელსაც არაფრის „მადა არა აქვს“; 31. ის, რაც წყალს ჩამოჰქონდა (სიმღ.); 32. „მოსაწევი“ ხელის ნარჩენი (რუს.კავშ.).

**მიწოლილად:** 2. მარდი, მკვირცხლი, რომელიც „შენ ხარო“ გეუბნება (ნაწ.რუს.კავშ.); 6. წინასწარ დასახული გზა, რომელიც „მარშით“ უნდა გაიარო; 9. „სამოთხეში“ თავდადებული მეომარი (რუს.კავშ.); 10. „მონების მოტანილი“ ფირმა; 12. ცხენის სამართავი მოწყობილობა, „ვირისთვის“ გამოსაყენებელი; 13. „კარგი დანით“ მიღებული ზარალი; 15. ადგილი, რომლის „კარებთან ბევრჯერ ტაშის“ დაკვრით მომხდარა ბრძოლა; 19. მამაკაცის სახელის მატარებელი სინთეზატორის სახეობა; 20. ეს რომ საჭმელი იყოს, ტურა შეჭამდა ყანაში; 21. ჯგუფური პრაქტიკული მეცადინეობა, რომელსაც უმაღლეს სასწავლებლებში „ნარზე წლით შვიდჯერ“ ატარებენ (რუს.კავშ.); 23. გაუმარჯოს ავტო ინსპექციას (აბრევიატურა); 25. მდინარე საქართველოში, სადაც ბანაობის დროს „მეექვსე მუსიკალური ნოტის ხმაზე ტორტს ჭამენ“; 27. ქალი, რომელიც „მეექვსე მუსიკალური ნოტის ხმაზე ურა-ურას გაიძახის“; 29. „შეპყრობილი“ გლახაკი; 30. „ნიკას მიერ“ ატეხილი აურზაური; 33. „მაზ-წასმული“ საწვავი მასალა; 34. თხრილი, რომელიც „გარის“ თავშესაფარად აქვს გამოყენებული; 35. ნაირ-ნაირი „ფერის“ მძღოლი; 36. „ნიკას ქსელში სამჯერ“ შეერთებული (რუს.კავშ.).

**კობა ბაიდოშვილი**

## წინა ნომრის პასუხები

**თარაზულად:** 3. სეკუნდა; 5. კონდორი; 8. პკე; 10. ბიენალე; 14. ადელინა; 17. მარატი; 18. ვინილი; 19. კარნიზი; 26. ვერანდა; 27. რებორდა; 28. ილიესკუ; 30. აზბესტი; 31. რილკე; 38. პილონი; 39. იანქი; 40. ლაგამი; 43. იტალიქი; 44. დია; 46. ტრუმენი; 47. დუნქანი; 48. ამონალი.

**შვეულად:** 1. სკუპე; 2. ანტეი; 3. სვია; 4. აბგა; 5. კუმა; 6. ნერუ; 7. ორტი; 9. კლანჭი; 11. ელია; 12. ალიო; 13. ეკიუ; 15. დრამატურგი; 16. ნაზარბაევი; 20. აეგია; 21. არშია; 22. ანისი; 23. აბიბო; 24. არესი; 25. მატიე; 29. სლენგი; 32. აპკი; 33. ელდა; 34. ანრი; 35. ტაბუ; 36. საკე; 37. დიდი; 41. მინდია; 42. სტრიტი; 44. დანკო; 45. ადანა.

# შეგიძლიათ თუ არა ადამიანს საუბარში აჰყვეთ

*ცუდია, როცა ის, ვისაც ესაუბრები, საათობით მონოლოგის სტილში საუბრობს. საუბარი დიდი ხელოვნებაა. კარგი მოსაუბრის მთავარი თვისება მოსმენაა. სამი ვარიანტიდან ამოარჩიეთ **ა, ბ** ან **გ**.*



*1. როდესაც ადამიანი საუბრის დროს თვალდაუხამხამებლად გიყურებთ, თქვენ...*
ა) თავს მშვიდად გრძნობთ;
ბ) ბრაზდებით;
გ) გეშინიათ.

*2. თუ თქვენი თანამოსაუბრე გაუთავებლად ლაპარაკობს და ერთი სიტყვის ჩართვის საშუალებასაც არ გაძლევთ, თქვენ...*
ა) ბრაზდებით;
ბ) მოთმინებით უსმენთ;
გ) ინტერესს კარგავთ.

*3. როცა თქვენი თანამოსაუბრე მთელი არსებით გაგრძნობინებთ, რომ მას ხელს უშლით, თქვენ...*
ა) თავს უხერხულად გრძნობთ;
ბ) ღიზიანდებით;
გ) ამთავრებთ საუბარს.

*4. თუ თანამოსაუბრე ხშირად გაწყვეტინებთ და აზრის დამთავრების საშუალებას არ გაძლევთ, თქვენ...*
ა) მზად ხართ შუაზე გაგლიჯოთ;
ბ) ცდილობთ უფრო მარტივად ილაპარაკოთ;
გ) არ აქცევთ ყურადღებას.



*5. რას გრძნობთ, როდესაც ადამიანი, ვისთანაც თავაზიანი საუბარი გაქვთ, არ იღიმება?*
ა) შეწუხებული ხართ;
ბ) ღიზიანდებით;
გ) სინანულს გრძნობთ.

*6. თქვენ გაღიზიანებთ, როცა თანამოსაუბრე თავს გაჩვენებთ, რომ ვერ გაიგონა თქვენი ნათქვამი და ხელახლა გკითხებათ:*
ა) ვერ იტანთ თვალთმაქცობას;
ბ) შეიძლება მართლაც ვერ გაიგო;
გ) ხანდახან ეს გაღიზიანებთ.

*7. როგორ განეწყობით, როცა თანამოსაუბრე ხაზს უსვამს თქვენთან საუბრისადმი ინტერესს?*
ა) არ გსიამოვნებთ;
ბ) გაღიზიანებთ;
გ) სულ ერთია.



*8. თქვენი თანამოსაუბრე გაფანტულია, სათვალეს წმინდავს, ქაღალდებს აწყობს. თქვენ...*
ა) ბრაზდებით;
ბ) ცდილობთ არ შეამჩნიოთ;
გ) გწყინთ.

*9. რას გრძნობთ, როცა ადამიანი მთელი საუბრის განმავლობაში სახეში ერთხელაც არ შემოგხედავთ?*
ა) არცთუ სასიამოვნოა;
ბ) ბრაზდებით მასზე;
გ) გაღიზიანებთ.

*10. თქვენ სერიოზულ საკითხებზე ლაპარაკობთ, თქვენი თანამოსაუბრე კი სულ ხუმრობს, თქვენ...*
ა) მშვიდად ხართ;
ბ) მასთან ერთად იცინით;
გ) ღიზიანდებით.

| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ა | 0 | 5 | 2 | 5 | 1 | 5 | 0 | 5 | 0 | 1 |
| ბ | 5 | 0 | 5 | 0 | 5 | 0 | 5 | 0 | 5 | 0 |
| გ | 3 | 2 | 0 | 1 | 0 | 2 | 1 | 3 | 1 | 5 |

### ქულები დაითვალეთ ცხრილის მიხედვით



*0-10 ქულა. გილოცავთ! თქვენ შესანიშნავი მოსაუბრე ხართ. თუ საჭიროა, შეგიძლიათ გაკვეთილებიც ჩაატაროთ ამის შესახებ.*

*10-30 ქულა. თქვენ შეიძლება კარგი მოსაუბრე დაგარქვათ კაცმა, მაგრამ კარგი იქნება, თქვენს თანამოსაუბრეს უფრო გულდასმით დაუგდოთ ყური. მეტი იფიქრეთ საუბრის შინაარსზე.*

*30-40 ქულა. თქვენ ძალიან კრიტიკული ხართ თანამოსაუბრის მიმართ.*

*40-50 ქულა. სამწუხაროდ, თქვენ ცუდი მოსაუბრე ხართ, მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ – ამის სწავლა შეიძლება. მთავარია სურვილი.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი პრობლემა აფხაზეთთან დაკავშირებით

## ნოდარ ნათაძე

ამ ცოტა ხნის წინ ერთ-ერთ გამოსვლაში საქართველოს ამჟამინდელმა პრეზიდენტმა ე.შევარდნაძემ თქვა, რომ ღალატი, რომლის გამოც წაგებულ იქნა ომი აფხაზეთში, იყო ღალატი საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის ზ.გამსახურდიას მომხრეთა მხრიდან. მე ვერ ვიმსჯელებ სრული დაბეჯითებით იმაზე, რა ზიანი მოუტანა ან არ მოუტანა ზ.გამსახურდიას მომხრეების შეიარაღებულმა აქციებმა საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედებას აფხაზეთში ან, რით დაეხმარა მათ, რადგან ამისთვის ინფორმაცია მაკლია. ეს ბუნებრივია, რადგან ვახტანგ (ლოთი) ქობალიას რაზმების მოქმედება არც ისე ხილული იყო, როგორც ოფიციალური შეიარაღებული ძალებისა, და მათ, წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, ვერც ის მოთხოვნები წაეყენებათ, რაც სახელმწიფოს ოფიციალურ შეიარაღებულ ძალას და მის სარდლობას. სამაგიეროდ მე სრული უეჭველობით შემიძლია ფაქტების მიხედვით ვიმსჯელო საქართველოს ოფიციალური შეიარაღებული ძალების მოქმედებაზე და მათი სარდლობის მოქმედებაზე მის გარკვეულ ნაწილში მაინც (ყველაფერი, რა თქმა უნდა, არც ამ შემთხვევაში ვიცი და ეს ვერც დადგინდება გამოძიების გარეშე). ეს ნაწილი ჰმარა იმის დასამტკიცებლად, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების სარდლობაში და ომის პოლიტიკურ მართვაში საქართველოს ხელისუფლების მხრიდან იყო ღალატი და ამ ღალატმა გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩვენი ქვეყნის დამარცხებაში 1992-1993 წლის ბრძოლების მანძილზე. ჩემი აზრი გამოვაქვეყნე კიდეც გაზ. „საქართველოს" სპეციალურ ნომერში „აფხაზეთი-I" და კიდევ რამდენიმე მასალაში ამავე თემაზე ამ გაზეთში. ჰიპოთეზები არ წამომიყენებია. დავეყრდენი მხოლოდ იმ ფაქტებს, რომლებიც ცნობილია და ეჭვს არ იწვევს, და დასკვნის გამოტანის შესაძლებლობა თვითონ მკითხველს დავუტოვე. საქართველოს პრეზიდენტის ზემორე დამოწმებულ განცხადებაში მე ამ აზრის იგნორირებას ვხედავ. ეს გახლავთ ერთი მიზეზი, რის გამოც საჭიროდ ვცნობ საზოგადოებას შევახსენო იგივე ფაქტები (ახლის დამატებით) და საბოლოო დასკვნების გაკეთება კვლავ მკითხველს დავუტოვო. მეორე მიზეზი ის გახლავთ, რომ ამ ბოლო ხანებში პრობლემით დაინტერესებულ პოლიტიკურ წრეებში გაჩნდა რამდენიმე იდეა და რამდენიმე ღონისძიების გეგმა, რომელიც მე სახიფათოდ მიმაჩნია (და, ცხადია, არა მხოლოდ მე), რაც ახალ პრობლემათა კონტექსტში ძველი ფაქტების გათვალისწინების აუცილებლობას განაპირობებს. ისეთი გარემოებები, რომლებიც ან ცნობილი არაა (ეჭვს იწვევს), ან სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნას ინტერპრეტირებული, ზემოხსენებულ პუბლიკაციაში მაშინ არ გამომიყენებია და არც ამჯერად ვიყენებ.

### აფხაზეთის ომის წინა პერიოდი

1. აფხაზეთის ომის დაწყების ფონი ის იყო, რომ აფხაზეთში გამომავალი სატვირთო მატარებლები საფუძვლიანად იძარცვებოდა აფხაზეთში და ამის შემდეგ მეორედ იძარცვებოდა ზედაპირულად ინგირის აქეთ. ადვილი იყო იმის მიხვედრა – და ხელისუფალი ვალდებული იყო, ამას მიმხვდარიყო, – რომ ეს ხდებოდა შეიარაღებული საპოლიციო აქციის პროვოცირების მიზნით. საქართველოს ხელისუფლება ამას ვერ მიხვდა, ან თავი მოაჩვენა ქვეყანას, თითქოს ვერ მიხვდა, და განაგრძო თავის თავზე პასუხისმგებლობის აღება იმ ტვირთებისთვის, რომლებიც საქართველოს არ ეკუთვნოდა (სატრანზიტო ტვირთებისთვის). ამ გზით საქართველომ დაიდო სომხეთის 6 მილიარდი მანეთი ვალი (მაშინდელი მაღალი კურსით) იმის ნაცვლად, რომ სომხეთისა და მისი კომერციული პარტნიორებისათვის შეეთავაზებინა, ტვირთი ფოთის ნავსადგურით ეზიდათ. ამასთან, საქართველოს ხელისუფლებამ კრინტი არ დაძრა იმაზე, რომ მატარებლები აფხაზეთში იძარცვება და ამას, საფიქრებელია, უცხო სპეცსამსახურებისა და სეპარატისტების მიერ ორგანიზებული ჯგუფები სჩადიან. მან არჩია საქმის ისე წარმოჩენა, თითქოს ეს ძარცვა მხოლოდ ზუგდიდის რაიონის ქართველი მოსახლეობის ხელით ხდებოდა, რომელსაც ამ მატარებლებიდან პროდუქტი და საყოფაცხოვრებო გამოსადეგი ნივთები მიჰქონდა. ამგვარად, საქართველოს ხელისუფლებამ 1992 წლის გაზაფხულზე და ზაფხულში შეუფერხებლად და გაუხმაურებლად დაუშვა აფხაზეთში შეიარაღებული ჩარევის მაპროვოცირებელი სიტუაციის განვითარება და საქართველოს მოსახლეობას დაუმალა ამ სიტუაციის არსებობა.

2. 1992 წლის გაზაფხულზე საქართველოს თვითმარქვია „სახელმწიფო საბჭომ" შევარდნაძის თავმჯდომარეობით, მიუხედავად გაფრთხილებისა და მიუხედავად საყოველთაოდ ცნობილი უმწვავესი სიტუაციისა, რაც იმავე წლის იანვარ-თებერვალში პრეზიდენტ ზ.გამსახურდიას მომხრეთა წინააღმდეგ ჩატარებულმა „ლაშქრობამ" შექმნა სამეგრელოს რაიონებში, კვლავ განახორციელა განმეორებითი ლაშქრობა ამ რაიონებში უკიდურესად არადისციპლინირებული გვარდიისა და ნახევრად ფორმალიზებული დაუფარავად მარადიორული რაზმების ძალით. ამ ნაბიჯს აფხაზეთის ომის ისტორიასთან კავშირი აქვს იმდენად, რამდენადაც ამ აქციების შედეგად მოირღვა (და ცხადი იყო, რომ მოირღვეოდა) აფხაზეთის ტერიტორიაზე სამხედრო მოქმედების ზურგი და ზუგდიდის ზონაში გაჩნდა მუდმივი დაბრკოლება ფრონტისკენ მიმოსვლისათვის.

(როდესაც თბილისიდან ზუგდიდში ორჯერ ჩასულმა საშუამავლო ჯგუფმა ჩემი მონაწილეობით 1992 წლის გაზაფხულზე შეძლო თითქმის ყველა გაუგებრობის გაფანტვა, ჯგუფის მესამე და საბოლოო ჩასვლის დღეს გაზ. „საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა გენერალური პროკურორის ვ.რაზმაძის პროვოკაციული განცხადება ზ.გამსახურდიას წინააღმდეგ, რამაც მოლაპარაკება ჩაშალა).

3. საქართველოს ხელისუფლება 1992 წლის აგვისტოში ვალდებული იყო განეჭვრიტა, რომ აფხაზეთში თოფის გავარდნა აფსუებსა და ქართველებს შორის – განურჩევლად იმისა, თუ ვინ გაისროდა პირველი – საზარალო იყო საქართველოს ინტერესებისთვის. ეს იქნებოდა იმის დემონსტრირება, რომ დამოუკიდებელ საქართველოს თავის შიგნით აქვს „გადაუჭრელი" პრობლემები, რომლებიც სისხლისღვრას იწვევენ, და რომ, აქედან გამომდინარე, „გამართლებული" ხდება საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ძალის ამოქმედება, კონკრეტულად – რუსეთის ძალისა, რომელიც ღიად აცხადებდა, რომ საქართველოში „ინტერესები" აქვს. საქართველოს ხელისუფლებამ ამ ცხადი გარემოების იგნორირება მოახდინა.

4. საქართველოს ხელისუფლება ვალდებული იყო სცოდნოდა (და შეუძლებელი იყო, არ სცოდნოდა), რომ აფსუა სეპარატისტთა ლიდერები რეალურად ემზადებიან პროვოკაციული შეტაკებისათვის და რომ ისინი, ამასთანავე, ჩრდილო კავკასიელთა ძალის კონცენტრირებას ახდენენ აფხაზეთის ტერიტორიაზე. ცხადი იყო (და საქართველოს ხელისუფლება ვალდებული იყო, ამასაც მიმხვდარიყო), რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გადაადგილებისთანავე, რაც სავსებით კანონიერ ნაბიჯს წარმოადგენდა) მოხდებოდა შეტაკება და ეს შეტაკება ყოვლის მომცველ მასშტაბს მიაღწევდა. საქართველოს ხელისუფლებამ არც ეს გაითვალისწინა და, ამგვარად, დაუშვა ომის პროვოცირება მეორე მხარის მიერ.

5. საქართველოს ხელისუფლება ვალდებული იყო მომზადებული შეჰხვედროდა მოვლენათა ზემოხსენებულ განვითარებას სამხედრო მზადყოფნის მხრივ, ხოლო თუ მზად არ იყო, იგი ვალდებული იყო საზოგადოების შესაბამისი მობილიზაცია მოეხდინა ამ მიზნის მისაღწევად. ამავე დროს იგი ვალდებული იყო, თუკი სამხედრო მზაობას ვერ უზრუნველყოფდა, შეეყოვნებინა ამ მოვლენათა განვითარება და ჯარების გადაადგილება მატარებლების დაცვის მიზნით არ დაეწყო. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ – წინააღმდეგ თვალში საცემი და უეჭველი ფაქტებისა – საზოგადოების დეზორიენტაცია მოახდინა იმის განცხადებით (ე.შევარდნაძის მიერ), რომ ახლა (იგულისხმება: რუსეთის მიერ ახალციხის დივიზიის მოძველებული და გაცვეთილი ჯავშანტექნიკის საქართველოსთვის გადმოცემის შემდეგ) ჩვენს ქვეყანას შეუძლია პრობლემების შეიარაღებული ძალით გადაჭრა. ამგვარად, საქართველოს ხელისუფლება აჰყვა რუსეთის მიერ ახალციხის დივიზიის გადმოცემით განხორციელებულ მაპროვოცირებელ ნაბიჯს და ხელი შეუწყო ამ პროვოკაციაზე საქართველოს ინტერესების მრავალწლიანი შელახვით აღშფოთებული მოქალაქეების „წამოგებას". საქართველოს ხელისუფლება ვალდებული იყო გაეთვალისწინებინა, რომ რუსეთისგან მიღებული იარაღითა და ტყვია-წამლით სერიოზული საბრძოლო მოქმედების წარმოება შეუძლებელია, რადგან რუსეთი მხოლოდ იმდენ იარაღსა და ტყვია-წამალს მოგვცემს ყოველთვის, რამდენიც სჭირდება ოპერაციის დაწყებას, მაგრამ არასოდეს მოგვცემს იმდენს, რამდენიც სჭირდება ოპერაციის (მით უმეტეს – ომის) მოგებას.

სავსებით ლოგიკურია ვარაუდი, რომ ყველა ზემოჩამოთვლილ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა არა პოლიტიკურსა და სტრატეგიულ სიბრმავეს საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან, არამედ ამ სიბრმავის სიმულაციას.

6. რაკი ცნობილი იყო, რომ ომი შესაძლებელია, და რაკი ცნობილი იყო, რომ აფსუა სეპარატისტებს და მათ რუს მფარველებს განზრახული აქვთ ამ ომში რუსეთის მოქალაქეების პირდაპირი გამოყენება დიდი რაოდენობით და რუსეთის რეგულარული შეიარაღებული ძალების არაპირდაპირი გამოყენებით, საქართველოს ხელისუფლება ვალდებული იყო საქართველო ამ უთანასწორო ბრძოლისაგან დაეცვა დიპლომატიური და პოლიტიკური გზით, კერძოდ – გადაედგა პოლიტიკური და დიპლომატიური ნაბიჯები (გაეროში და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში მიმართვის ჩათვლით) მომავალი საბრძოლო მოქმედებიდან რუსეთის მოქალაქეებისა და შეიარაღებული ძალების გამოსათიშად. მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ ეს არ გააკეთა ანუ არ გამოიყენა შესაძლებლობა, რომ თავისი პოლიტიკური და დიპლომატიური აქტივობით თავისი ჯარისკაცისა და თავისი მშვიდობიანი მოსახლეობის სიცოცხლე დაეზოგა.

### აფხაზეთის ომის დაწყება

7. საქართველოს შეიარაღებული ძალების გადაადგილება აფხაზეთში რკინიგზის დაცვის მიზნით იყო კანონიერი ნაბიჯი და არა კონფლიქტის, მით უმეტეს – ომის შექმნა. მაგრამ ეს ასე იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას ფიზიკურ წინააღმდეგობას არ გაუწევდა ადგილობრივი ხელისუფლება. აფხაზეთის ხელისუფლებამ – მიუხედავად იმისა, რომ როგორც ეს ოფიციალურად არაერთხელ გაცხადებული იყო საქართველოს ხელისუფლების მიერ, ეს ნაბიჯი შეთანხმებული იყო მასთან – შეიარაღებული ძალების ამ გადაადგილებას წინააღმდეგობა გაუწია. კერძოდ, არძინბა გაერიდა სოხუმს და ამით უკვე შექმნა დაპირისპირება ერთის მხრივ საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და მის შეიარაღებულ ძალებს, მეორე მხრივ კი აფხაზეთის ხელისუფლებას შორის. ამის შემდეგ საკმარისი იყო ცეცხლის გახსნა აფსუა შეიარაღებული ძალების – კერძოდ, მათი უკანონოდ შექმნილი გვარდიის – მიერ, რათა ეს დაპირისპირება ომად ქცეულიყო. ეს სცენარი, როგორც ახლა ცნობილია, იდეალურად განხორციელდა ორივე მხარის, მათ შორის – საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ, რომელსაც სათავეში ე.შევარდნაძე ედგა. ამგვარად, ომის ამ დაწყების დაშვებაშიც – ისევე, როგორც ომის მომზადების დაშვებაში – საქართველოს ხელისუფლების მოქმედება ან გულუბრყვილობა, ან გულუბრყვილობის სიმულაცია იყო.

### აფხაზეთის ომის პირველი პერიოდი

8. როგორც ცნობილია, საქართველოს შეიარაღებული ძალების გადაადგილება რუსეთის საზღვრისკენ გაჩერებულ იქნა სოხუმში, მდ.გუმისთაზე. ცნობილია, რომ სოხუმში საქართველოს შეიარაღებული ძალების შესვლის შემდეგ, რასაც დაუყოვნებლივ უნდა მოჰყოლოდა მათი მოძრაობა ჩრდილო-დასავლეთისკენ, ლოთი ქობალიას „ტყვეობიდან" განთავისუფლებულ (დახსნილ) იქნა საქართველოს პოლიციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი რომან გვენცაძე და ქართული პოლიცია, რომელსაც სოხუმში წესრიგი უნდა დაეცვა, გვენცაძის მოსანახულებლად (!) სოხუმიდან თბილისისკენ წამოვიდა. ამ უმძიმეს დანაშაულს, რომელიც დაუსჯელი არ რჩება არც ერთ ქვეყანაში და არც ერთი ხელისუფლების მიერ (მაგრამ ამჯერად დაუსჯელი დარჩა), მოჰყვა ის, რომ

ა) შეიარაღებულ ძალებს დაევალა პოლიციის ნაცვლად ქალაქის დაცვა, რამაც განაპირობა ამ ძალების წინსვლის გაჩერება;

ბ) ამანვე განაპირობა შეიარაღებულ ძალებში მარადიორობის განვითარება, მაშასადამე – ამ შეიარაღებული ძალების ხრწნა.

გ) ქალაქში მარადიორობის გაშლას მოჰყვა ქალაქის დემორალიზაცია და შეიარაღებული ძალებისადმი ნდობის დაზარალება.

დ) საქართველოს შეიარაღებული ძალების წინსვლის შეჩერებამ საშუალება მისცა სეპარატისტებს რუსეთის დახმარებით გაემაგრებინათ გუმისთის მარჯვენა ნაპირი ეშერას ლაბორატორიის ხაზზე და შეიარაღებული დაპირისპირებისთვის ხანგრძლივი ხასიათი მიეცათ.

9. აფხაზეთში საბრძოლო მოქმედების დაწყებიდანვე საქართველოს სარდლობის მიერ შეგნებულად იქნა დატოვებული მოწინააღმდეგის ხელში და საკუთარ ზურგში ქალაქი ტყვარჩელი. ეს ცნობილი გახლავთ და ამიტომ შეგვიძლია ამ თემაზე დისკუსია არ გავმართოთ. ნაწილი, რომელიც ტყვარჩელის დასაკავებლად მოდიოდა, ბრძანებით შეჩერეს და უკან მოაბრუნეს, თუმცა ქალაქი მზად იყო უბრძოლველად დამორჩილებოდა ხელისუფლების ჯარებს. სოხუმის დაცემის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა ტყვარჩელის ყოფნა მოწინააღმდეგის ხელში: იქ გამაგრდა ტამიშში 1993 წლის 2 ივლისს გადმოსხმული დესანტი და იქიდან დაიკავა კოდორის შესართავი, რითაც სოხუმი ალყაში მოაქცია.

10. აფხაზეთში ომის დაწყების შემდეგ კვლავ გაგრძელდა ამ ომში (და არა მხოლოდ მის მომზადებაში) რუსეთის როლის მალვა საქართველოს ხელისუფლების მიერ, რაც, რა თქმა უნდა, ქართველი ჯარისკაცის სისხლისა და ქართველი მოსახლეობის სისხლის ხარჯზე ხდებოდა. მთელი ომის განმავლობაში არ გადადგმულა საქართველოს ხელისუფლების არც ერთი დიპლომატიური ან პოლიტიკური ნაბიჯი საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესიის ფაქტის დასაფიქსირებლად და, მაშასადამე, მის შესასუსტებლად მისთვის დაბრკოლების შექმნის გზით. (საქმე არ გასცილდა ე.შევარდნაძის ინტერვიუებს რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების შესახებ და სხვა მსგავს შემთხვევებზე). რუსეთისათვის მიცემულ ამ „შეღავათს", როგორც ცნობილია, არ მოუტანია არავითარი დადებითი შედეგი ანუ მას არ გამოუწვევია საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის გამოუცხადებელი ომის სიმწვავის ან მასშტაბის შემცირება.

მკითხველის ყურადღებას კვლავ მივაპყრობ იმას, რომ აქ მე ვლაპარაკობ მხოლოდ იმაზე, რაც სახელმწიფოს ხელმძღვანელობისა და სარდლობის ბრალია და არა შეცდომა. ამიტომ არ ვჩერდები ხელმძღვანელ თანამდებობებზე მყოფი პიროვნებების კვალიფიკაციაზე, პასუხისმგებლობის ხარისხზე). მორალზე და სამხედრო ფუნქციით აღჭურვილი პირის სხვა თვისებებზე რომელთა დაბალმა ხარისხმა, მაგალითად, ის გამოიწვია, რომ არ არსებობდა გაგრის დაცვის და გაგრიდან უკან დახევის გეგმა (რაც ნებისმიერი პუნქტის დაცვის პროცესში სავალდებულოა), თუმცა ამაზე პასუხი არავის მოჰკითხვია. მაგრამ ბრალის – და არა შეცდომის – სფეროს ეკუთვნის უდავოდ ის, რომ გაგრის დაცემის მიზეზთა გამოძიება არ მომხდარა, თვით ამ საკითხზე გამოყოფილ საპარლამენტო კომისიასაც კი მუშაობის საშუალება არ მიეცა. არ ვლაპარაკობ არც ისეთ ფაქტებზე, როგორიცაა გაგრის დამცველთათვის ტანკსაწინააღმდეგო თავდაცვის მოსაწყობად... სასწავლო ნაღმების გაგზავნა, მებრძოლებისთვის ზურგში სროლა და სხვა ამგვარი, რისი არდაჯერებაც მკითხველის ბუნებრივი უფლებაა ისევე, როგორც ყველა სხვა უნივთმტკიცებო ნათქვამის დაჯერება-არდაჯერება.

### რუსებთან შეთანხმება

11. აფხაზეთის ომის მანძილზე შედგა რამდენიმე მოლაპარაკება რუსებთან და მოხდა რამდენიმე ერთობლივი დოკუმენტის ხელმოწერა. 1992 წლის 3 სექტემბრის შეთანხმებამ რომ საქართველოს არაფერი მისცა (პირიქით, ამ ილუზიური მშვიდობიანობით მიძინებული გაგრის დაცემა ამ შეთანხმების ერთ-ერთ შედეგად ითვლება), ცნობილია. არც ერთით საქართველოს არაფერი მოუგია (და, მე მგონი, ლოგიკურად შეუძლებელია იმ ილუზიის სიმულაციაც, თითქოს საქართველომ რამე მოიგო ან შეიძლება მოიგოს). ყველაზე მნიშვნელოვანი თავისი შედეგებით არის 1993 წლის 27 ივლისის შეთანხმება, რომლითაც ქართულმა მხარემ დათმო თავისი ერთ-ერთი სტრატეგიული საყრდენი (წარმატებით მოქმედი არტილერიის ყოლა) მთლიანად, ხოლო სამაგიეროდ არ მიიღო არაფერი. ამ შეთანხმებამ, რომელიც რუსეთის ულტიმატური ზეწოლის პირობებში იყო მიღებული, განაპირობა სოხუმის დაცემა, როგორც ამ მოვლენის ძირითადმა ფაქტორმა. იგი შეიცავდა არა მხოლოდ სამხედრო დანაშაულის ნიშნებს (თავისი აშკარად წამგებიანი ხასიათის გამო), არამედ პოლიტიკურისაც. სახელდობრ, მისი დადებით და მასში ქართველი ერის ოპოზიციური ნაწილის არსებობის არგათვალისწინებით ხელისუფლებამ დაკარგა ზოგადეროვნული შეთანხმების (ანუ, პრაქტიკულად, ყველა პოლიტიკური ძალის ზოგადეროვნული გაერთიანების მიღწევის) შესაძლებლობა. განსაკუთრებული საერთო-ეროვნული განსაცდელის პირობებში ეს სავსებით შესაძლებელი იყო. ე.წ. „ზვიადისტებისთვის" ანუ პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთათვის ამ შრომატევად ურთიერთობაში ჩაბმა მხოლოდ ზნეობრივი მოვალეობა იყო, ხელისუფლებისთვის კი – ზნეობრივიც და იურიდიულიც, მისი სამსახურებრივი ფუნქციიდან გამომდინარე.

### სოხუმში მოსახლეობის დაბრუნება და მისი ევაკუაციის ჩაუტარებლობა

12. სოხუმის მოსახლეობის გახიზნული ნაწილის დაბრუნება სოხუმში მოხდა 1993 წლის აგვისტოში საქართველოს ხელისუფლების (ე.შევარდნაძის ჩათვლით) რჩევის თანახმად. სოხუმზე შემოტევის დაწყებისას (14 აგვისტო) არ მოხდა ამ მოსახლეობის ევაკუაციით გაყვანა. პირიქით, მოსახლეობას ურჩევდნენ დარჩენილიყო ქალაქში, რომელიც, თითქოს „საიმედოდ დაცული" იყო. ამ დანაშაულებრივ შეცდომას მოჰყვა უზარმაზარი მსხვერპლი „ეთნიკურ წმენდაში" დახოცილთა და ჭუბერის უღელტეხილზე ავდრისაგან დაღუპულთა სახით.

ბრალდებას საქართველოს იმდროინდელი ხელისუფლების მიმართ ყოველთვის შეუძლია იმ მოსაზრების წამოყენება, რომ ეს იყო დანაშაული, რომელიც განაპირობა ორმა მოტივმა: ლტოლვილი მოსახლეობის, როგორც პრობლემის, მოცილების სურვილმა და სოხუმის ძირითად პრეზიდენტისტული ანუ ზვიად გამსახურდიისადმი პატივისცემით გამსჭვალული მოსახლეობის ამისათვის დასჯის სურვილმა.

### სამხედრო მოქმედება სოხუმის დაცემის შემდეგ

13. სოხუმიდან ენგურამდე აფსუა სეპარატისტებმა და მათმა მოკავშირეებმა, ფაქტობრივად, წინააღმდეგობის გარეშე განაგრძეს წინსვლა (რაც საფუძვლად დაედო ოჩამჩირეში მათ მიერ მოწყობილ მიტინგზე გაკეთებულ განცხადებას, „ეს მიწა რომ ქართველებისა იყოს, ასე ადვილად არ დაგვითმობდნენო"). არც სოხუმთან, არც სადმე სოხუმსა და ენგურს შორის არ იყო მომზადებული თავდაცვის სათადარიგო ზღუდეები, რაც წარმოადგენს სამხედრო დანაშაულს, რომელიც სხვაგვარად ვერ დაკვალიფიცირდება ვერანაირი სასამართლოს მიერ.

ომის ამ ეტაპზე კიდევ შესაძლებელი იყო შეიარაღებული ოპოზიციისათვის (ლოთი ქობალიას რაზმებისათვის) ერთობლივი ბრძოლის შეთავაზება და, დიდი ალბათობით, თანხმობის მიღება, რაც სახელმწიფოს თავიდან აარიდებდა ტერიტორიის შემდგომ დაკარგვასაც და სამოქალაქო ომსაც.

იმაზე, რომ არ მოხდა ან ვერ მოხდა გალის მოსახლეობის ორგანიზება სეპარატისტებისა და მათი მოკავშირეების შემოსვლის წინააღმდეგ საბრძოლველად, ლოგიკურად პასუხისმგებელია ან ხელისუფლება, ან შეიარაღებული ოპოზიცია, ასე რომ ამ ორ სუბიექტს შორის პასუხისმგებლობის განაწილების საკითხი მომავალი გამოძიების წინაშე დგას.

### რუსეთთან მოლაპარაკება გალის რაიონის დაკარგვის შემდეგ

14. რუსეთის მოწვევა შუამავლად მოლაპარაკებებში ენგურამდე უკან დახევის შემდეგ და სამშვიდობო ჯარების ფუნქციის თვით შემნა საქართველოს შინაგან კონფლიქტში ჩასარევად, მით უფრო – ამ ფუნქციის დაკისრება ანტიქართული ომის ორგანიზატორი და წარმმართველი ძალისთვის (რუსეთისთვის), ისევე როგორც „კონფლიქტის ზონაში" ზუგდიდის რაიონის მითვლა რის საფუძველზეც „საზღვარი" მხარეებს შორის მდ.ენგურამდე გავიდა, სხვაგვარად ვერ განიხილება, თუ არ როგორც ანტისახელმწიფოებრივი ნაბიჯები, რომლებიც ნაკარნახევია კერძოდ რუსეთის და ზოგადად გარეძალების ინტერესებით, რომელთაც კონფლიქტის ინტერნაციონალიზაცია რეგიონში ჩარევის საშუალებას აძლევს. ეს გარემოება, რომლის მიხედვითაც იკვეთება გამჭოლი მიზნის კონტურები, საფუძველს იძლევა, რომ ზემოთ ნახსენები ნაბიჯები, რომლებიც დახასიათდა როგორც ან დანაშაულებრივი შეცდომა, ან შეგნებული დანაშაული, გაგებულ იქნას როგორც შეგნებული დანაშაული, ჩადენილი უცხო ძალის ინტერესებისადმი საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების და მის მოქალაქეთა სიცოცხლისა და უსაფრთხოების ინტერესების დაქვემდებარების განზრახვით. ამავე დასკვნას გვიკარნახებს არძინბასა და მის ხროვაზე სანქციების გაუცემლობა და არძინბასთან ე.შევარდნაძის საუბარი, როგორც აფხაზების წარმომადგენელთან.

### დღევანდელი ხიფათი

15. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ხსენებული ანტიქართული ზრახვის განხორციელების გაგრძელებად უნდა ჩაითვალოს დევნილი მოსახლეობის წუხილისა და გაჭირვების გამოყენებით ამ მოსახლეობაში „ქვემოდან" ჩანერგილი გეგმის გაჩენა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს (თავმჯდომარე თ.ნადარეიშვილი) დაშლისა და საქართველოს პარლამენტში აფხაზეთიდან არჩეულ დეპუტატთა რწმუნების გაუქმებისა თვით დეპუტატთა მიერვე. ამ ნაბიჯის გადადგმა ნიშნავს აფხაზეთის ხელისუფლების ლეგიტიმური სტრუქტურების გაუქმებას, რის შედეგადაც აფხაზეთის წარმომადგენლად მხოლოდ არძინბა და მისი ხროვა რჩებიან.

# კარდუ
## ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

აკაკი ბაქრაძე

### დაბადების თარიღი

იმ ურიცხვ ანკეტაში, რომელიც გრიგოლ რობაქიძეს საკუთარი ხელით შეუვსია, თავის დაბადების თარიღად ჩაწერილი აქვს 1884 წლის პირველი ნოემბერი. და არა მარტო ანკეტებში, ავტობიოგრაფიებშიც. 1925 წელს Curriculum vitae დაუწერია.· აქაც დაბადების თარიღად მითითებული აქვს 1884 წლის პირველი ნოემბერი. მერე მწერლის ცხოვრებით დაინტერესებულმა მკვლევარებმა არქივში იპოვნეს მეტრიკული ჩანაწერი, სადაც გრიგოლ რობაქიძის დაბადების თარიღად დასახელებულია 1880 წელი.[1] სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში მწერალი თავადაც აღარ მალავდა, რომ დაბადებული იყო სოფელ სვირში 1880 წლის 28 ოქტომბერს. თავის საქციელს კი ნანობდა. კერძოდ, 1955 წლის 25 სექტემბერს იგი ნიუნბერგიდან წერდა გერმანელ მწერალს ჰანს ჰასო ფონ ველტჰაიმს, რომელთანაც ახლო მეგობრობა აკავშირებდა.

„ჩემო ძვირფასო ჰანს ჰასო!

მოკლე დროით მიუნხენში ჩაველი, ჩემი თანამემამულეების გარემოში ცოტათი რომ დამესვენა. ახლა ნიუნბერგში ვარ ორი დღით ჩემს მეგობარ რუდოლფ კარმანთან და ხვალ უკან ვბრუნდები მიუნხენში. სამწუხაროდ, არ შემიძლია გესტუმრო, რადგან ჩემი ფულადი სახსრები შეზღუდულია.

რამდენიმე თვეა მძიმე სულიერ დეპრესიაში ვიმყოფები. შენ იცი, რა მძიმე მდგომარეობაში ვცხოვრობ ჩემი ცოლის ავადმყოფობის შემდეგ. რამდენიმე თვის წინათ ძალებმა მიმტყუნეს. ნერვები მაწუხებენ. ყოველი გადაცდომა, რომელიც ოდესმე დამიშვია, მაშფოთებს. ორი შემთხვევა მოქმედებს ჩემზე განსაკუთრებით დამთრგუნველად.

პირველი შემთხვევა: ჩემი რომანი „მეგი“, საქართველოში, 1929–1930 წლებში შეიქმნა. მაშინ უკვე მქონდა საიდუმლო განზრახვა გერმანიაში გაპარვისა. მინდოდა გერმანული ტექსტი ხელთ მქონოდა. ჩემი მეგობარი რაინჰოლდ ჩაკერტი, რომელიც ამ წიგნის მთარგმნელად არის დასახელებული, ქართულს არ ფლობდა. ორმაგი სამუშაო რომ თავიდან ამეცდინა, ჯერ ქართულად დამეწერა რომანი და მერე რუსულად მისთვის, „მეგის“ ორიგინალური ტექსტი იმთავითვე რუსულად შეიქმნა. ჩემი აზრით, ამით რომანს არაფერი მოაკლდა, მით უფრო, რომ მასში ხაზს არ ვუსვამდი სიტყვიერ ხელოვნებას, არამედ სახეებს, ბედ-იღბალს, სურათებს, აგრეთვე იმას, რაც ყოველ ენაში ერთნაირად წარმოსადგენია. ამასთანავე ვფიქრობდი, ეს წიგნი მოგვიანებით ქართულად დამეწერა (რა თქმა უნდა, ეს არ იქნებოდა უბრალო თარგმანი, არამედ თავისთავადი ტექსტი). სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოვახერხე ეს. სხვადასხვა გარემოებამ დამაბრკოლა. ახლა თავად საქმეზე. 1934 წელს „მეგის“ იტალიური თარგმანი გამოქვეყნდა, სატიტულო ფურცლის უკანა მხარეს გამომცემელს (შპერლინგ ეკუპფერის გამომცემლობა, მილანო) შენიშვნა ზის: „ქართული ორიგინალი არასოდეს გამოცემულა“. ამ შენიშვნას, რომლის წარმოშობაში თავს პასუხისმგებლად ვთვლი, მაშინ საკმაოდ დაუფიქრებლად მოვეკიდე. მე ვამბობდი: ქართული ორიგინალი ფესვგადგმულია ჩემში. მჭირდება მხოლოდ მისი ქაღალდზე გადატანა. ვერ დავინახე მე ეს აღრევა ორ განსხვავებულ სიბრტყეში? არ შემიმჩნევია, რომ ეს აღრევა შეიცავს მორალურ გადაცდომას? მას შემდეგ 21 წელიწადი გავიდა. ამ დროის მანძილზე ამის გამო განსაკუთრებული სინდისის ქენჯნა არ მიგრძვნია. პირველად ამ თვეში, უცბად, ამოტივტივდა ჩემში სინდისის ქენჯნის მწვავე განცდა, რაც ჩემს დღევანდელ მდგომარეობაში ქანცს მაცლის. ისევ მწყობრში რომ ჩავდგე, ჯერ ღმერთის წინაშე უნდა მოვინანიო. ამას ჭეშმარიტად ვაკეთებ. შემდეგ უნდა, აგრეთვე, ეს თანამედროვეთა წინაშე როგორღაც ლიტერატურულად ვაღიარო.

მეორე შემთხვევა უფრო დამთრგუნველად მოქმედებს ჩემზე. მე ყოველთვის გამოვიყურებოდი უფრო ახალგაზრდად, ვიდრე ჩემი წლები მაძლევდნენ ამას. 1927 და 1931 წლებში ჩემს საზღვარგარეთულ პასპორტში ოთხი წლით ახალგაზრდად ჩავაწერინე თავი (ფაქტობრივად მე დავიბადე 15 ოქტომბერს ძველი სტილით, ანუ 28 ოქტომბერს ახალი სტილით 1880 წლისა). ამის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა არ მოუთხოვიათ და, საერთოდ, ცარისტული რეჟიმის გაუქმების შემდეგ, დაბადების ცნობას არავინ მთხოვდა. მაშინ ჩინოვნიკებს არ აინტერესებდათ ჩემი ასაკი. ეს მონაცემი ავტომატურად შევიდა ჩემს ემიგრანტულ პასპორტშიც. ეს ყალბი დაბადების თარიღი არის შეტანილი აგრეთვე სხვადასხვა ლექსიკონებში. გულახდილად ვაღიარებ, დღემდე ამ საქმეზე არ ვზრუნავდი. ვამბობდი: ჩემი შინაგანი „ჰო“ გაცილებით უფრო სრული რაღაც არის, ვიდრე კალენდარული. თუ კალენდარულის მიმართ თანამედროვეებს ინტერესი გაუჩნდებათ, შეეძლებათ გაიგონ ჩემი სიკვდილის შემდეგ, იყო თუ არა ეს თვითდამშვიდება?! ასე დაუფიქრებლად დავიკმაყოფილე ჩემი თვითმოტყუება. დღეს ვხედავ, პატივმოყვარეობის დემონს როგორ ადვილად გავეგე ფეხქვეშ. ეს იმდენად მღრღნის, რომ სიმშვიდეს ვერ ვპოულობ. რა გავაკეთო? შემთხვევა გავაობიექტურო, რაც საჯაროდ აღიარებას ნიშნავს და ამით კომპლექსს თავი დავაღწიო. აბა, როგორ? რომელი სახით? ლექსიკონების ახალ გამოცემებში იოლია გასწორება. ამავდროულად ვფიქრობ შემთხვევა პოლიციას ვაცნობო, საპასპორტო განყოფილებაში. შეასწორებენ კი? როგორც შენიშვნას, ალბათ, მაინც მიიღებენ მხედველობაში.

შენ შეგიძლია წარმოიდგინო, როგორ დეპრესიაში ვიმყოფები ახლა მე.

ახლოვდება 15 ოქტომბერი, შენი დაბადების დღე. მე მინდა ახლავე მოგილოცო. მე ტანჯული გისურვებ შენ, ტანჯულს – ღმერთის ლოცვა-კურთხევას და ჯანმრთელობას.

ძმური სიყვარულით გ.რობაქიძე“.[1]

ფაქტი ვიცით, მაგრამ ახსნა გვიჭირს – რა მიზნით შეცვალა გრიგოლ რობაქიძემ თავისი დაბადების თარიღი. ეს დამაფიქრებელია თუნდაც იმიტომ, რომ ოქტომბრის თვეს იგი ყოველთვის სიყვარულით იხსენებდა. რომანის „მეგის“ წინასიტყვაობაში ავტორი წერდა: „მე ოქტომბერში დავიბადე. თითქმის ყველაფერი, რაც ჩემთვისა და ჩემი ცხოვრებისათვის მართლა მნიშვნელოვანი იყო, ამ თვეში მოხდა“. ანდერძადაც კი დატოვა: „როცა მე ამ სოფლად უკვე აღარ ვიქნები, მიდიოდეს ვინმე ქართველი დედა ყოველ წელს მცხეთას, მწიფობის, ჩემი დაბადების თვეში, სანთელს ჟანთებდეს ამ პაწა სალოცავის წინ და ლოცვით ახსენებდეს ჩემს სახელს“.

მწიფობისთვე ოქტომბერია. და მაინც შეცვალა დაბადების თარიღი. ეს გრიგოლ რობაქიძის საიდუმლოა. ვეჭვობ, ოდესმე ამოვიცნოთ იგი.



### პორტრეტი

გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი დახატული აქვს ალექსანდრე ქუთათელს „პირისპირ“ – რომანში. საერთოდ „პირისპირში“ ბევრი რეალურისტორიული პირია გამოყვანილი, ზოგიერთნი საკუთარი გვარითა და სახელით და ზოგიერთნიც – შეცვლილით (მაგალითად, როსტომ ჩხეიძე წიგნში „ცხოვრება პავლე ინგოროყვასი“ ზუსტად აღნიშნავს, რომ ალ.ქუთათელის პერსონაჟი ერემო გოდებანიძე პავლე ინგოროყვაა). გრიგოლ რობაქიძეც არის ამ რომანის პროტაგონისტი პლატონ მოგველაძის სახელით. მართალია, პროზაიკოსის მიერ გრიგოლ რობაქიძის სახე გაშარჟებულია, მაგრამ მაინც გავახსენებ მკითხველს, როგორ არის იგი აღწერილ-დახატული „პირისპირში“.

„უცნაური კაცი იყო პლატონ მოგველაძე. იგი ყველას უნდობლად ეკიდებოდა. კაცისადმი უნდობელ დამოკიდებულებას თავისებურად ასაბუთებდა: „ისეთ ქვეყანაში, სადაც მოჰკლეს ილია, მე არავის არ ვენდობიო“. მოგველაძე უმეგობრო კაცი იყო. მარტოობა უყვარდა და ამასაც თავისებურად ასაბუთებდა: „ქართველი კაცის მთელი ინდივიდუალურ ყოფაში ცხოვრობს და არა კოლექტიურში“. იგი ძალზე ეჭვიანი, პატივმოყვარე, ეგოცენტრიზმით და განდიდების მანიით შეპყრობილი კაცი იყო. განათლება ევროპაში მიიღო. ფილოსოფიის და ხელოვნების დიდ მცოდნე კაცად მოჰქონდა თავი, მაგრამ ხშირად ელემენტარული საკითხების უცოდინარობას ამჟღავნებდა. იგი სოფლელი დიაკვნის შვილი იყო, ინგლისელი ლორდის შვილობას მონატრებული. ინგლისელს რომ დამსგავსებოდა, ბაგეთა კუნთების დაძაბვისა და დაჭინთვის საშუალებით, ნიკაპი ხელოვნურად გაეფართოებინა. და არა მარტო ნიკაპი, მისი სახის ყოველი ნაკვთი, ყოველი მისი მოძრაობა, ქცევა, სიტყვა და მოსაზრება, მთელი მისი არსება, ხელოვნურად იყო გაბერილი, დაძაბული, დაჭინთული და შეკოწიწებული. იგი ხელოვნურად გაკეთებულ კაცსა ჰგავდა. მსახიობური ნიღბის ტარებით ხშირად იღლებოდა და, როდესაც შინ მარტო დარჩენილი, სარკეში ნიღაბახდილ, ბუნებრივ თავის სახეს, გაქსუებულ ცხვირს და თხელ ნიკაპს დაინახავდა, – შეძრწუნდებოდა. თავისი სახით გულნატკენი „ზეკაცი“, მაშინვე თვალის უპეთა ქვეშ მდებარე კუნთებს ასწევდა, თვალებს ხელოვნურად აღანთებდა, ბაგეს გასჭიმავდა, სახეს დაძაბავდა და ქალაქში ისევ მსახიობის ყალბი ნიღბით გავიდოდა. თავზე დაკოსებული კატილოკით, ხელთათმანით, სტეკით, სახის მრისხანე გამომეტყველებით იგი გამზირზე ჩქარა გაივლიდა, იაქესავით მარტო, ბრაზმორეული, სამართებელივით ალესილი, თითქოს ქვეყანას ემდურის და ხმალში იწვევსო. საქართველოში ამჟამად ჩამოყალიბებულმა ლიტერატურულმა ჯგუფმა იგი თავის ხელმძღვანელად გამოაცხადა და მოულოდნელად, ორმოცი წლის კაცმა, პოეტობა დაიწყო“.

ეს სტრიქონები არ დაწერილა 30-იანი წლების განწყობილების გამო, აქ უფრო სხვა თაობის კაცისა (ალ.ქუთათელი 18 წლით უმცროსი იყო გ.რობაქიძეზე) და სხვა ლიტერატურული შეხედულებების მწერლის დამოკიდებულებაა გამოვლენილი. მაგრამ, როგორც ყოველ შარჟში, აუცილებლად იცნობთ კარიკატურის ობიექტს, ასევე ალექსანდრე ქუთათელის აღწერილ პერსონაჟში, მიუხედავად უტრირებისა, დაინახავთ გრიგოლ რობაქიძეს.

გრიგოლ რობაქიძე მართლაც დიდად ზრუნავდა თავის გარეგნობასა და ჩაცმა-დახურვაზე. ამას დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევს მის ყველა შემორჩენილ ფოტოსურათზე. სხვაგანაც ამჟღავნებს იგი საკუთარი გარეგნობით დაინტერესებას. 1910–11 წლებში გრიგოლ რობაქიძეს ხშირი მიმოწერა ჰქონდა ქეთევან ამირეჯიბთან.[1] ერთ-ერთ ღია ბარათზე, რომელზეც ცხენზე ამხედრებული ნაპოლეონ პირველია გამოხატული, გრიგოლ რობაქიძეს მიუწერია: „Говорят, что здесь я похоже на Наполеона, правда-ли это?! (ამბობენ, მე აქ ნაპოლეონს ვგავარ, მართალია ეს?!. ძალიან გვიან, უკვე 82 წლის გრიგოლ რობაქიძე მეგობარს არმინ ზიგრისტს საკუთარ ფოტოსურათს აჩუქებს. სურათის უკანა მხარეს კი მიაწერს – Konnte man diesen Mann "alt" nennen?! (შეიძლება ამ კაცს „მოხუცი“ დაარქვა?!). სურათზე მწერალი ნამდვილად მხნედ და ახალგაზრდულად გამოიყურება. მაგრამ რამდენიმე დღის

გაგრძელება მე-13 გვ.

1. რ.ლომინაშვილი – „თარიღის დადგენისათვის“ („ლიტერატურული საქართველო“, 1988 წლის 18 მარტი).

1. ეს და სხვა წერილები, რომელიც ამ წიგნშია მოხმობილი, ინახება ავთანდილ ჩხიკვიშვილის არქივში. თუ ბარათი რომელიმე სხვა არქივიდან არის, ეს საგანგებოდ არის მითითებული. საერთოდ, წიგნი დაწერილია ავთანდილ ჩხიკვიშვილის, გურამ შარაძისა და ლაშა ბაქრაძის მიერ მოპოვებული დოკუმენტების საფუძველზე.

1. გ.რობაქიძის ბარათები ქ.ამირეჯიბისადმი ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად.კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში.

# კარდუ

## ანუ გრიგოლ რობაქიძის ცხოვრება და ღვაწლი

აკაკი ბაქრაძე

მეხუთე გვერდიდან

შემდეგ გრიგოლ რობაქიძე ამქვეყნად აღარ იქნება.[1]

გრიგოლ რობაქიძის გარეგნობა რომ ყურადღებას იპყრობდა, ამას ანდრეი ბელიც ადასტურებს.

1907 წლის 5 მარტს (ახალი სტილით) დიმიტრი მერეჟკოვსკის ლექცია წაუკითხავს პარიზში Salle d'Orient-ში (აღმოსავლეთის დარბაზში). ამ ლექციას ათას კაცამდე მსმენელი ესწრებოდა თურმე. ანდრეი ბელიც ყოფილა იქ. იგი იხსენებს:

„ერთხელ მერეჟკოვსკის ლექციას ვისმენდი რუსულ კოლონიაში. ვიღაც მტკიცე შესახედაობის მამაკაცი, გულზე ჯვარედინად ხელებდაკრეფილი, მხრებით კედელს მიყრდნობილი, აწეული პროფილით, როგორც ძველი მარმარილოს ქანდაკი, გაქვავებული იყო.

– ვინ არის ის? – გიპიუს.

იგი არ წავიდა შესაკამათებლად. მკაფიო ხმით ადგილიდან იქუხა, მისი პროფილივით მტკიცედ გამოძერწილი სიტყვებით, დადუმდა და ისევ დაიკრიფა ჯვარედინად ხელები გულზე, მიეყრდნო კედელს და არ იძროდა ადგილიდან.

– ქართველია, რობაქიძე, ფილოსოფოსი. – მითხრა მოგვიანებით გიპიუსმა.

ამ გამოჩენილ მწერალს, სიმბოლიზმის კლასიკოსს, ქართველი პოეტების ჯგუფის ხელმძღვანელს, რომლის სახელი მოგვიანებით გერმანიაში გახმაურდა, ოცდასამი წლის შემდეგ შევხვდი თბილისში“.[2]

60-იანი წლების დასაწყისში გრიგოლ რობაქიძეს კინორეჟისორი ივანე პერესტიანიც გაიხსენებს. 20-იანი წლების პირველ ნახევარში გრიგოლ რობაქიძე იყო სახალხო განათლების კომისარიატთან არსებული მთავარი სახელოვნო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. კინოხელოვნებაც და კინომრეწველობაც ამ უწყებაში შედიოდა, ამის გამო ივანე პერესტიანი ხშირად ხვდებოდა გრიგოლ რობაქიძეს.

„არ ვიცი რა ჰქონდა რობაქიძეს თავში, მაგრამ თავზე, როგორც ჭეშმარიტ ფილოსოფოსს შეეფერება ეს, ერთი ბეწვიც არ ეზრდებოდა. იგი ატარებდა აკურატულ პარიკს, იდეალურად შუაგაყოფილს. ეს პარიკი მელოტს ეწებებოდა რაღაც სალბუნით. იგი ცუდად იჭერდა პარიკს. ასე რომ, სხდომის დროს თავმჯდომარის გამომეტყველება ხშირად ღიმილს იწვევდა. კიდევ უფრო მეტად მაშინ, როცა რობაქიძე დისკუსიის დროს პარიკქვეშ ფანქარს შეყოფდა, მელოტი რომ მოეფხანა.[3]

მართალია, გრიგოლ რობაქიძე პარიკს ატარებდა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ იგი პარიკქვეშ ფანქრით მელოტს იფხანდა. ეს მის ბუნე-

1. სურათი 1962 წლის ნოემბერშია ნაჩუქარი. რიცხვი არ არის მითითებული. 1962 წლის 19 ნოემბერს კი გ.რობაქიძე გარდაიცვალა.

2. А.Белый - “Между двух революций“, 1990 г., стр. 171.

3. И.Перестиани - “75 лет жизни искусстве“, 1962 г., стр. 310-311.



ბა-თვისებას არ ეგუება. ალბათ,ივანე პერესტიანს ხანდაზმულობის გამო ბევრი რამ დაავიწყდა. უნებლიედ ის გაიმეორა, რაც ბევრჯერ უნახავს თეატრსა და კინოში, პარიკებსა და გრიმებში დაბერებულ კაცს. კინორეჟისორის სიტყვები იმასაც მოწმობს, რა ნაირგვარად ამახსოვრდება სხვადასხვა ადამიანს ერთი და იგივე პიროვნება. ამდენად, ძნელად სანდოა მემუარისტი. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ უიმათოდ ჭირს წარსულის აღდგენა.

გერმანელმა დიპლომატმა და მწერალმა ნიკოლაუს ზომბარტმა გულთბილი სტრიქონები მიუძღვნა გრიგოლ რობაქიძეს (იხ. მისი „fugend in Berlin“). 30-იან წლებში ზომბარტების ოჯახში ხშირად სტუმრობდნენ გერმანელი და უცხოელი მწერლები, საერთოდ, კულტურის მოღვაწენი. მათ შორის ყოფილა გრიგოლ რობაქიძეც.

გრიგოლ რობაქიძე ზომბარტების ოჯახის ახლობელი კაცი იყო. როცა ნიკოლაუს ზომბარტის მამა, ვერნერ ზომბარტი, მთელ ევროპაში სახელგანთქმული ეკონომისტი, გარდაიცვალა, ქართველი მწერალი ბრუნო გიოტცს, 1941 წლის 22 მაისს, წერდა: „ვერნერ ზომბარტი ამ დღეებში სამუდამოდ გამოგვეთხოვა. ძალიან მტკივნეულია. მისი ცხოვრება საკმაოდ ხანგრძლივი იყო. მაგრამ იგი ისევ სავსე იყო სულიერი და ხორციელი ძლიერებით. ჩვენ დავკარგეთ არა მარტო დიდი სწავლული, არამედ საოცარი ადამიანიც, რომელიც მოყვასს გოეთესეული გამოსხივებით ასაჩუქრებდა“.

ნიკოლაუს ზომბარტის სიტყვით, გრიგოლ რობაქიძეს უძრავი, ფერმკრთალი სახე ჰქონია, მუქი შავი თვალებით. თვალების თეთრი გარსი არ უჩანდაო, რის გამოც ისინი ფრინველის თვალებს მოგაგონებდათო. პარიკი, რომელიც მელოტს მთლიანად ვერ უფარავდა, შავი აბრეშუმივით ბრწყინავდა. წლიდან წლამდე იგი ატარებდა კარგად გამოჭრილი შავი ტვიდის ქურთუკს და ღია რუხი ფერის შარვალს. სხვა ტანსაცმელში მე იგი არც მინახავსო, – დასძენს გერმანელი მწერალი. აღმოსავლური ჩვეულების თანახმად, ხელში ქარვის კრიალოსანი ეჭირა. მისი თლილი თითები დაუცხრომლად მარცვლავდნენ კრიალოსანს. ეს მკვირცხლი მოძრაობა ვერ უთავსდებოდა მის გაქვავებულ გამომეტყველებას. ანაზდად გულისშემძვრელად გადაიხარხარებდა. სიცილი ისევე უცბად წყდებოდა, როგორც მოულოდნელად წარმოიშვა. სიცილის დროს პირს ხახამდე აღებდა. მოჩანდა მისი ოქროს კბილების ბრწყინვა. პირს დამუწავდა თუ არა, იგი ისევ უძრავი, ფერმკრთალი ნიღაბი იყო, გაფაციცებული ფრინველის სახით.[1]

ცხადად ჩანს, რომ გრიგოლ რობაქიძე არა მარტო თავის მსოფლმხედველობასა და მსოფლხატს აყალიბებდა, არამედ თავის გარეგნობასაც. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ, 22 წლისამ, საგანგებო სტატია დასტამბა „კვალში“ (1902 წ., №20) – „რა არის მოდა?“ წერილს საფუძვლად ედო, როგორც ამას თავად აღნიშნავდა, გეორგ ზიმელის სოციოლოგიური ეტიუდი – „მოდის ფსიქოლოგია“.

„ჩვენი ზნეობა კმაყოფილდება ხან მაშინ, როცა ჩვენი „მე“ დაახლოვებული და დამზგავსებულია სხვებთან, ესე იგი, როცა ის გაერთიანებულია საზოგადო წრეში; ხან კი, პირიქით, ჩვენი ზნეობრივი გრძნობა მაშინ კმაყოფილდება, როცა ჩვენი პიროვნება განსხვავებულია სხვებისგან, გამოცალკევებულია საზოგადოებისაგან“, – წერდა იგი.

გრიგოლ რობაქიძე, რა თქმა უნდა, ყოველთვის გრძნობდა თავს მთელი საზოგადოების განუყოფელ ნაწილად, მაგრამ, ამავე დროს, მძაფრი სურვილი ჰქონდა გამორჩეულიც ყოფილიყო სხვებში და არა მარტო მსოფლმხედველობით, მსოფლხატით, აზროვნებისა და წერის სტილითა და მანერით, არამედ გარეგნობითაც, ჩაცმა-დახურვითაც.

გრიგოლ რობაქიძეს თავისი პიროვნების ჩამოყალიბებაზე ზრუნვა არ შეუწყვეტია სიცოცხლის ბოლომდე. 1962 წლის 3 ნოემბერს თავის უკანასკნელ სიყვარულს გრაფინია გიტა ფონ შტრახვიტცს წერდა: „არ შემიძლია არ გავიმეორო ის, რასაც გოეთე ამბობს ეკერმანთან საუბარში: „მე ჩემი თავი ჯერ კიდევ არ შემიქმნია“.[2]

უკვე ხანდაზმული კაცი, როცა დაწერილი აქვს თავისი უმთავრესი თხზულებანი, ახალ ფსევდონიმს ეძებს. რამდენიმე წერილსაც აქვეყნებს – ავალონ კარდუელის – ფსევდონიმით, მაგალითად, შვეიცარიულ გაზეთში „დი ტატ“ (1952 წ., 9 დეკემბერი) სტატიას

1. უფრო დაწვრილებით ნოდარ კაკაბაძის წერილში – „გრიგოლ რობაქიძის გერმანული პორტრეტი“ („ლიტერატურა და ხელოვნება“, 1992 წ., №5-6.

2. გ.რობაქიძის ბარათები გიტა ფონ შტრახვიტცისადმი ინახება საქართველოს გ.ლეონიძის სახ.ლიტერატურულ მუზეუმში.

„საჩვენებელი პროცესი“ (რამდენიმე დღის შემდეგ, 14 დეკემბერს, ამ გაზეთს პოეტ გიორგი გამყრელიძეს გაუგზავნის და მისწერს – „Avallon Cardwell მე ვარ. თუ რას ნიშნავს ჩემთვის ეს ფსევდონიმი – ამის შესახებ სხვა დროს...“), ხოლო „შვაიცერ რუნდშაუში“ (1953 წ., ოქტომბერი, მეშვიდე რვეული) დასტამბავს ესეის „საბჭოთა ადამიანის ფსიქოლოგიისათვის“.

1952 წლის 15 დეკემბერს ორ მეგობარს – ნინო სალიასა და არმინ ზიგრისტს – ერთდროულად ბარათებით ატყობინებს:

„ჩემთვის სახელი Avallon Cardwell ავირჩიე. მას აქვს ჩემთვის განსაკუთრებული აზრი. „ავალონ“ არის მითოსურად გააზრებული „თეთრი კუნძული“ ჩრდილოურ-ატლანტური ტრადიციისა, საიდანაც გამომდინარეობს ჩემი სულიერი არსება. Cardwell ისევე ჟღერს, როგორც „ქართველი“, შემოკლებით „ქართველ“. ცნობილი ამერიკელი ავტორის სახელი Caldwell დაბრკოლება არ არის: განსხვავებაა იქ „r“ და აქ „l“.

